საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში
არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმა

ტრანსკასპიური დერეფანი -

საქართველოს ხელმისაწვდომობისა და ტრანსპორტის გაუმჯობესების პროექტი (TC GATE)

დაფინანსებულია მსოფლიო ბანკის მიერ

თარიღი: იანვარი 2025

სარჩევი

აკრონიმები

1.0 შესავალი / პროექტის აღწერა 4

1.1 შესავალი 4

1.2 პროექტის მიმოხილვა 5

1.3 დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის მიზანი და ამოცანები 8

2.0 კანონმდებლობა და მოთხოვნები 10

2.1 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები 10

2.2 მსოფლიო ბანკის მოთხოვნები 11

3.0 დანტერესებული მხარეების ჩართულობის წინა და სამომავლო აქტივობების მოკლე მიმოხილვა 13

3.1 შეხვედრები თემთან დაინტერესებული მხარეთა ჩართულობის გეგმის მოსამზადებლად 15

3.2 არაფორმალური კომუნიკაცია სამთავრობო უწყებებთან 17

3.3 საპროექტო არეალში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებთან კომუნიკაცია .. 17

3.4 წინა პროექტებიდან მიღებული გამოცდილება 19

3.5 პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარეები 21

3.6 სხვა დაინტერესებული მხარეები 23

3.7 დაუცველი / მოწყვლადი ფიზიკური პირები ან ჯგუფები 26

3.8 პროექტით დაინტერესებულ პირთა ინტერესისა და პროექტზე ზემოქმედების მოკლე მიმოხილვა 27

4.0 **დაინტერესებულ პირთა ჩართულობის პროგრამა 29**

დაინტერესებულ პირთა ჩართულობის დაგეგმილი ღონისძიებები 29

4.1 დეტალები ჩართულობის გამოსაყენებელი მეთოდების შესახებ 40

4.3. ინფორმაციის გასაჯაროვება 43

5.0. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის როლი, პასუხისმგებლობები და რესურსები 44

5.1. განხორციელების ზომები 44

5.2. როლი და პასუხისმგებლობები 45

5.3. სავარაუდო ბიუჯეტი 48

6.0. საჩივრების განხილვის მექანიზმი (GRM) 49

6.1. საჩივრების განხილვის პროცესი 50
6.2. მუშახელის საჩივრების განხილვის მექანიზმი 56
6.3. სგდ-ს საკონტაქტო ინფორმაცია 62
7.0. მონიტორინგი და ანგარიშგება 64
7.1. მონიტორინგის ანგარიშები მშენებლობის განმავლობაში 64
7.2. მონიტორინგის ანგარიშები ექსპლუატაციის პერიოდში 66
7.3. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა მონიტორინგის ღონისძიებებში 66
7.4. ანგარიშგება დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფების მიმართ 67
8.0. გამოყენებული ლიტერატურა 68

აკრონიმები

აკრონიმი	განმარტება
AH	ზემოქმედების ქვეშ მყოფი ოჯახი
AP	ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი
CSC	მშენებლობის ზედამხედველი კონსულტანტი
E&S	გარემოსდაცვითი და სოციალური გარემო
EIA	გარემოზე ზემოქმედების შეფასება
ESF	გარემოსდაცვითი და სოციალირი უსაფრთხოების ჩარჩო დოკუმენტი
ESIA	ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
ESS	გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტი
GATE	საქართველოს ხელმისაწვდომობისა და ტრანსპორტის გაუმჯობესების პროექტი
GBV	გენდერული ნიშნით ძალადობა
GRC	საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტი
GRCP	საქართველოს რეგიონული დაკავშირებადობის პროექტი
GRM	საჩივრების განხილვის მექანიზმი
HH	შინამეურნეობა
IDP	იძულებით გადადგილებული პირები
KM	კილომეტრი
LRP	საარსებო საშუალების აღდგენის გეგმა
MEPA	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია
OIP	სხვა დაინტერესებული მხარეები
PAPs	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარეები
RAP	განსახლების სამოქმედო გეგმა
RD	საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენი (სგდ)
ROW	განთვისების ზოლი
SEP	დაინტერესებული პირების ჩართულობის გეგმა
TOR	ტექნიკური დავალება
WB	მსოფლიო ბანკი

1.0 შესავალი / პროექტის აღწერა

1.1 შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმას (SEP), რომელიც მომზადდა და განხორციელდება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის (შემდგომში - სგდ) მიერ, ტრანსკასპიური დერეფანი - საქართველოს ხელმისაწვდომობისა და ტრანსპორტის გაუმჯობესების პროექტის (შემდგომში - „TC GATE“ ან „პროექტი“) ფარგლებში, პროექტი მოიცავს სამი ძირითადი მონაკვეთის მოდერნიზაციასა და მშენებლობას: ბადიაური–ბაკურციხე (ლოტი 4-ის სავარაუდო სიგრძე — 21.76 კმ და ლოტი 5 — 9.12 კმ) და გურჯაანი (ჩუმლაყი)–თელავი (სავარაუდო სიგრძე — 36.6 კმ). პროექტის საერთო სიგრძე დაახლოებით 68 კმ-ია.

თბილისი-საგარეჯო-ბაკურციხე არის საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხი-აზერბაიჯანის საზღვარი (ს5) საავტომობილო გზის ნაწილი, რომელიც იწყება საგარეჯოს აღმოსავლეთ ნაწილში და მთავრდება ლაგოდეხის მახლობლად მდებარე საქართველო-აზერბაიჯანის სასაზღვრო გამშვებ პუნქტთან. გზის ეს მონაკვეთი კვეთს საგარეჯოსა და გურჯაანის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებს.

სამშენებლო ლოტი 4 - უფრო განიერი თბილისი-ბაკურციხის საავტომობილო გზა გადაჭიმულია ბადიაურის ბოლოდან ჩალაუბანამდე. კერძოდ, სამშენებლო ლოტი იწყება ბადიაურის დასრულებისთანავე (53+800) და მთავრდება ჩალაუბანში, საპროექტო კვანძის შემდეგ (პკ 75+100). სამშენებლო ლოტის საერთო სიგრძე შეადგენს 21.76 კმ-ს და კვეთს მზისგულის, შიბლიანის, კაჭრეთის, ნანიანის, არაშენდას, მელაანის და ჩალაუბანის ძირითად დასახლებებს.

სამშენებლო ლოტი 5 - უფრო განიერი თბილისი-ბაკურციხის საავტომობილო გზა, რომელიც გადაჭიმულია აღმოსავლეთიდან ჩალაუბანამდე ბაკურციხის აღმოსავლეთ ნაწილამდე. კერძოდ, სამშენებლო ლოტი იწყება ჩალაუბანის კვანძის დასრულებისთანავე (პკ75+100) და მთავრდება ბაკურციხის შემდეგ (პკ84+420). სამშენებლო ლოტის საერთო სიგრძეა 9,12 კმ და წარმოადგენს ახალ დამაკავშირებელ გზას ჩალაუბანსა და ბაკურციხეს შორის.

გურჯაანი (ჩუმლაყი)–თელავის გზის მონაკვეთი მდებარეობს იმავე დერეფანში, ბაკურციხე–წნორის მონაკვეთის ჩრდილო-დასავლეთით. აღნიშნული გზა აკავშირებს კახეთის რეგიონის ორ ქალაქს — თელავსა და გურჯაანს — და გადის 20 სოფლის ტერიტორიაზე. მეორე მონაკვეთი, გურჯაანი (ჩუმლაყი)–თელავის ახალი შემოვლითი გზა, 36.6 კმ სიგრძისაა და თელავის შემოგარენში არსებული წრიული გზიდან გვერდს უვლის მჭიდროდ დასახლებულ სოფლებს. გზა გაივლის არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებზე, სადაც განთავსებულია კომერციული დანიშნულების ნაგებობები, ასევე ადგილობრივი ოჯახებისა და მეღვინეობების კუთვნილ სახნავ-სათეს მიწებზე.

წინამდებარე დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა ასახავს პროექტის დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის საერთო მიდგომას, მეთოდებსა და პასუხისმგებლობებს პროექტის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში. დოკუმენტი აღწერს დღემდე განხორციელებულ ჩართულობის აქტივობებს და განსაზღვრავს კონსულტაციებისა და ჩართულობის სამომავლო სტრატეგიას. ასევე, იგი ადგენს ინფორმაციის გასაჯაროებისა და საჩივრების განხილვის მართვის პროცესს, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების (APs)

და სხვა დაინტერესებული მხარეების სათანადო ინფორმირება და კონსულტაცია იმ საკითხებზე, რომლებმაც შესაძლოა მათზე გავლენა მოახდინოს.

1.2 პროექტის მიმოხილვა

1.2.1 პროექტის ზემოქმედების ტიპი

სამი საპროექტო მონაკვეთისთვის მომზადებული განსახლების სამოქმედო გეგმების მიხედვით, ლოტი 4-ის განსახლების სამოქმედო გეგმის ზემოქმედების ქვეშ მოეცა დაახლოებით 373 შინამეოუნეობა (1,496 პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირი), რომლებიც ფლობენ 670 მიწის ნაკვეთს; ლოტი 5-ის განსახლების სამოქმედო გეგმის ზემოქმედების ქვეშ მოეცა 95 ოჯახი (373 პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირი), რომლებიც ფლობენ 159 მიწის ნაკვეთს, ხოლო გურჯაანი (ჩუმლაყი)-თელავის განსახლების სამოქმედო გეგმის ზემოქმედების[1] ქვეშ მოექცა 640 ოჯახი (1345 ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირი), რომლებიც ფლობენ 1,035 მიწის ნაკვეთს, რაც გამოიწვევს როგორც ფიზიკურ, ისე ეკონომიკურ ადგილმონაცვლეობას, როგორც ეს განსაზღვრულია გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტი 5-ით (ESS 5). სამი განსახლების სამოქმედო გეგმის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ოჯახების საერთო რაოდენობაა:

1. მე-4 ლოტის თავდაპირველი განსახლების სამოქმედო გეგმის აღწერისა და დანაკარგების ინვენტარიზაციის მონაცემების მიხედვით, ახალი საგზაო მონაკვეთის ზემოქმედების ქვეშ ექცევა 670 მიწის ნაკვეთი, რომელთა საერთო ფართობი 1,442,057 კვ.მ.-ია. აღნიშნული 670 ნაკვეთიდან 28 ნაკვეთი (65,267 კვ.მ.) სახელმწიფო საკუთრებაშია, 15 ნაკვეთი მუნიციპალურია (72,608 კვ.მ.), 3 ნაკვეთი სახელმწიფო კომპანია სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ საკუთრებაშია. 18 ნაკვეთი (90,861 კვ.მ.) კომპანია „სს საქართველოს რკინიგზას“ ეკუთვნის. 329 მიწის ნაკვეთი (791,743 კვ.მ.) კერძო საკუთრებაშია რეგისტრირებული, 268 ნაკვეთი (374,628 კვ.მ.) კი ლეგალიზებადია.
2. მე-5 ლოტის თავდაპირველი განსახლების სამოქმედო გეგმის აღწერისა და დანაკარგების ინვენტარიზაციის მონაცემების მიხედვით, ახალი საგზაო მონაკვეთის ზემოქმედების ქვეშ ექცევა 159 მიწის ნაკვეთი, რომელთა საერთო ფართობი 76,013 კვ.მ.-ია. აღნიშნული 159 ნაკვეთიდან 9 ნაკვეთი (3,079 კვ.მ.) სახელმწიფო საკუთრებაშია (მხოლოდ 1 ნაკვეთი - 10 კვ.მ. უკანონოდ გამოიყენება 1 კერძო მომხმარებლის მიერ) და 1 (1927 კვ.მ.) სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ კომპანია „სს საქართველოს რკინიგზას“ ეკუთვნის. 66 მიწის ნაკვეთი (47,096 კვ.მ.) რეგისტრირებულია კერძო საკუთრებაში, 48 ნაკვეთი (23,911 კვ.მ.) ექვემდებარება ლეგალიზაციას.
3. გურჯაანის (ჩუმლაყი)-თელავის საგზაო მონაკვეთისთვის თავდაპირველად მომზადებული განსახლების სამოქმედო გეგმის თანახმად, განთვისების ზოლის ზემოქმედების ქვეშ ექცევა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 193 მიწის ნაკვეთი, რომელთა საერთო ფართობია 257,984 კვ.მ.; და 1,035 კერძო მიწის ნაკვეთი, რომელთა საერთო ფართობია 1,290,681 კვ.მ., რომლებიც ექვემდებარება გამოსყიდვას. ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთების საერთო რაოდენობაა 1198.

[1] მე-4 და მე-5 ლოტების, ასევე გურჯაანის (ჩუმლაყი)-თელავის გზის მონაკვეთის RAP-ები განახლების პროცესშია, ამიტომ წარმოდგენილი მონაცემებიც განახლებას ექვემდებარება.

რუკა 1: პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მუნიციპალიტეტები და სოფლები



მე-3, მე-4 და მე-5 ლოტებზე, მათ შორის ბარჯისხევის მონაკვეთში, გზისპირა მოვაჭრეთა რაოდენობის დასადგენად განხორციელდა საველე კვლევა. მე-3 ლოტზე საველე სამუშაოები დაიწყო 2025 წლის 15 აგვისტოს და დასრულდა 2025 წლის 13 ოქტომბერს, ხოლო მე-4 და მე-5 ლოტებზე კვლევა განხორციელდა 2025 წლის 23 სექტემბრიდან 2025 წლის 24 ოქტომბრამდე პერიოდში. კვლევის შედეგად გამოვლინდა სულ 189 მოვაჭრე. მიღებული შედეგების საფუძველზე, ბადიაურის ტერიტორიაზე (მე-3 ლოტი) დაგეგმილია შემოთავაზებული საბაზრო სივრცის მოწყობა, სადაც განთავსდება 200 სავაჭრო ობიექტი სამივე ლოტიდან ადგილმონაცვლეობას დაქვემდებარებული მოვაჭრეებისათვის. შეიქმნება სრულად აღჭურვილი ბაზარი, რომელიც შემდგომი მართვისა და ოპერირების მიზნით გადაეცემა შესაბამის ადგილობრივ მუნიციპალიტეტს. გარდა ამისა, განაწილების პროცესის ინკლუზიურობისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, მუნიციპალიტეტს გადაეცემა მოვაჭრეთა დეტალური სია, რომელიც დაყოფილი იქნება სქესისა და სავაჭრო საქმიანობის ტიპების მიხედვით (მათ შორის: პურისა და ყველის რეალიზატორები; ჩურჩხელის, სეზონური ხილისა და ხორცის მოვაჭრეები და სხვა). აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს სავაჭრო სივრცეების სამართლიან და მიზნობრივ განაწილებას. ახალ ბაზარში საქმიანობის გაგრძელებასთან დაკავშირებით მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული მოვაჭრეთა პრეფერენციები. ბაზრის ფუნქციური მოდელისა და ოპერაციული მართვის მექანიზმების დასანერგად გაიმართება საჯარო კონსულტაციები; აგრეთვე, სისტემატურად შეგროვდება და სათანადოდ იქნება გათვალისწინებული პროექტით დაზარალებული პირების მოსაზრებები.

ფართობი	მოვაჭრეთა რაოდენობა	ქალი	მამაკაცი

ლოტი 4 და ლოტი 5	57	19	35
ლოტი 3	132	47[2]	88
ბარჯისხევის ბაზარი (რომელიც მდებარეობს მე-4 ლოტის ტერიტორიაზე)	31	მე-4 და მე-5 ლოტებში შემავალი ციფრები	მე-4 და მე-5 ლოტებში შემავალი ციფრები
სულ	**189**	**66**	**123**

მოსალოდნელია, რომ ბაზარი მიიზიდავს მიკრომეწარმეებსა და მოვაჭრეებს, რომლებიც ამჟამად განთავსებულნი არიან არსებული ს-5 გზის გასწვრივ მდებარე მოწყვლად ლოკაციებზე და ექვემდებარებიან საგზაო უსაფრთხოების, ზოგადი უსაფრთხოების, კლიმატური პირობებისა და კომერციული რისკების ზემოქმედებას. აგრეთვე, ვარაუდობენ, რომ ახალი ბაზარი დაინტერესებას გამოიწვევს ახლომდებარე სოფლებში მცხოვრებ მოვაჭრეებში, რომლებიც ბიზნესის გაფართოებისა და დასაქმების შესაძლებლობების ზრდას ესწრაფვიან.

პროექტი ასევე ითვალისწინებს ინდივიდუალური ბიზნესკონსულტაციების უზრუნველყოფას მინიმუმ 50 ადგილობრივი ქალისთვის, როგორც ახალი ბაზრის ტერიტორიაზე, ისე პროექტის სამიზნე არეალში სხვა ლოკაციებზე, მცირე ბიზნესის დაწყებისა და/ან გაფართოების საკითხებზე. აღნიშნული ინიციატივა მიზნად ისახავს ქალი მოვაჭრეების ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერებას, მათი საქმიანობის გაფართოებისა და დასაქმების ზრდის ხელშეწყობის გზით. ტრენინგის ტექნიკური დავალება (TOR) შემუშავდა 2025 წლის ზაფხულში, ხოლო შესაბამისი ტრენინგები ჩატარდება 2026 წლის ზამთარში, IRD-ის მე-3 ლოტის ინჟინრის მიერ.

1.2.2 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე პოტენციური ზემოქმედების მოკლე მიმოხილვა

პროექტის პოტენციური გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედებები, რომელიც გამოვლინდა განსახლების სამოქმედო გეგმაში, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში (ESIA) და სოციალურ-ეკონომიკურ კვლევაში, შესაძლოა საჭიროებდეს განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებას დაინტერესებული მხარეების ჩართულობის აქტივობების ფარგლებში, მოიცავს:

- **მუდმივი, ასევე დროებითი პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედება** მიწათსარგებლობაზე, გზებზე მოვაჭრეებსა და ვენახებზე და ბაღებზე, აგრეთვე მიწაზე წვდომის დროებითი შეზღუდვა.
- **ეროზია და ნიადაგის ჰუმუსოვანი ფენის დაკარგვა** მიწის გაწმენდისა და მცენარეული საფარის მოხსნის და/ან გათხრითი სამუშაოების გამო, ზემოქმედება გრუნტზე აფეთქების,

[2] სამ გზისპირა სავაჭრო ობიექტს ქალი და მამაკაცი ერთობლივად მართავენ.

მექნიზმების მუშაობის, კარიერების, ქვის სამტეხლოების ან სხვა სახის გათხრითი და მიწის სამუშაოების გამო.

- პოტენციური ზემოქმედება **ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე** სატრანსპორტო საშუალებების და აღჭურვილობის გადაადგილების, მიწის სამუშაოების, ნაყოფიერი ნიადაგისა და გამონამუშევრების ღია ს ნაყაროების, და კარიერების გამოყენების გამო.
- **სოციალური ზემოქმედება:** ზემოქმედება ადგილობრივ ინფრასტრუქტურასა და სოფლის მეურნეობაზე, ასევე დროებითი ზემოქმედება მისასვლელ გზებზე.
- სამშენებლო მანქანებით და ტექნიკით, ასევე მიწის სამუშაოებით გამოწვეული **ხმაური, მტვერი, ნარჩენების წარმოქმნა და მოძრაობის შეფერხება.**
- **ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე,** რადგან პროექტი შეიცავს რისკებს ფრინველებისთვის, მათ შორის გადამფრენი ფრინველებისა და ძუძუმწოვრებისთვის
- **ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილებები** გამოწვეულია დროებითი ობიექტების (ბანაკების), მანქანების გადაადგილების გამო.
- **ფიზიკური ან ეკონომიკური ადგილმონაცვლეობა** (დეპარტამენტის მიერ განთვისების ზოლის ფარგლებში სახლების, ქონების და მიწის ნაკვეთის გამოსყიდვის გამო; ასევე მოსავლის, ყურძნის, მრავალწლიანი ნარგავების, ღობეების შესაძლო დაკარგვა და **შესაბამისი კომპენსაციისა და მიწის რეგისტრაციის პროცედურები**
- **ადგილობრივი შემოსავლის გენერირება** პროექტში ადგილობრივი თემებიდან მუშების დაქირავების გზით
- **პროფესიული და საზოგადოებრივი ჯანდაცვა, უსაფრთხოებისა და უშიშროების ასპექტები** მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე, პერსონალის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე ზემოქმედების რისკები შეიძლება დაკავშირებული იყოს ძირითადად პროგნოზირებად და გაუთვალისწინებელ შემთხვევებთან, როგორიცაა:
    - სამუშაო ზონაში ჰაერის ხარისხის გაუარესება და ხმაურის დონის მატება გაუმართავი აღჭურვილობისა და ტექნიკის გამო;
    - სასმელი წყლით ან საკვებით მოწამვლის რისკი;
    - პროფესიული დაზიანება (მოტეხილობები, ელექტრო დაზიანება და ა.შ.);

1.3 დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის მიზანი და ამოცანები

წინამდებარე დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის (SEP) მიზანია განმარტოს თუ რა ფორმით განხორციელდება დაინტერესებული მხარეების ჩართულობა პროექტის განხორციელების მთელ პერიოდში, და რომელი მეთოდები იქნება გამოყენებული პროცესის ნაწილად; ასევე გამოიკვეთოს დეპარტამენტის, კონტრაქტორების და სხვა მონაწილე მხარეების პასუხისმგებლობა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის აქტივობების განხორციელებაში.

მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალირი უსაფრთხოების ჩარჩო დოკუმენტის (ESF) მოთხოვნებთან შესაბამისობაში, SEP-ში წარმოდგენილი ინფორმაციის გასაჯაროვებისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უფრო ფართო მიზნები მდგომარეობს შემდეგში:

- დაინტერესებული მხარეების ჩართულობისთვის სისტემატური მიდგომის შემუშავება და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებსა და ჯგუფებთან, განსაკუთრებით ტრადიციულად მოწყვლად და დაუცველ ჯგუფებთან, კონსტრუქციული და მდგრადი ურთიერთობის დამყარება;
- დაინტერესებული მხარეების დაინტერესებისა და პროექტისადმი მხარდაჭერის დონის შეფასება და მათი მოსაზრებების, განსაკუთრებით პოტენციურად მოწყვლადი და დაუცველი ჯგუფების ხედვების, გათვალისწინება პროექტირებისა და გარემოსდაცვითი და სოციალური ღონისძიებების განხორციელების პროცესში;
- პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ მხარეებთან ეფექტიანი და ინკლუზიური ჩართულობის უზრუნველყოფა პროექტის სასიცოცხლო ციკლის ყველა ეტაპზე იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მათზე გავლენა იქონიოს; აგრეთვე, იმ პირობების შექმნა, რომ პროექტის სარგებელი ხელმისაწვდომი იყოს ყველა სამიზნე ბენეფიციარისთვის, მათ შორის ტრადიციულად მოწყვლადი, დაუცველი ან არაპროპორციულად დაზარალებული პირებისთვის, ასევე მათთვის, ვისაც შეზღუდული აქვს ადგილობრივი განვითარების პროექტებიდან მიღებული სარგებლის მიღებაში სრულფასოვანი მონაწილეობის შესაძლებლობა.
- პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის, მათ შორის გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და ზემოქმედებების შესახებ მონაცემების, დაინტერესებული მხარეებისთვის დროული, გასაგები, ხელმისაწვდომი და შესაბამისი ფორმატით მიწოდების უზრუნველყოფა.

წინამდებარე SEP-ის მიზანია უზრუნველყოს დაინტერესებული მხარეების დროული და სისტემური ჩართულობა პროექტის მომზადებისა და განხორციელების ეტაპებზე. კერძოდ, დოკუმენტი ემსახურება შემდეგ მიზნებს: (ა) დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და ანალიზი; (ბ) ჩართულობის მეთოდებისა და კონსულტაციებისა და ინფორმაციის გასაჯაროვებისთვის განკუთვნილი პრაქტიკული საკომუნიკაციო ინსტრუმენტების დაგეგმვა; (გ) SEP-ის განხორციელების პროცესში სხვადასხვა ჩართული მხარის როლებისა და პასუხისმგებლობების განსაზღვრა; (დ) პროექტის საჩივრების განხილვის მექანიზმის (GRM) ჩამოყალიბება; (ე) დაინტერესებული მხარეებისთვის უკუკავშირის უზრუნველყოფა; (ვ) SEP-ის განხორციელების მონიტორინგი და ანგარიშგება.

პროექტის განხორციელება, სავარაუდოდ, გამოიწვევს 29 ოჯახის ფიზიკურ განსახლებას სამი თავდაპირველი განსახლების სამოქმედო გეგმის შესაბამისად, 35 მოქმედი და 2 არამოქმედი ბიზნესის, ასევე დაახლოებით 1000 ოჯახის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების ეკონომიკურ ადგილმონაცვლეობას. ადგილობრივი მოსახლეობის და სხვა დაინტერესებული მხარეების ატიური ჩართულობა აუცილებელია პროექტის წარმატებისთვის, რათა უზრუნველყოფილი იქნას უწყვეტი თანამშრომლობა პროექტში ჩართულ პერსონალსა და ადგილობრივ თემებს შორის და შემსუბუქდეს პროექტთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები და ზემოქმედება.

2.0 კანონმდებლობა და მოთხოვნები

2.1 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები

2.1.1 საქართველოს კონსტიტუცია

„საქართველოს კონსტიტუცია მიღებული იქნა 1995 წელს და მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუცია პირდაპირ არ ეხება გარემოსდაცვით საკითხებს, ის ადგენს საკანონმდებლო ბაზას, რომელიც უზრუნველყოფს გარემოს დაცვას და საზოგადოების ხელმისაწვდომობას გარემო პირობებთან დაკავშირებით“ (SLR Consulting, 2018: 5).

საქართველოს კონსტიტუციის 37 მუხლის მესამე ნაწილის თანახმად *„ყველა მოქალაქეს აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს*". 37-ე მუხლის 5 პუნქტის თანახმად კი, „ *ყველას აქვს უფლება დროულად მიიღოს სრული და მიუკერძოებელი ინფორმაცია სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს შესახებ.“*

41-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, *„საქართველოს მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს საჯარო დაწესებულებაში მასზე არსებულ ან სხვა ინფორმაციას ან ოფიციალურ დოკუმენტს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი შეიცავს სახელმწიფოებრივ კონფიდენციალურ ინფორმაციას, ან კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას.“*

2.1.2 გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) პროცესში გამართული საჯარო განხილვები

„2000 წლის აპრილში საქართველომ მოახდინა ორჰუსის კონვენციის რატიფიცირება. აღნიშნული UNECE (გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია) კონვენცია ეხება და არეგულირებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, საზოგადოების ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას გარემოსდაცვით საკითხებთან მიმართებაში. აღნიშნული კონვენცია ითვალისწინებს ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობის საჭიროების პრინციპს მდგრადი განვითარების მიზნით.

საქართველოს კანონმდებლობა საჯარო კონსულტაციების ჩატარებას სავალდებულოდ ითვალისწინებს იმ პროექტებისთვის, რომლებიც ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) პროცედურას. აღნიშნული მოთხოვნები განახლდა და აისახა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში (2017 წ.), რომელიც განსაზღვრავს საჯარო კონსულტაციების ჩატარების დეტალურ წესებსა და პროცედურებს, ასევე ინფორმაციის გამჟღავნებისა და განხილვისთვის დადგენილ ვადებს. საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნებაზე ამჟამად პასუხისმგებლობა ეკისრება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (MEPA), რაც, სხვა საკითხებთან ერთად, გულისხმობს შემდეგ ვალდებულებებს:

- სკოპინგის ანგარიში - პროექტის განმახორციელებლის მიერ მომზადებული წინასწარი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ESIA-სთვის მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალს. სკოპინგის ანგარიში ხელმისაწვდომია სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერზე, ასევე შესაბამისი ადგილობრივი ხელისუფლების ან/და წარმომადგენლობითი ორგანოების საინფორმაციო დაფაზე და მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება ბეჭდური ან ელექტრონული ასლები. საზოგადოებას უფლება აქვს, გამოქვეყნებიდან თხუთმეტი დღის ვადაში წარუდგინოს სამინისტროს მოსაზრებები და შენიშვნები სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით. ამასთან, სამინისტრო ვალდებულია მოაწყოს საჯარო განხილვა სკოპინგის ანგარიშის გამოქვეყნებიდან არა უადრეს მე-10 სამუშაო დღისა და არაუგვიანეს მე-15 სამუშაო დღისა. საჯარო განხილვას უძღვება და საჯარო განხილვის შესახებ ოქმს ადგენს სამინისტროს წარმომადგენელი. საჯარო განხილვა ტარდება დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილთან ყველაზე ახლოს მდებარე სათანადო ადმინისტრაციული ორგანოს შენობა-ნაგებობაში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე. საჯარო განხილვა ღიაა და მასში მონაწილეობის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.

- გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში (გზშ) - სამინისტრომ წარდგენილი განცხადება და თანდართული დოკუმენტები უნდა განათავსოს თავის ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე შესაბამისი ადგილობრივი ხელისუფლების ან/და წარმომადგენლობითი ორგანოების განცხადებების დაფაზე და მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოს ბეჭდური ასლების ხელმისაწვდომობა. საზოგადოებას უფლება აქვს სამინისტროს წარუდგინოს მოსაზრებები და შენიშვნები გზშ-ის ანგარიშთან, დაგეგმილ საქმიანობასთან და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობებთან დაკავშირებით განცხადების განთავსებიდან 40 დღის ვადაში. განთავსებიდან არაუადრეს 25-ე დღისა და არაუგვიანეს 30-ე დღისა სამინისტრო ატარებს გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვას. საჯარო განხილვას უძღვება და საჯარო განხილვის შესახებ ოქმს ადგენს სამინისტროს წარმომადგენელი. საჯარო განხილვა ტარდება დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილთან ყველაზე ახლოს მდებარე სათანადო ადმინისტრაციული ორგანოს შენობა-ნაგებობაში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე საჯარო განხილვა ღიაა და მასში მონაწილეობის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება - საზოგადოებას უნდა ეცნობოს გადაწყვეტილების შესახებ და უნდა მიეცეს წვდომა აღნიშნულ გადაწყვეტილებასთან. საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს აქვს უფლება, გაასაჩივროს მიღებული გადაწყვეტილება, თუ მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაარღვია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები." (SLR Consulting, 2018: 5).

2.2 მსოფლიო ბანკის მოთხოვნები

მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური ჩარჩოს (ESF) გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტი 10 (ESS10) — „დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა და ინფორმაციის გასაჯაროვება" — აღიარებს „მსესხებელსა და პროექტის დაინტერესებულ მხარეებს შორის ღია და გამჭვირვალე

ჩართულობის მნიშვნელობას, როგორც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის აუცილებელ ელემენტს“ (მსოფლიო ბანკი, 2018 წ.). უფრო კონკრეტულად კი, ESS10-ით განსაზღვრული ძირითადი მოთხოვნები მოიცავს შემდეგს:

- მსესხებელი ვალდებულია უზრუნველყოს დაინტერესებულ მხარეებთან უწყვეტი კომუნიკაცია პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში. ჩართულობა უნდა დაიწყოს პროექტის დაგეგმვის რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე და ისეთ ვადებში, რომლებიც შესაძლებელს გახდის მრავლისმომცემი კონსულტაციების ჩატარებას პროექტის განხორციელების გეგმასთან დაკავშირებით. ჩართულობის ფორმა, მასშტაბი და სიხშირე უნდა იყოს პროექტის ხასიათის, მასშტაბისა და მისი პოტენციური რისკებისა და ზემოქმედებების პროპორციული.
- მსესხებელი ვალდებულია აწარმოოს ფართომასშტაბიანი კონსულტაციები ყველა შესაბამის დაინტერესებულ მხარესთან. დაინტერესებულ მხარეებს უნდა მიეწოდოთ დროული, შესაბამისი, გასაგები და ხელმისაწვდომი ინფორმაცია, ხოლო კონსულტაციები უნდა ჩატარდეს ადგილობრივი კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით, მანიპულაციის, ჩარევის, იძულების, დისკრიმინაციისა და დაშინების გარეშე.
- დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროცესი, ESS10-ის შესაბამისად, მოიცავს შემდეგ ეტაპებს: (i) დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და ანალიზი; (ii) დაგეგმვა, თუ როგორ განხორციელდება ჩართულობა დაინტერესებულ მხარეებთან; (iii) ინფორმაციის გასაჯაროვება(iv) კონსულტაცია დაინტერესებულ მხარეებთან; (v) საჩივრების განხილვა და მათზე რეაგირება; და (vi) ანგარიშგება დაინტერესებულ მხარეებთან.
- მსესხებელი, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ფარგლებში, აწარმოებს და გაასაჯაროვებს დაინტერესებულ პირთა ჩართულობის დოკუმენტირებულ ჩანაწერს, მათ შორის იმ დაინტერესებული პირების აღწერას, რომლებიც დაეწრნენ საჯარო კონსულტაიას, უკუკავშირის მოკლე რეზიუმეს და მოკლე ახსნა-განმარტებას იმის შესახებ, თუ რამდენად იქნა გათვალისწინებული უკუკავშირი, ან მიეზებს, თუ რატომ არ იქნა გათვალისწინებული.” (მსოფლიო ბანკი, 2017: 98).

მსესხებელმა უნდა შეიმუშაოს დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმა, რომელიც პროპორციული იქნება პროექტის ხასიათის, მასშტაბისა და მისი გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და ზემოქმედებების. აღნიშნული გეგმა უნდა გასაჯაროვდეს შეძლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე, პროექტის შეფასებამდე და მსესხებელმა ასევე უნდა უზრუნველყოს დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების მოპოვება SEP-ის შინაარსთან დაკავშირებით, მათ შორის დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირებისა და მომავალი ჩართულობის ფორმებისა და მიდგომების შესახებ. SEP-ში არსებითი ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, მსესხებელი ვალდებულია გამოაქვეყნოს განახლებული დოკუმენტი (მსოფლიო ბანკი, 2017: 99). ESS10-ის მოთხოვნების შესაბამისად, მსესხებელმა ასევე უნდა შეიმუშაოს, დანერგოს და უზრუნველყოს საჩივრების განხილვის მექანიზმის (GRM) ფუნქციონირება, რათა შესაძლებელი იყოს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების მიერ გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული საჩივრებისა და უკმაყოფილების დროული მიღება, განხილვა და ეფექტიანი გადაწყვეტა (მსოფლიო ბანკი, 2017: 100).

მსესხებელი ვალდებულია უზრუნველყოს პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის გასაჯაროვება ისე, რომ დაინტერესებულ მხარეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა სრულად გააცნობიერონ პროექტის პოტენციური რისკები, ზემოქმედებები და შესაძლებლობები. შესაბამისი ინფორმაცია უნდა მიეწოდოს დაინტერესებულ მხარეებს რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე, ბანკის მიერ პროექტის შეფასების დაწყებამდე, და ისეთ ვადებში, რომლებიც შესაძლებელს გახდის ყოვლისმომცველი კონსულტაციების ჩატარებას პროექტის დიზაინთან დაკავშირებით. გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია უნდა მოიცავდეს, მათ შორის: (ა) პროექტის მიზანს, ხასიათსა და მასშტაბს; (ბ) პროექტით გათვალისწინებული საქმიანობების სავარაუდო ხანგრძლივობას; (გ) პროექტის პოტენციურ გარემოსდაცვით და სოციალურ რისკებსა და ზემოქმედებებს ადგილობრივ თემებზე, ასევე მათი შემსუბუქების წინადადებებს, განსაკუთრებული ყურადღებით იმ რისკებსა და ზემოქმედებებზე, რომლებმაც შეიძლება არაპროპორციულად იმოქმედოს მოწყვლად და დაუცველ ჯგუფებზე, და შესაბამის დიფერენცირებულ ღონისძიებებს მათი თავიდან აცილების ან მინიმუმამდე შემცირების მიზნით; (დ) დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის შემოთავაზებულ პროცესს, მათ შორის მონაწილეობის კონკრეტულ ფორმებსა და შესაძლებლობებს; (ე) დაგეგმილი საჯარო საკონსულტაციო შეხვედრების დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაციას, აგრეთვე შეხვედრების თაობაზე ინფორმირების, შედეგების შეჯამებისა და ანგარიშგების პროცედურებს; (ვ) საჩივრების წარდგენისა და მათი განხილვის პროცესსა და შესაბამის მექანიზმებს. ინფორმაცია უნდა გავრცელდეს შესაბამის ადგილობრივ ენებზე და იმგვარი ფორმით, რომელიც იქნება გასაგები, ხელმისაწვდომი და კულტურულად შესაბამისი. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იყოს იმ ჯგუფების სპეციფიკური საჭიროებები, რომლებზეც პროექტმა შეიძლება განსხვავებულად ან არაპროპორციულად იმოქმედოს, ასევე იმ მოსახლეობის ჯგუფების საჭიროებები, რომლებსაც აქვთ ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებული განსაკუთრებული ბარიერები (მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობები, დაბალი წიგნიერება, გენდერული ასპექტები, შეზღუდული მობილობა, ენობრივი განსხვავებები ან გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრობლემები).

3.0 დანტერესებული მხარეების ჩართულობის წინა და სამომავლო აქტივობების მოკლე მიმოხილვა

საგზაო დეპარტამენტი პროექტის სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან თანამშრომლობს პროექტების მომზადების საწყისი ეტაპიდან, კერძოდ 2018 წლის დასაწყისიდან. აღნიშნული პერიოდი ემთხვევა საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი–ბაკურციხე–ლაგოდეხი–აზერბაიჯანის საზღვრის (ს-5) საავტომობილო გზის მონაკვეთის (თბილისი–საგარეჯოს აღმოსავლეთი ნაწილი, სამშენებლო ლოტები 4 და 5) და გურჯაანი (ჩუმლაყი)–თელავის გზის პროექტებისთვის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (ESIA) მომზადების ფაზას. თბილისი–საგარეჯო–ბაკურციხის მონაკვეთის ESIA დოკუმენტაცია მომზადდა შპს „Eco-Spectri Consulting“-ის მიერ.

გურჯაანი (ჩუმლაყი)–თელავის გზის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება, საინჟინრო პროექტი, ასევე სოციალური და გარემოსდაცვითი კვლევები განხორციელდა მსოფლიო

ბანკის მიერ დაფინანსებული მესამე შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების პროექტის (SLRP III) ფარგლებში.

დოკუმენტაციის ქართული ვერსია წარდგენილი იქნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (MEPA) განსახილველად და კონსულტაციების გასავლელად, საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნული კოდექსის თანახმად, მთავრობისთვის დასამტკიცებლად და საჯარო განხილვისთვის წარმოდგენილ დოკუმენტს ეწოდება „გარემოზე ზემოქმედების შეფასება“ (გზშ). დღემდე დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით ჩატარებულია ოთხი ძირითადი საკონსულტაციო შეხვედრა:

- გურჯაანი (ჩუმლაყი) - თელავის გზის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (ESIA) საწყისი ანგარიში წარედგინა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (MEPA) 2017 წლის 28 დეკემბერს. საავტომობილო გზების დეპარტამენტმა თელავისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტების ადგილობრივ მოსახლეობასთან საჯარო კონსულტაციები 2018 წლის 21 თებერვალს გამართა.
- თბილისი-ბაკურციხის გზის სკოპინგის და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების საჯარო განხილვა და საწყისი არაფორმალური შეხვედრები (2020 წლის იანვარი და 2021 წლის ივნისი); -
- შეხვედრა თემთან დაინტერესბული მხარეების ჩართულობის გეგმის მომზადებისა და დასრულების მიზნით ჩატარდება 2026 წლის იანვარ/თებერვალში (2025-26 წლების განმავლობაში);
- საავტომობილო გზების დეპარტამენტის გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების გუნდის შეხვედრა განახლებული განსახლების სამოქმედო გეგმის მომზადებისა და გასაჯაროვების დროს (2025 წლის ნოემბრიდან - 2026 წლის თებერვლამდე).
- განახლებული RAP, SEP და შრომითი რესურსების მართვის პროცედურების საჯარო კონსულტაციები (2026 წლის თებერვალი)
- თბილისი-ბაკურციხის გზის მშენებლობის პროექტის განახლებული ESIA-ს საჯარო განხილვა: 2026 წლის მარტი

ცხრილი 1: განსახლების სამოქმედო გეგმის/ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების განახლების ფარგლებში ჩატარებული/ჩასატარებელი კონსულტაციები

დაინტერესებული მხარეები	მიზანი	მეთოდი
პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები (PAPs) და მათი თემი	• ზემოქემედბის ქვეშ მოქცეულები პირების ინფორმირება, მათი მოსაზრებების მოსმენა სავარაუდო ზემოქმედებაზე, კომპენსაციის მიღების უფლებამოსილებაზე, აგრეთვე კომპენსაციის,	• ინდივიდუალური შეხვედრები ყველა ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ოჯახთან, (მათ შორის შინამეურნეებებთან, რომელთაც ჰყავთ მოწყვლადი ოჯახის წევრები) სოციალურ-ეკონომიკური კვლევის განხორციელების დროს.

დაინტერესებული მხარეები	მიზანი	მეთოდი
	ადგილმონაცვლეობისა და რეაბილიტაციის პროცედურებისა და მოწყვლადი შინამეურნეობებისათვის დამატებითი დახმარების შესახებ.	
საავტომობილო გზების დეპარტამენტის (RDMOI) სხვა სამსახურები, მათ შორის განსახლების სამმართველო	• ინფორმაციის მოგროვება მთავრობის პოლიტიკის შესახებ, პროექტის პრიორიტეტების განსაზღვრა და რეკომენდაციების მიღება სამუშაოების თაობაზე	• ხშირი ინდივიდუალური შეხვედრები საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენლებთან
ადგილობრივი თვითმმართველობა მუნიციპალიტეტის/სოფლის დონეზე	• ზემოქმედების შეფასების კვლევის განხორციელების მიზნით თანამშრომლობის პერსპექტივების ძიება; გამოტოვებული ნაკვეთების (ლეგალიზებადი მფლობელების) შესაძლო პრობლემების გადაჭრის გზების ძიება	• ინდივიდუალური შეხვედრები და განხილვები შესაბმისი სოფლების ოფიციალურ პირებთან
საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მათ შორის გარემოსდაცვითი, რეგისტრაციისა და განსახლების სამმართველოები.	გეგმის განახლების და შემუშავების დროს მიღებული ინფორმაციის განხილვა და შემარბილებელი ღონისძიებებისა და/ან კომპენსაციის მიდგომების განხილვა.	ინდივიდუალური შეხვედრები გუნდის წევრებთან.

3.1 შეხვედრები თემთან დაინტერესებული მხარეთა ჩართულობის გეგმის მოსამზადებლად

პროექტის მომზადების საწყის ეტაპზე, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებთან, მათ შორის მოწყვლად ოჯახებთან, ჩატარდა ფართომასშტაბიანი კონსულტაციები ინდივიდუალური შეხვედრების ფორმატში, განსახლების სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად საწყისი სოციალურ-ეკონომიკური კვლევის (იხ. ცხრილი 1) განხორციელების დროს. აღნიშნულმა პროცესმა უზრუნველყო ორმხრივი ინფორმაციის გაცვლა და დაინტერესებულ მხარეებს მისცა შესაძლებლობა წარმოედგინათ თავიანთი მოსაზრებები მოსალოდნელი ზემოქმედების, კომპენსაციის უფლებამოსილებისა და შესაბამისი უფლებების, კომპენსაციისა და განსახლების პროცედურების, საარსებო წყაროს აღდგენის ღონისძიებებისა და დამატებითი მხარდაჭერის საჭიროებების შესახებ.

კონსულტაციების შედეგად მიღებული უკუკავშირი გაანალიზდა და გამოყენებულ იქნა დაინტერესებული მხარეების ჯგუფების იდენტიფიცირებისთვის, სხვადასხვა კატეგორიისთვის შესაბამისი ჩართულობის მეთოდების განსაზღვრისთვის და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმაში (SEP) ასახული ძირითადი საკითხების პრიორიტეტულობის განსაზღვრისთვის.

პარალელურად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან და სავტომობილო გზების დეპარტამენტთან, მათ შორის განსახლების, გარემოსდაცვითი და რეგისტრაციის სამმართველოებთან გამართულმა კონსულტაციებმა, როგორც ეს ცხრილში 1-შია აღწერილი, ხელი შეუწყო განხორციელების ღონისძიებების კოორდინაციას და SEP-ში გათვალისწინებული შემარბილებელი ღონისძიებებისა და კომპენსაციის მიდგომების კოორდინაციას.

შესაბამისად, დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმაში ასახულია/აისახება დაინტერესებული მხარეების მრავლისმომცველი ჩართულობის წარსული/მიმდინარე შედეგები და წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც მოიცავს დაინტერესებული მხარეების მოსაზრებებს და ადაპტირებულია ადგილობრივ კონტექსტთან.

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის პროექტის მომზადების შემდეგ, დოკუმენტი განხილულ და დამტკიცებულ იქნა მსოფლიო ბანკის, საავტომობილო გზების დეპარტამენტისა და ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლების მიერ. ამის საფუძველზე, საავტომობილო გზების დეპარტამენტი დაიწყებს ფართომასშტაბიან კონსულტაციებს ინდივიდუალური და მცირე ჯგუფური შეხვედრების გზით პროექტის ზემოქმედების არეალში ინდივიდუალური და მცირე ჯგუფური შეხვედრების ფორმატში პროექტის ზემოქმედების არეალში მდებარე დასახლებებში, საპროექტო მარშრუტების გასწვრივ. საწყისი საკონსულტაციო შეხვედრა გაიმართა გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიაში 2025 წლის 24 ოქტომბერს, ხოლო კონსულტაციები გაგრძელდება როგორც მშენებლობის დაწყებამდე, ისე მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე. ESS10-ის მოთხოვნების შესაბამისად, დეპარტამენტი ასევე უზრუნველყოფს მიზნობრივი და ინკლუზიური კონსულტაციების ორგანიზებას, რათა გამოვლინდეს და გათვალისწინებულ იქნეს მოწყვლადი და დაუცველი ჯგუფების საჭიროებები.

საავტომობილო ზგების დეპარტამენტი გეგმავს მშენებლობის დაწყებამდე რამდენიმე მცირე ჯგუფური შეხვედრის ორგანიზებას. ადგილობრივ თემებთან დღემდე გამართული შეხვედრების მთავარი თემა იყო ინფორმაციის გაზიარება, ადგილობრივ მოსახლეობასთან კომუნიკაციის გაღრმავება და მათი საჭიროებების, ინტერესების და ინფორმაციული ხარვეზების იდენტიფიცირება.

- თემებსა და ადგილობრივ თვითმმართველობებში საკონტაქტო პირების განსაზღვრა (ადგილობრივ თვითმმართველობაში დანიშნული საკონტაქტო პირები არიან ქალაქ გურჯაანის, თელავის და სოფლების: ჩუმლაყის, ბაკურციხის, მელაანის, ჩალაუბანის და ა.შ. მერის წარმომადგენლები).
- დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ძირითადი აქტივობების იდენტიფიცირება და პრიორიტეტიზაცია, მათ შორის აუცილებელი და მეორეხარისხოვანი ღონისძიებების გამიჯვნა.
- კომუნიკაციისა და საჩივრების განხილვის მექანიზმის მრავალარხიანი სისტემის შემუშავება და დანერგვა, მაგ., საინფორმაციო ბროშურები, საინფორმაციო დაფები მერის ოფისებში ან საზოგადოებრივ სახლებში (სადაც, როგორც წესი, ადგილობრივები ხშირად იკრიბებიან) და ა.შ., კონკრეტული ინფორმაციის მიწოდების მიზნით; ონლაინ კომუნიკაციის არხები, მაგ., Facebook გვერდი; მესენჯერი, ტექსტური შეტყობინება და ა.შ.
- უსაფრთხო და ადაპტირებული ჩართულობის სტრატეგიების შემუშავება მოწყვლადი ჯგუფებისთვის, მათ შორის იმ პირებისთვის, რომლებიც შეიძლება იყვნენ იზოლაციაში ან რომელთა მონაწილეობა შეიძლება შეზღუდული იყოს სოციალური ან გენდერული ბარიერების გამო.

3.2 არაფორმალური კომუნიკაცია სამთავრობო უწყებებთან

2025 წლის ოქტომბრიდან დაწყებული, საავტომობილო გზების დეპარტამენტისა და განსახლების სამოქმედო გეგმის (RAP) განახლებაზე პასუხისმგებელი კონსულტანტი შეხვედნენ ყველა შესაბამისი სამთავრობო უწყების წარმომადგენელს. აღნიშნული შეხვედრების მიზანი იყო მონაწილეთათვის დაგეგმილი პროექტის დეტალების გაცნობა, ასევე საჭიროების შემთხვევაში, ეფექტიანი კომუნიკაციისა და კოორდინაციის მექანიზმების განსაზღვრა.

2025 წლის ნოემბერში საავტომობილო გზების დეპარტამენტისა და კონტრაქტორი ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ჩაატარეს მცირე ჯგუფური შეხვედრა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ტერიტორიაზე, გურჯაანის მუნიციპალიტეტში. საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა განმარტეს პროექტის მასშტაბები, განთვისების ზოლის დეფინიცია, გსგ-ს საკომპენსაციო პაკეტის ზოგადი პრინციპები, ასევე ავტომაგისტრალის მშენებლობის შედეგად ჯანმრთელობაზე, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მიყენებული ზემოქმედება.

3.3 საპროექტო არეალში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებთან კომუნიკაცია

საავტომობილო გზების დეპარტამენტმა დაიწყო ადგილობრივი დაინტერესებული მხარეებისა და მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების იდენტიფიცირების პროცესი, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციების, ადგილობრივი ბიზნეს ასოციაციების (მაგალითად, ღვინისა და

ყველის მწარმოებლები, რომლებიც კარგად იცნობენ პროექტის არეალს) და სხვა აქტიური სუბიექტების, რომლებიც ოპერირებენ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ზონაში. დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირების პროცესი გაგრძელდა პროექტის მომზადების მთელი პერიოდის განმავლობაში და მუდმივად განახლდება განხორციელების პროცესშიც. 2025 წლის 24 ოქტომბერს გამართული საწყისი საჯარო კონსულტაციების დროს გამოცხადდა, რომ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები მოწვეულნი არიან დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის (SEP) განხილვასა და კონსულტაციებში მონაწილეობის მისაღებად, აგრეთვე SEP-ში განსაზღვრული კონკრეტული აქტივობების განხორციელებაში ჩასართავად. აღნიშნული ჩართულობის მთავარი მიზანია ამ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ორგანიზაციებისგან შემოთავაზებულ პროექტთან დაკავშირებული უკუკავშირის მიღება, მათ შორის ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება პროექტის ან მისი ცალკეული კომპონენტების შესახებ, გენდერული ძალადობის (GBV) საკითხებზე ცნობიერების ამაღლება, და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის მხარდაჭერა.

საავტომობილო გზების დეპარტამენტმა უკვე შეადგინა რეგიონში მოქმედი არასამთავრობო და სხვა სათემო ორგანიზაციების წინასწარი სია. აღნიშნული სია არ არის საბოლოო და შესაძლოა განახლდეს ან გაფართოვდეს პროექტის მიმდინარეობის პროცესში.

გურჯაანისა და თელავის მუნიციპალიტეტებში ამჟამად მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში N3.

ცხრილი N3: რეგიონში აქტიური არასამთავრობო ორგანიზაციების სია

ორგანიზაციის დასახელება	საქმიანობის სფერო (ESS10-თან შესაბამისობაში)
მდგრადი განვითარების რეგიონული ცენტრი	სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა მდგრადი განვითარებისა და მოწყვლადი და მარგინალიზებული მოსახლეობის ეკონომიკური გაძლიერების პროცესში; თემზე დაფუძნებული პროგრამების განხორციელება, ხელს უწყობს სოციალური ჩართულობის ზრდას, ახალგაზრდების აქტიურ მონაწილეობას და ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობების გაფართოებას. სამოქალაქო ჩართულობისა და საზოგადოების მონაწილეობის ხელშეწყობა ადგილობრივი განვითარების პროცესებში. (არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარების ზოგადი როლისა და მდგრადობის განვითარების საფუძველზე)
კახეთის მედია ცენტრი	სამოქალაქო მონაწილეობისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა დამოუკიდებელი მედიისა და ინფორმაციის გავრცელების გზით; ინფორმირებული საზოგადოების ჩართულობის

	ხელშეწყობა; სოციალურად გარიყული და მარგინალიზებული ჯგუფების, მათ შორის სოფლის პროდუქტების მწარმოებლებისა და ქალების, შესაძლებლობების გაძლიერება; მიზნობრივი საინფორმაციო ატივობების, ცნობიერების ამაღლებისა და დაინტერესებულ მხარეებთან დიალოგის მხარდაჭერა.
თელავის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრი	შესაძლებლობების განვითარების, პროფესიული მომზადებისა და დასაქმების მხარდაჭერის პროგრამების განხორციელება; მოწყვლადი ჯგუფებისთვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, საგანმანათლებლო, სოციალური და ეკონომიკური სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; სამოქალაქო საზოგადოებასთან და სამთავრობო უწყებებთან თანამშრომლობა სოციალური პოლიტიკისა და დასაქმებისა და ჩართულობის შესაძლებლობების გასაძლიერებლად.
კახეთის რეგიონული განვითარების ცენტრი	თემების განვითარების მხარდაჭერა და ბავშვების, ახალგაზრდებისა და ოჯახების შესაძლებლობების გაძლიერება; სკოლამდელი ასაკის ბავშვების განათლებისა და ბავშვთა დაცვის მხარდაჭერა; სოციალური ინტეგრაციის, ეკონომიკური შესაძლებლობების გაფართოვებისა და უნარების განვითარების ხელშეწყობა; მოწყვლად მოსახლეობასთან და ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან ჩართულობა ინკლუზიური ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

სგდ გააგრძელებს ადგილობრივი ორგანიზაციების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას და მათთან დაკავშირებას პოტენციური სამომავლო თანამშრომლობისთვის.

3.4 წინა პროექტებიდან მიღებული გამოცდილება

კახეთის სატრანსპორტო კავშირის გაუმჯობესების პროექტის (KCIP) განხორციელების წინა გამოცდილების საფუძველზე გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი გაკვეთილი. აღნიშნულ მონაკვეთზე სამუშაოები ამჟამად მიმდინარეობს და ფინანსდება მსოფლიო ბანკის სესხის ფარგლებში. პროექტის განხორციელების პროცესში გამოვლინდა, რომ მოსახლეობის ნაწილმა გამოთქვა შეშფოთება არაპირდაპირი სოციალური ზემოქმედების გამო, განსაკუთრებით ვენახებზე წვდომის შეზღუდვის საკითხთან დაკავშირებით. ასევე დადგინდა, რომ ვენახებსა და შიდა

მისასვლელ გზებს შორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, მათ შორის ტრაქტორების, მოსახვევი არეალი არასაკმარისად იყო შეფასებული. აღნიშნულის გათვალისწინებით, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა მოსახვევი ზოლის სიგანე 5 მეტრიდან 8 მეტრამდე გააგანიერა. სამივე ლოტზე განხორციელდა გზისპირა მოვაჭრეების გამოკითხვა, რომლის საფუძველზეც შემუშავდა საარსებო წყაროს აღდგენის მიზნობრივი ღონისძიებები, კერძოდ:

1. 200 მოვაჭრეზე გათვლილი საბაზრო სივრცის მოწყობა.
   პირებისთვის, რომლებიც იცვლიან საცხოვრებელ ადგილს:

- იურიდიული/ადმინისტრაციული მხარდაჭერა
- ტრანსპორტირების მხარდაჭერა
- კონსულტაცია საბინაო ბაზრებთან დაკავშირებით
- პროფესიული მომზადება/ტრენინგი

2. სასოფლო-სამეურნეო მიწის მფლობელებისთვის/უკანონო მოსარგებლეებისთვის:

- საწარმოს მართვის შესახებ ცოდნის ამაღლება და უნარების განვითარება
- იურიდიული/ადმინისტრაციული მხარდაჭერა (მიწა, აქტივების რეგისტრაცია/ლეგალიზაცია)
- ტურიზმის განვითარებასა და სტუმართმოყვარეობის სფეროში ინფორმაციისა და ტრენინგების უზრუნველყოფა
- სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ ინფორმაციისა და ტრენინგების უზრუნველყოფა ამ რეგიონისთვის დამახასიათებელ სასოფლო-სამეურნეო სექტორებში, როგორიცაა: ვაზის მოყვანა და ხეხილის ბაღების მართვა; მავნებლებთან ბრძოლის ინტეგრირებული მართვის ღონისძიებები, მათ შორის ყავისფერი მარმარილოსებრი სუნიანი ფაროსანასა და სხვა მავნე მწერებისგან დაცვა; ნუშის, მარწყვისა და ატმის პლანტაციების გაშენება და მოვლა.

3. მოწყვლადი ჯგუფებისთვის

- ტრანსპორტირების მხარდაჭერა (განსაკუთრებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის)
- პროფესიული მომზადება
- ინფორმაციის მიწოდება მოწყვლადი ჯგუფებისთვის სახელმწიფო და არასამთავრობო სერვისებზე ხელმისაწვდომობის შესახებ;
- საჩივრების განხილვის პროცესში ინდივიდუალურად მორგებული მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

საავტომობილო გზების დეპარტამენტი ახალ პროექტში სრულად გაითვალისწინებს წარსული და მიმდინარე პროექტების განხორციელებისას დაგროვილ ცოდნასა და გამოცდილებას და გააგრძელებს დაინტერესებულ მხარეებთან ფართომასშტაბიან, სტრუქტურირებულ და სისტემატურ კონსულტაციებს, რომლებიც მოიცავს:

(i) დაინტერესებულ მხარეებთან ადრეულ, უწყვეტ და ინკლუზიურ ჩართულობას პროექტის მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში — დაგეგმვის ეტაპიდან წინასამშენებლო და მშენებლობის ფაზების ჩათვლით;
(ii) პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის დროულად გასაჯაროვება ისეთი ფორმითა და ენით, რომელიც გასაგები და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის, მათ შორის პროექტით ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარეებისთვის;
(iii) დაინტერესებული მხარეების საჭიროებებზე მორგებული ჩართულობის მეთოდების გამოყენებას, რაც უზრუნველყოფს კულტურულად შესაბამის, გენდერულად მგრძნობიარე და ხელმისაწვდომ კონსულტაციებს, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, ხანდაზმულებისთვის და ეთნიკური უმცირესობებისთვის;
(iv) მიზნობრივ კონსულტაციებს მოწყვლად და დაუცველ ჯგუფებთან მათი სპეციფიკური საჭიროებების, გამოწვევებისა და პრიორიტეტების იდენტიფიცირებისა და მათი ეფექტიანი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად;
(v) კონსულტაციის მრავალფეროვანი ფორმატების გამოყენებას, მათ შორის ინდივიდუალურ შეხვედრებს, მცირე ჯგუფურ დისკუსიებს და საჯარო შეხვედრებს, ფართო და მრავლისმომცველი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად;
(vi) კონსულტაციების შედეგების სათანადო დოკუმენტირებასა და გასაჯაროვებას, მათ შორის ინფორმაციის მიწოდებას იმის შესახებ, თუ როგორ იქნა გათვალისწინებული და ინტეგრირებული დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში;
(vii) დაინტერესებული მხარეების ჩართულობის აქტივობების ინტეგრაცია საჩივრების განხილვის მექანიზმში საჩივრებისა და უკმაყოფილების სისტემატიური აღრიცხვის, თვალყურის დევნების და გადაწყვეტის უზრუნველსაყოფად.

დამატებითი ღონისძიებები ასევე მოიცავს შემდეგი ქმედებების განხორციელებას: (i) კონკრეტული პროექტისთვის მენეჯერ(ებ)ის დანიშვნას, რათა უზრუნველყოფილი იყოს ეფექტიანი და უწყვეტი კომუნიკაცია მოსახლეობას, კონტრაქტორსა და საზედამხედველო ჯგუფებს შორის, მათ შორის საავტომობილო გზების დეპარტამენტის შიგნით სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან; (ii) დაინტერესებული მხარეების, განსაკუთრებით პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირებისა და ჯგუფების, ჩართულობის გაძლიერებას ამ დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმაში (SEP) განსაზღვრული მთელი რიგი აქტივობების მეშვეობით; (iii) ცნობიერების ამაღლების დამატებითი სესიების ორგანიზებას მცირე ფორმატის შეხვედრების საშუალებით, გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხთა ფართო სპექტრზე; და (iv) პროექტის ფარგლებში მოქმედი საჩივრების განხილვის მექანიზმის გაძლიერებასა და გაფართოებას თემებსა და სამშენებლო კომპანიებში, წარმოდგენილი საჩივრების მონიტორინგისა და კოორდინაციის გაუმჯობესებაზე ორიენტირებით, აგრეთვე საჩივრების კონსოლიდირებული ელექტრონული მონაცემთა ბაზის შექმნას.

3.5 პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარეები

დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმის მიზნებისთვის, ტერმინი „პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარეები“ განიმარტება როგორც მხარეები, რომლებიც შეიძლება დაექვემდებარონ

პროექტის ზემოქმედებას მათ ფიზიკურ გარემოზე, ჯანმრთელობაზე, უსაფრთხოებაზე, კულტურულ ნორმებზე, კეთილდღეობასა ან საარსებო პირობებზე, ფაქტობრივი ზემოქმედებების ან პოტენციური რისკების შედეგად. დაინტერესებულ პირთა კატეგორიაში შესაძლოა შედიოდნენ როგორც ინდივიდუალური პირები, ასევე ჯგუფები, მათ შორის ადგილობრივი თემები (მსოფლიო ბანკი, 2018b). აღნიშნული ტერმინი, ამასთანავე, მოიცავს იმ ფიზიკურ პირებსა და ოჯახებს, რომლებიც, მაღალი ალბათობით, განიცდიან ცვლილებებს პროექტის განხორციელების შედეგად ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების გამო.

3.5.1. მიწების შესყიდვის ზემოქემედების ქვეშ მოქცეული პირები

მიმდინარე პროექტის ფარგლებში, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების ძირითად კატეგორიში შედიან ადამიანები, რომლებიც კარგავენ აქტივებს და/ან კერძო მიწას, სახლს, ბიზნესს და/ან საერთო რესურსებზე წვდომას პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული მიწის ათვისების გამო.

დანაკარგების აღწერისა და ინვენტარიზაციის მონაცემებით, აღნიშნული გზის მონაკვეთის მშენებლობის ზემოქმედების ქვეშ მოექცევა 1,108 ოჯახი:

1. მე-4 ლოტის თავდაპირველი განსახლების სამოქმედო გეგმის აღწერისა და დანაკარგების ინვენტარიზაციის მონაცემების მიხედვით, ახალი საგზაო მონაკვეთის ზემოქმედების ქვეშ ექცევა 670 მიწის ნაკვეთი, რომელთა საერთო ფართობი 1,442,057 კვ.მ.-ია. აღნიშნული 670 ნაკვეთიდან, 28 ნაკვეთი (65,267 კვ.მ.) სახელმწიფო საკუთრებაშია, 15 ნაკვეთი მუნიციპალურია (72,608 კვ.მ.), 3 ნაკვეთი სახელმწიფო კომპანია სს „სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ საკუთრებაშია. 18 ნაკვეთი (90,861 კვ.მ.) კომპანია „სს საქართველოს რკინიგზას“ ეკუთვნის. 329 მიწის ნაკვეთი (791,743 კვ.მ.) კერძო საკუთრებაშია რეგისტრირებული, 268 ნაკვეთი (374,628 კვ.მ.) კი ლეგალიზებადია.
   მე-5 ლოტის თავდაპირველი განსახლების სამოქმედო გეგმის აღწერისა და დანაკარგების ინვენტარიზაციის მონაცემების მიხედვით, ახალი საგზაო მონაკვეთის ზემოქმედების ქვეშ ექცევა 159 მიწის ნაკვეთი, რომელთა საერთო ფართობი 76,013 კვ.მ.-ია. აღნიშნული 159 ნაკვეთიდან 9 ნაკვეთი (3,079 კვ.მ.) სახელმწიფო საკუთრებაშია (მხოლოდ 1 ნაკვეთი - 10 კვ.მ. უკანონოდ გამოიყენება 1 კერძო მომხმარებლის მიერ) და 1 (1927 კვ.მ.) სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ კომპანია „სს საქართველოს რკინიგზას“ ეკუთვნის. 66 მიწის ნაკვეთი (47,096 კვ.მ.) რეგისტრირებულია კერძო საკუთრებაში, 48 ნაკვეთი (23,911 კვ.მ.) ექვემდებარება ლეგალიზაციას.
2. გურჯაანის (ჩუმლაყი)-თელავის მონაკვეთისთვის თავდაპირველად მომზადებული განსახლების სამოქმედო გეგმის თანახმად, განთვისების ზოლის ზემოქმედების ქვეშ ექცევა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 193 მიწის ნაკვეთი, რომელთა საერთო ფართობია 257,984 კვ.მ.; და 1,035 კერძო მიწის ნაკვეთი, რომელთა საერთო ფართობია 1,290,681 კვ.მ., რომლებიც ექვემდებარება გამოსყიდვას.

პირებს მიწის კომპენსაცია მიეცემათ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და მსოფლიო ბანკის შესაბამისი მოთხოვნების სრული დაცვით. ის პირები, რომლებიც ფლობენ ან სარგებლობენ

განთვისების ზოლში მოქცეული მიწის ნაკვეთებით, განიხილებიან როგორც მაღალი პრიორიტეტის მქონე დაინტერესებული მხარეები. აღნიშნული ჯგუფი საჭიროებს აქტიურ და სისტემატურ ჩართულობას, აგრეთვე ზუსტი და ამომწურავი ინფორმაციის დროულ მიწოდებას, განსაკუთრებით კომპენსაციისა და საარსებო წყაროს აღდგენის გეგმის საკითხებთან დაკავშირებით.

3.5.1 საპროექტო ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა

მიმდინარე პროექტის ფარგლებში, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების მეორე ძირითად კატეგორიას განეკუთვნებიან ის ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ არსებული საავტომობილო გზის მიმდებარედ. აღნიშნულ ჯგუფზე, მაღალი ალბათობით, ზემოქმედებას მოახდენს სამშენებლო პროცესებთან დაკავშირებული ფაქტორები, მათ შორის მძიმე ტექნიკის გადაადგილებით გამოწვეული დისკომფორტი, დროებითი წვდომის შეზღუდვა და სხვა მსგავსი გარემოებები. ამავე დროს, მათ შეიძლება ისარგებლონ პროექტთან დაკავშირებული დასაქმებისა და შემოსავლის მიღების შესაძლებლობებით. გრძელვადიან პერსპექტივაში, აღნიშნულ პირებს, ოჯახებსა და ბიზნესის სუბიექტებს შესაძლოა შეექმნათ გარკვეული ეკონომიკური დანაკარგები სატრანსპორტო ნაკადების გადართვის შედეგად. პროექტი ითვალისწინებს შესაბამისი კვლევების ჩატარებასა და მიზნობრივი დაფინანსების გამოყოფას აღნიშნული მიმართულებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს პოტენციური უარყოფითი ეკონომიკური ზემოქმედებების შერბილება და კომპენსირება, ახალი მაგისტრალის გასწვრივ დამატებითი ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნის გზით.

3.5.2 მუნიციპალიტეტისა და სოფლის წარმომადგენლები

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების მესამე მნიშვნელოვან კატეგორიას წარმოადგენენ მუნიციპალიტეტებისა და სოფლების წარმომადგენლები (სოფლების საერთო მოსახლეობა). თითოეულ მუნიციპალიტეტს ჰყავს მერი, საკრებულო თავმჯდომარით და თითოეულ სოფელში არიან მერის და გამგებლის რწმუნებულები. ყველა სოფელს აქვს სოფლის წარმომადგენლობითი შენობა, სადაც დასაქმებულია 5-10 ადამიანი (დაფინანსებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან); ესენია: მერის წარმომადგენელი სოფელში, კულტურის სპეციალისტი, სოფლის მეურნეობის სპეციალისტი, მენეჯერი.

3.6 სხვა დაინტერესებული მხარეები

ტერმინი „სხვა დაინტერესებული მხარეები“ აღნიშნავს „ცალკეულ პირებს, ჯგუფებს ან ორგანიზაციებს, რომლებიც გამოხატავენ ინტერესს პროექტის მიმართ მისი ადგილმდებარეობის, მახასიათებლების, შესაძლო ზემოქმედებების ან საზოგადოებრივ ინტერესებთან დაკავშირებული საკითხების გამო. ამ კატეგორიაში შესაძლოა შევიდნენ, მაგალითად, მარეგულირებელი ორგანოები, სახელმწიფო თანამდებობის პირები, კერძო სექტორის წარმომადგენლები, სამეცნიერო საზოგადოება და აკადემიური წრეები, პროფესიული კავშირები, ქალთა ორგანიზაციები, სხვა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და კულტურული ჯგუფები (მსოფლიო ბანკი, 2018b)“.

3.6.1 სხვა დაინტერესებული მხარეები – გარე

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში განსაზღვრულია სხვა დაინტერესებულ მხარეთა ძირითადი კატეგორიები, აგრეთვე თითოეული მათგანის პროექტისადმი დაინტერესების შესაბამისი დასაბუთება.

ცხრილი 3: სხვა დაინტერესებული მხარეები - გარე

სხვა დაინტერესებული მხარეები	დაინტერესება პროექტის მიმართ
სამინისტროები და სამთავრობო უწყებები • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, ინფრასტრუქტურის სამინისტრო • გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო • საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო • კულტურის სამინისტრო და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო	მთლიანობაში: მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე პროექტის შესაბამისობის უზრუნველყოფა საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან (მაგ. ენერგეტიკული პოლიტიკა, გარემოსდაცვითი რეგულაციების მოთხოვნებთან); • ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა; • პროექტთან დაკავშირებული შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელებაში კონკრეტული და მიზნობრივი ჩართულობა; • ადგილობრივი გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) სკოპინგის ანგარიშის, გზშ-ის ანგარიშისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების საჯარო განხილვებში მონაწილეობა; • პროექტის ფარგლებში საჭირო მიწის ნაკვეთების რეგისტრაცია • პასუხისმგებელია იმ პოტენციური არქეოლოგიური მნიშვნელობის ობიექტებზე, რომლებზეც პროექტმა შესაძლოა იქონიოს გავლენა, და აგრეთვე ეროვნული მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე, რომლებიც მდებარეობს პროექტის სიახლოვეს
მუნიციპალიტეტები	პროექტის ზემოქმედების არეალში მცხოვრები მოსახლეობის უფლებებისა დაცვა; ადგილობრივი თემებისა და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების წარმომადგენლობა, მათგან ინფორმაციისა და

სხვა დაინტერესებული მხარეები	**დაინტერესება პროექტის მიმართ**
	საჩივრების მიღება და შესაბამის უწყებებთან მათი გადაგზავნა.
არასამთავრობო ორგანიზაციები (ადგილობრივი, რეგიონალური, ეროვნული)	უზრუნველყოფენ, რომ პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური შესრულების მაჩვენებლები იცავდეს გარემოს და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებს და შეესაბამებოდეს საერთაშორისო გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებს
ბიზნეს ორგანიზაციები და შრომის ორგანიზაცია	დაინტერესება შესყიდვებისა და მიწოდების ჯაჭვის მიმართ, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე პოტენციური ზემოქმედებების, ასევე საზოგადოების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოების მიმართ
პროექტის სხვა დეველოპერები, რომლებიც დამოკიდებულნი არიან პროექტზე ან იმყოფებიან მის სიახლოვეს (მაგ. მომიჯნაცე ობიექტები) და **მათი დამფინანსებლები** (მაგ. ADB[3], EBRD[4], KfW[5], IFC[6])	პროექტის ექსპლუატაციის პერიოდში შესაძლოა საჭირო გახდეს ელექტროენერგიის ექსპორტის უზრუნველყოფა. შეიძლება დაეხმაროს სხვა შემოთავაზებულ განვითარებასთან ურთიერთქმედებისა და კუმულაციური ზემოქმედებების იდენტიფიცირებას.
პრესა და მედია	საპროექტი ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანებისა და ფართო საზოგადოების ინფორმირება პროექტის განხორციელების პროცესისა და დაგეგმილი აქტივობების შესახებ
ფართო საზოგადოება, ტურისტები, სამუშაოს მაძიებლები	დაინტერესება პროექტის ზოგადი სოციალურ-ეკონომიკური ზემოქმედების მიმართ, როგორც უარყოფითი, ასევე სასარგებლო ზემოქმედების თვალსაზრისით
აკადემიური დაწესებულებები (მაგ. უნივერსიტეტები, ანალიტიკური ცენტრი, სკოლები), **დამოუკიდებელი მკვლევარები;**	პოტენციური საკითხები ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შესახებ. პოტენციური საგანმანათლებლო/პროპაგანდული შესაძლებლობები პროექტის ცნობადობისა და მიმღებლობის გაზრდის მიზნით

[3] აზიის განვითარების ბანკი
[4] ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
[5] Kreditanstalt für Wiederaufbau (რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი)
[6] საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია

3.6.2. სხვა დაინტერესებული მხარეები – შიდა

პროექტში მონაწილე შიდა დაინტერესებული მხარეებში იგულისხმება საავტომობილო გზების დეპარტამენტის თანამშრომლები, ზედამხედველი კონსულტანტები; კონტრაქტორები; ქვეკონტრაქტორები; მომსახურების მიმწოდებლები, მომწოდებლები და მათი მუშები.

3.7 დაუცველი / მოწყვლადი ფიზიკური პირები ან ჯგუფები

მოწყვლად /დაუცველ პირებად და ჯგუფებად მიიჩნევიან ის სუბიექტები ან ჯგუფები, რომლებზეც პროექტმა შესაძლოა არაპროპორციულად იმოქმედოს და/ან რომლებსაც, სხვებთან შედარებით, ნაკლები შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ პროექტით შეთავაზებული სარგებელით. აღნიშნული შეიძლება განპირობებული იყოს პროექტისა და მისი ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედებების, აგრეთვე შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მიღებისა და გააზრების ან ამ ინფორმაციაზე წვდომის სირთულეებით.

საპროექტო ტერიტორია მოიცავს მოსახლეობის გარკვეულ ჯგუფებს, რომლებიც კლასიფიცირდებიან მოწყვლადად. ამასთან, კახეთის რეგიონში არ აღინიშნება იძულებით გადაადგილებული პირების (დევნილების) მაღალი კონცენტრაცია, რომლებიც გადასახლებულნი არიან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან ან ცხინვალის რეგიონიდან.

მოწყვლად ან დაუცველ ჯგუფებად განიხილებიან ის პირები, რომლებზეც პროექტის უარყოფითი ზემოქმედება შესაძლოა შედარებით მეტად აისახოს და/ან რომლებსაც ნაკლები რესურსი და შესაძლებლობა აქვთ პროექტის სარგებლის მისაღებად.

აღნიშნული პირები ან ჯგუფები ხშირად შეზღუდულად მონაწილეობენ ან ვერ მონაწილეობენ სრულყოფილად საკონსულტაციო პროცესებში; შესაბამისად, შესაძლოა საჭირო გახდეს მათთვის მიზნობრივი ღონისძიებებისა და დამატებითი მხარდაჭერის უზრუნველყოფა. შეფასებისას გათვალისწინებული იქნება ასაკობრივი ფაქტორები, მათ შორის ხანდაზმულობა და არასრულწლოვანთა მდგომარეობა, აგრეთვე გარემოებები, რომ ისინი შეიძლება დაშორდნენ ოჯახს, საზოგადოებას ან სხვა პირებს, რომლებზეც ისინი არიან დამოკიდებულნი. მოწყვლად ან დაუცველ ჯგუფებში, მათ შორის, შეიძლება შედიოდნენ: (i) ოჯახები, რომლებსაც უძღვებიან მარჩენალი ქალები, კმაყოფაზე მყოფი პირებით ან/და მათ გარეშე; (ii) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ოჯახის უფროსები და/ან წევრები; (iii) ღარიბი/უმწეო ოჯახები, დადგენილი ოფიციალური სიღარიბის ზღვარის მიხედვით; (iv) ხანდაზმულთა ოჯახები, რომლებსაც არ აქვთ დახმარების საშუალება; (v) ოჯახები, რომლებსაც არ აქვთ საკუთრების ან მუდმივი სარგებლობის უფლება საცხოვრებელზე ან მიწაზე; (vi) ეთნიკური უმცირესობები (ასეთის არსებობის შემთხვევაში); და (vii) ლტოლვილები ან იძულებით გადაადგილებული პირები.

ფოკუს ჯგუფებთან განხილვები ჩატარდება ყველა მოწყვლადი და არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფი დაინტერესებული ჯგუფის მოზიდვის მიზნით, რომლებსაც შეიძლება დასჭირდეთ განსაკუთრებული ყურადღება კონსულტაციის დროს, მაგალითად, ქალები/ქალების ხელმძღვანელობით მართული ოჯახები, ხანდაზმულები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და სხვა იდენტიფიცირებული მოწყვლადი ჯგუფები.

კერძოდ, პროექტი მიზნად ისახავს კახეთის რეგიონში სოფლად მცხოვრები ქალების ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერებას ორი იდენტიფიცირებული გენდერული ხარვეზის აღმოფხვრის გზით: ადგილობრივი ბაზრის ხელმისაწვდომობის ნაკლებობა და ქალებისთვის ბიზნესთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურებების დეფიციტი.

საქართველოს სოფლად მცხოვრები ქალები, მათ შორის კახეთში, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სოფლის მეურნეობაში, თუმცა არაერთი გენდერული ბარიერი ზღუდავს მათ მონაწილეობასა და განვითარებას. აღნიშნული ბარიერები მოიცავს მიწაზე, დაფინანსებაზე და სასოფლო-სამეურნეო ტრენინგებზე არათანაბარ წვდომას. ამ გამოწვევების საპასუხოდ, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ბაზრის მშენებლობა, რომელიც აღიჭურვება როგორც მამაკაცებისთვის, ისე ქალებისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურით, ხოლო სავაჭრო დახლების ნახევარი გამოყოფილი იქნება ქალი მოვაჭრეებისთვის. გარდა ამისა, პროექტის ზემოქმედების არეალში მცხოვრებ ქალებს 2026 წლის ზამთარში, ახალი ბაზრის გახსნამდე, გაეწევათ მიზნობრივი საკონსულტაციო მხარდაჭერა.

პროექტი უზრუნველყოფს, რომ დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ყველა აქტივობა, მათ შორის ინფორმაციის საჯარო გავრცელება, განხორციელდეს ინკლუზიური და კულტურულად მგრძნობიარე ფორმით.

იმ შემთხვევაში, თუ პროექტის განხორციელების პროცესში სოციალურად დაუცველ ჯგუფებთან ან მოწყვლად პირებთან გამოვლინდება ენობრივი ან სხვა სახის ბარიერები, მათთვის უზრუნველყოფილი იქნება ჩართულობის ადაპტირებული ფორმები — პროექტის შესახებ ბეჭდური ინფორმაციის მიწოდება მათთვის გასაგებ ენაზე, აგრეთვე მცირე ჯგუფური კონსულტაციების ორგანიზება, მათ შორის ქალებისთვის ცალკეული შეხვედრების ჩატარება.

წინამდებარე დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა (SEP) უზრუნველყოფს, რომ ზემოაღნიშნულ მოწყვლად ჯგუფებს ჰქონდეთ რეალური შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ პროექტის დიზაინის, მისი ზემოქმედებებისა და შემარბილებელი ღონისძიებების დაგეგმვის პროცესში, აგრეთვე ისარგებლონ პროექტით გათვალისწინებული სარგებელით. იმ შემთხვევაში, თუ პროექტის განხორციელებისას გამოვლინდებიან დამატებითი ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირები, დაინტერესებული მხარეები ან მოწყვლადი ჯგუფები, მათი საჭიროებები სათანადოდ იქნება გათვალისწინებული და ასახული SEP დოკუმენტში.

3.8 პროექტით დაინტერესებულ პირთა ინტერესისა და პროექტზე ზემოქმედების მოკლე მიმოხილვა

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში შეჯამებულია პროექტისადმი დაინტერესების ხარისხი და პროექტზე პოტენციური ზემოქმედების დონე ზემოთ განსაზღვრული სხვადასხვა კატეგორიის დაინტერესებული მხარეების მიხედვით.

ცხრილი 4: დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფების პრიორიტეტიზაცია და ანალიზი, მათი ინტერესის დონისა და პროექტზე პოტენციური ზემოქმედების მიხედვით

	პროექტზე გავლენის მოხდენის ან ზემოქმედების მაღალი **შესაძლებლობა ან ალბათობა (პირდაპირი და ხშირი ჩართულობა, მაგალითად, ყოველ ნახევარ წელიწადში ერთხელ ან უფრო ხშირად)**	**პროექტზე გავლენის მოხდენის ან ზემოქმედების საშუალო შესაძლებლობა ან ალბათობა** **(ჩართულობა წელიწადში მინიმუმ ერთხელ)**	**პროექტზე გავლენის მოხდენის ან ზემოქმედების დაბალი შესაძლებლობა ან ალბათობა** **(ირიბი ჩართულობა, მაგალითად, ოფიციალური განცხადებებისა და მასმედიის საშუალებით)**
პროექტით დაინტერესების მაღალი დონე	• მიწის გამოსყიდვით და ფიზიკური ადგილმონაცვლეობის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირები • საპროექტო ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანები • მოწყვლადი ოჯახები • გარემოვაჭრეები • ვენახების და სხვა მცირე ბიზნესის მფლობელები • სამინისტროები და სახელმწიფო უწყებები	მუნიციპალიტეტები	
პროექტით დაინტერესების საშუალო დონე	• არასამთავრობო ორგანიზაციები • პრესა და მედია • მოწყვლადი ოჯახები • გარე მოვაჭრეები	• ბიზნესები და მუშათა ორგანიზაციები	• აკადემიური დაწესებულებები, დამოუკიდებელი მკვლევარები • ფართო საზოგადოება, ტურისტები, სამუშაოს მაძიებლები
პროექტით დაინტერესების დაბალი დონე			• პროექტის სხვა დეველოპერები და დამფინანსებლები

4.0 დაინტერესებულ პირთა ჩართულობის პროგრამა

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა ითვალისწინებს საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზებას შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან როგორც პროექტის დაწყებამდე, ისე მისი განხორციელების პროცესში, საჭიროების შესაბამისად. კონსულტაციები და ჩართულობის აქტივობები არსებით მნიშვნელობას ატარებს დაინტერესებული მხარეების მიმდინარე წინადადებების, მოსაზრებებისა და შეშფოთებების მოსასმენად, განხილვისა და სათანადო რეაგირებისთვის. შესაძლებლობის ფარგლებში, კონსულტაციები ჩატარდება პირისპირ შეხვედრების ფორმატში, ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ და ბენეფიციარ დასახლებებში.

დაინტერესებულ პირთა ჩართულობის დაგეგმილი ღონისძიებები

დაინტერესებულ პირთა ჩართულობის ღონისძიებები მიზნად ისახავს კონკრეტული სამიზნე ჯგუფებისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებასა და ისეთი შესაძლებლობების შექმნას, რომლებიც მათ საშუალებას მისცემს დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრებები მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია პროექტის ფარგლებში დაგეგმილი დაინტერესებულ პირთა ჩართულობის ძირითადი ღონისძიებები. ღონისძიებების ტიპები და მათი სიხშირე შესაბამისობაშია პროექტის სამ ძირითად ეტაპთან. (განსახლების სამოქმედო გეგმის (RAP) მომზადება და განხორციელება; პროექტირება და პროექტის განხორციელება; მშენებლობის ეტაპი; ასევე მშენებლობის შემდგომი და ექსპლოატაციის ეტაპი). დაინტერესებულ პირთა ჩართულობის პროცესში გამოყენებული მეთოდების შესახებ უფრო დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ქვეთავში 4.2.

ცხრილი 5: დაინტერესებულ პირთა ჩართულობის დაგეგმილი ღონისძიებები პროექტის განხორციელების ეტაპების მიხედვით

პროექტის ეტაპი	**სამიზნე დაინტერესებული პირები**	**ჩართულობის თემები**	**გამოყენებული მეთოდ(ებ)ი**	**ადგილმდებარეობა/ სიხშირე**	**პასუხისმგებლობები**
მომზადება და განხორციელება, დეტალური	**პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარეები** - მიწის შესყიდვის და ფიზიკური განსახლების ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები; საპროექტო ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა; მოწყვლადი ოჯახები	მიწის შესყიდვის პროცესი ; დახმარება მიწის ადრეული რეგისტრაციისთვის ოფიციალური დოკუმენტების შეგროვებაში; კომპენსაციის განაკვეთები და მეთოდოლოგია; პროექტის მასშტაბი და დასაბუთება;	საჯარო შეხვედრები, ტრენინგები /სემინარები, ცალკე შეხვედრები სპეციალურად ქალებისთვის და მოწყვლადი პირებისთვის; მასობრივი საინფორმაციო საშუალებები / სოციალური მედია კომუნიკაცია - Facebook, ვებგვერდი; წერილობითი ინფორმაციის გამოქვეყნება - ბროშურები,	პროექტის დაწყებასთან დაკავშირებული შეხვედრები მუნიციპალიტეტებში; ყოველთვიური შეხვედრები ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მუნიციპალიტეტებში	სგდ (გარემოსა და სოციალური საკითხების ჯგუფი, პროექტის მენეჯერი, მიწის შესყიდვისა და

პროექტის ეტაპი	სამიზნე დაინტერესებული პირები	ჩართულობის თემები	გამოყენებული მეთოდ(ებ)ი	ადგილმდებარეობა/ სიხშირე	პასუხისმგებლობ ები
		პროექტის E&S პრინციპები; განსახლების და საარსებო წყაროს აღდგენის ვარიანტები; საჩივრების განხილვის პროცესი. ინფორმაცია და პროცესები მორგებული იქნება ზემოქმედების ქვეშ მყოფი ჯგუფების საჭიროებებზე, განსაკუთრებით გათვალისწინებული იქნება მოწყვლადი შინამეურნეობების საჭიროებები ენის, წიგნიერების, კონსულტაციების დროისა და ადგილის, ინფორმაციისა და პროცედურების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.	პოსტერები, ფლაერები, ვებგვერდი საინფორმაციო დაფა - მუნიციპალიტეტებში და სამშნებლო ბანაკებში; საჩივრების განხილვის მექანიზმი; ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების კვლევა - განსახლების დასრულების შემდეგ.	და სოფლებში; ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების კვლევა ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ სოფლებში; კომუნიკაცია მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით სოციალური მედიით (საჭიროების შემთხვევაში); საინფორმაციო დაფები ბროშურებით / პოსტერებით ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მუნიციპალიტეტებში (უწყვეტი)	რეგისტრაციის სამმართველო); RAP კონსულტანტი; მუნიციპალური საჩივრების განხილვის კომიტეტი
	ადგილობრივი ქალები	პროექტის დიზაინი; პროექტის ზემოქმედება და შემარბილებელი ღონისძიებების გეგმები; პროექტის ფარგლებში ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერებას ორი იდენტიფიცირებული გენდერული ხარვეზის აღმოფხვრის გზით: ადგილობრივი ბაზრის	საკონსულტაციო შეხვედრები, სიღრმისეული ინტერვიუები; ფოკუს ჯგუფების დისკუსიები; პრეზენტაციები, პროექტის ბროშურები და ბუკლეტები; შენიშვნა: სიღრმისეული ინტერვიუები და ფოკუს ჯგუფების დისკუსიები მოიცავს	პროექტის დაწყებასთან დაკავშირებული შეხვედრები მუნიციპალიტეტებში; ფოკუს ჯგუფებთან დისკუსიები, შეხვედრები ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მუნიციპალიტეტებში	სგდ (გარემოსა და სოციალური საკითხების ჯგუფი, პროექტის მენეჯერი, ადგილობრივი თვითმმართველობ ა - გურჯაანის მერია);

პროექტის ეტაპი	სამიზნე დაინტერესებული პირები	ჩართულობის თემები	გამოყენებული მეთოდ(ებ)ი	ადგილმდებარეობა/ სიხშირე	პასუხისმგებლობ ები
		ხელმისაწვდომობის ნაკლებობა და ქალებისთვის ბიზნესთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურებების დეფიციტი. შენიშვნა: ქალთა ჯგუფებთან ჩართულობა გაგრძელდება მშენებლობის ეტაპზეც და აგრეთვე გაკონტროლდება კონსულტაციების დროს წამოჭრილი გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების, აგრეთვე მიღებული საჩივრების აღრიცხვა, ასევე საველე ვიზიტები, არაფორმალური დისკუსიები, ოფიციალური წერილების და ა.შ.	ინტენსიურ ინდივიდუალურ ინტერვიუებს რამდენიმე რესპონდენტთან, რათა შესწავლილ იქნას მათი პერსპექტივები კონკრეტულ იდეაზე, პროგრამაზე ან სიტუაციაზე	და სოფლებში; ოჯახებთან;	მუნიციპალური საჩივრების განხილვის კომიტეტი
	სხვა დაინტერესებული მხარეები (გარე) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო; მუნიციპალიტეტები (მათ შორის მერის წარმომადგენლები სოფლებში)	მიწის შესყიდვის პროცესი ; მიწის ნაკვეთების რეგისტრაცია; განსახლების და საარსებო წყაროს აღდგენის ოფციონები; პროექტის ფარგლები, დასაბუთება და E&S პრინციპები; საჩივრების განხილვის პროცესი.	პირისპირ შეხვედრები; ერთობლივი საჯარო / მცირე ჯგუფების/ინდივიდუალური შეხვედრები პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მხარეებთან (PAPs).	ყოველკვირეულად (საჭიროების მიხედვით)	სგდ (გარემოსა და სოციალური საკითხების ჯგუფი, პროექტის მენეჯერი, მიწის შესყიდვისა და რეგისტრაციის სამმართველო); RAP კონსულტანტი;

პროექტის ეტაპი	სამიზნე დაინტერესებული პირები	ჩართულობის თემები	გამოყენებული მეთოდ(ებ)ი	ადგილმდებარეობა/ სიხშირე	პასუხისმგებლობ ები
	სხვა დაინტერესებული მხარეები (გარე) პრესა და მედია ; არასამთავრობო ორგანიზაციები; ბიზნესები და ბიზნეს ორგანიზაციები; მუშათა ორგანიზაციები; სამეცნიერო დაწესებულებები; სახელმწიფო სამინისტროები; ადგილობრივი სამთავრობო უწყებები; ფართო საზოგადოება,ტურისტები, სამუშაოს მაძიებლები	მიწის შესყიდვის პროცესი ; საჩივრების განხილვის პროცესი. პროექტის ფარგლები, დასაბუთება და E&S პრინციპები;	საჯარო შეხვედრები, ტრენინგები /სემინარები, მასობრივი საინფორმაციო საშუალებები / სოციალური მედია კომუნიკაცია - Facebook, ვებგვერდი; წერილობითი ინფორმაციის გამოქვეყნება - ბროშურები, პოსტერები, ფლაერები, ვებგვერდი, საზოგადოებასთან ურთიერთობის საშუალებები; საინფორმაციო დაფები - მუნიციპალიტეტებში და ბანაკებში; საჩივრების განხილვის მექანიზმი; მედიისა და ადგილობრივი წარმომადგენლებისთვის პროექტის ფარგლებში საინფორმაციო ტურების ორგანიზება.	პროექტის დაწებასთან დაკავშირებული შეხვედრები; ყოველთვიური შეხვედრები ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მუნიციპალიტეტებში და სოფლებში; კომუნიკაცია მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით /სოციალური მედიით (საჭიროების შემთხვევაში); საინფორმაციო დაფები ბროშურებით / პოსტერებით ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მუნიციპალიტეტებში (უწყვეტი).	სგდ (გარემოსა და სოციალური საკითხების ჯგუფი, პროექტის მენეჯერი, მიწის შესყიდვისა და რეგისტრაციის სამმართველო); RAP კონსულტანტი;
	სხვა დაინტერესებული მხარეები (გარე) სხვა სამთავრობო უწყებები; რომელმაც უნდა გასცეს ნებართვები / თანხმობები. პროექტის სხვა დეველოპერები, რომლებიც	პროექტთან დაკავშირებული ინფორმაცია - ფარგლები, დასაბუთება და E&S პრინციპები; კოორდინაციის ღონისძიებები; მიწის შესყიდვის პროცესი; საჩივრების განხილვის პროცესი.	პირისპირ შეხვედრები; მოწვევა საჯარო / თემის შეხვედრებზე/სამიზნე ჯგუფების შეხვედრებზე	საჭიროების მიხედვით	სგდ (გარემოსა და სოციალური საკითხების ჯგუფი, პროექტის მენეჯერი, მიწის შესყიდვისა და რეგისტრაციის

პროექტის ეტაპი	სამიზნე დაინტერესებული პირები	ჩართულობის თემები	გამოყენებული მეთოდ(ებ)ი	ადგილმდებარეობა/ სიხშირე	პასუხისმგებლობ ები
	დამოკიდებულნი არიან პროექტზე ან იმყოფებიან მის სიახლოვეს და მათი დამფინანსებლები				სამმართველო); RAP კონსულტანტი;
	სხვა დაინტერესებული მხარეები (შიდა) სხვა სგდ-ს პერსონალი; ზედამხედველი კონსულტანტები; კონტრაქტორი, ქვეკონტრაქტორები, მომსახურების მომწოდებლები, მომწოდებლები და მათი მუშახელი.	პროექტთან დაკავშირებული ინფორმაცია - ფარგლები, დასაბუთება და E&S პრინციპები; ტრენინგი ESIA და სხვა ქვე-მართვის გეგმების შესახებ; საჩივრების განხილვის პროცესი.	პირისპირ შეხვედრები; ტრენინგები / სემინარები; მოწვევა საჯარო / თემის შეხვედრებზე.	საჭიროების მიხედვით	სგდ (გარემოსა და სოციალური საკითხების ჯგუფი, პროექტის მენეჯერი, მიწის შესყიდვისა და რეგისტრაციის სამმართველო); RAP კონსულტანტი;

პროექტის ეტაპი	სამიზნე დაინტერესებული პირები	ჩართულობის თემები	გამოყენებული მეთოდ(ებ)ი	ადგილმდებარეობა/ სიხშირე	პასუხისმგებლობ ები
მშენებლობა (მობილიზაცია, მშენებლობა, დემობილიზაცია)	**პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარეები** - მიწის შესყიდვის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობა; საპროექტო ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა; მოწყვლადი ოჯახები.	მიწის შესყიდვის პროცესი; (მიწის ნაკვეთების რეგისტრაცია; კომპენსაციის განაკვეთები და მეთოდოლოგია; საარსებო წყაროს აღდგენა); საჩივრების განხილვის პროცესი. ზემოქმედებები ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოებაზე (EMF, მშენებლობასთან დაკავშირებული უსაფრთხოების ზომები); დასაქმების შესაძლებლობები; გარემოსდაცვითი საკითხები; გენდერული ძალადობის შესახებ ცნობიერების ამაღლება; ინფორმაცია და პროცესები მორგებული იქნება ზემოქმედების ქვეშ მყოფი ჯგუფების საჭიროებებზე, განსაკუთრებით გათვალისწინებული იქნება მოწყვლადი შინამეურნეობების საჭიროებები ენის, წიგნიერების, კონსულტაციების დროისა და ადგილის, ინფორმაციისა და პროცედურების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.	საჯარო შეხვედრები, ტრენინგები /სემინარები, ცალკე შეხვედრები სპეციალურად ქალებისთვის და მოწყვლადი პირებისთვის; ინდივიდუალური მუშაობა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებთან. მასობრივი საინფორმაციო საშუალებები / სოციალური მედია კომუნიკაცია - Facebook, ვებგვერდი. წერილობითი ინფორმაციის გამოქვეყნება - ბროშურები, პოსტერები, ფლაერები, ვებ-გვერდი საინფორმაციო დაფები - მუნიციპალიტეტებში და ბანაკებში; საჩივრების განხილვის მექანიზმი; მოქალაქეთა/პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების გამოკითხვა - განსახლების და/ან მშენებლობის დასრულების შემდეგ	ყოველთვიური/ყოველ კვარტალური შეხვედრები ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მუნიციპალიტეტებში და სოფლებში, სადაც მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები; კომუნიკაცია მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით /სოციალური მედიით (საჭიროების შემთხვევაში); საინფორმაციო დაფები ბროშურებით / პოსტერებით ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მუნიციპალიტეტებში (უწყვეტი).	სგდ (გარემოსა და სოციალური საკითხების ჯგუფი, პროექტის მენეჯერი, მიწის შესყიდვისა და რეგისტრაციის სამმართველო); RAP კონსულტანტი; ზედამხედველი კონსულტანტი; კონტრაქტორი/ქვე კონტრაქტორი; არასამთავრობოებ ი/ტრენერები; მუნიციპალიტეტი ს საჩივრების განხილვის კომიტეტი

პროექტის ეტაპი	სამიზნე დაინტერესებული პირები	ჩართულობის თემები	გამოყენებული მეთოდ(ებ)ი	ადგილმდებარეობა/ სიხშირე	პასუხისმგებლობ ები
	სხვა დაინტერესებული მხარეები (გარე) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო; მუნიციპალიტეტები (მათ შორის მერის წარმომადგენლები სოფლებში)	მიწის შესყიდვის პროცესი ; მიწის ნაკვეთების რეგისტრაცია; განსახლების და საარსებო საშუალებების აღდგენის ვარიანტები; პროექტის ფარგლები, დასაბუთება და E&S პრინციპები; საჩივრების განხილვის პროცესი.	პირისპირ შეხვედრები; ერთობლივი საჯარო/თემის შეხვედრების პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებთან	ყოველკვირეულად (საჭიროების მიხედვით)	სგდ (გარემოსა და სოციალური საკითხების ჯგუფი, პროექტის მენეჯერი, მიწის შესყიდვისა და რეგისტრაციის სამმართველო); RAP კონსულტანტი; ზედამხედველი კონსულტანტი; კონტრაქტორი/ქვე კონტრაქტორი;

პროექტის ეტაპი	სამიზნე დაინტერესებული პირები	ჩართულობის თემები	გამოყენებული მეთოდ(ებ)ი	ადგილმდებარეობა/ სიხშირე	პასუხისმგებლობ ები
	სხვა დაინტერესებული მხარეები (გარე) პრესა და მედია; არასამთავრობო ორგანიზაციები; ბიზნესები და ბიზნეს ორგანიზაციები; მუშათა ორგანიზაციები; სამეცნიერო დაწესებულებები; სახელმწიფო სამინისტროები; ადგილობრივი სამთავრობო უწყებები; ფართო საზოგადოება, ტურისტები, სამუშაოს მაძიებლები	პროექტის შესახებ ინფორმაცია - ფარგლები, დასაბუთება და E&S პრინციპები; კოორდინაციის ღონისძიებები; მიწის შესყიდვის პროცესი; ზემოქმედება ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოებაზე; დასაქმების შესაძლებლობები; გარემოსდაცვითი საკითხები; საჩივრების განხილვის პროცესი.	საჯარო შეხვედრები, ტრენინგები /სემინარები; მასობრივი საინფორმაციო საშუალებები / სოციალური მედია კომუნიკაცია - Facebook, ვებგვედი; წერილობითი ინფორმაციის გამოქვეყნება - ბროშურები, პოსტერები, ფლაერები, ვებ-გვერდი; საინფორმაციო დაფები - მუნიციპალიტეტებში და ბანაკებში; საჩივრების განხილვის მექანიზმი; მედიისა და ადგილობრივი წარმომადგენლებისთვის პროექტის ფარგლებში საინფორმაციო ტურების ორგანიზება.	ყოველთვიური/ყოველ კვარტალური შეხვედრები ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მუნიციპალიტეტებში და სოფლებში, სადაც მიმდინარეობს მშენებლობა; კომუნიკაცია მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით /სოციალური მედიით (საჭიროების შემთხვევაში); საინფორმაციო დაფები ბროშურებით / პოსტერებით ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მუნიციპალიტეტებში (უწყვეტი).	სგდ (გარემოსა და სოციალური საკითხების ჯგუფი, პროექტის მენეჯერი, მიწის შესყიდვისა და რეგისტრაციის სამმართველო);

პროექტის ეტაპი	სამიზნე დაინტერესებული პირები	ჩართულობის თემები	გამოყენებული მეთოდ(ებ)ი	ადგილმდებარეობა/ სიხშირე	პასუხისმგებლობ ები
	სხვა დაინტერესებული მხარეები (შიდა) სგდ-ს სხვა პერსონალი; ზედამხედველი კონსულტანტი; კონტრაქტორი, ქვე-კონტრაქტორები, მომსახურების პროვაიდერები, მომწოდებლები და მათი მუშახელი.	პროექტის შესახებ ინფორმაცია - ფარგლები, დასაბუთება და E&S პრინციპები; ტრენინგი ESIA და სხვა ქვე-მართვის გეგმების შესახებ; საჩივრების განხილვის პროცესი.	პირისპირ შეხვედრები; ტრენინგები / სემინარები; მოწვევა საჯარო / თემის შეხვედრებზე.	საჭიროების მიხედვით	სგდ (გარემოსა და სოციალური საკითხების ჯგუფი, პროექტის მენეჯერი, მიწის შესყიდვისა და რეგისტრაციის სამმართველო); RAP კონსულტანტი; ზედამხედველი კონსულტანტი; კონტრაქტორი/ქვე კონტრაქტორი;

მშენებლობის შემდგომი და ექსპლოატაციის ფაზა (პროექტის სასიცოცხლო ციკლის და დეფექტების გამოსწორების საგარანტიო პერიოდის განმავლობაში)	**პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარეები -** მიწის შესყიდვის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირები; საპროექტო ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა; მოწყვლადი ოჯახები.	კმაყოფილება ჩართულობის ღონისძიებებითა და საჩივრების განხილვის მექანიზმით; საჩივრების განხილვის პროცესი; საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და უსაფრთხოების ღონისძიებები TL-ის ექსპლოატაციის პერიოდში; განსახლების კომპენსაციის შეფასება და მიწების გადაცემის პროცესის დასრულება (ზემოქმედების ქვეშ მოქცეული იმ პირებისთვის, რომლებსაც ჯერ კიდევ არ მიუღიათ, ასეთის არსებობის შემთხვევაში). ინფორმაცია და პროცესები მორგებული იქნება ზემოქმედების ქვეშ მყოფი ჯგუფების საჭიროებებზე, განსაკუთრებით გათვალისწინებული იქნება მოწყვლადი შინამეურნეობების საჭიროებები ენის, წიგნიერების, კონსულტაციების დროისა და ადგილის, ინფორმაციისა და პროცედურების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.	საჯარო შეხვედრები, ტრენინგები /სემინარები, ინდივიდუალური მუშაობა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებთან; მასობრივი საინფორმაციო საშუალებები / სოციალური მედია კომუნიკაცია - Facebook, ვებგვერდი. წერილობითი ინფორმაციის გამოქვეყნება - ბროშურები, პოსტერები, ფლაერები, ვებ-გვერდი საინფორმაციო დაფები - მუნიციპალიტეტებში და ბანაკებში; საჩივრების განხილვის მექანიზმი; პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების გამოკითხვა - განსახლების დასრულების შემდეგ	შეხვედრები ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მუნიციპალიტეტებში და სოფლებში (ექვს თვეში ერთხელ); ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ სოფლებში მოქალაქეების/ პირების გამოკითხვა; კომუნიკაცია მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით სოციალური მედიით (საჭიროების შემთხვევაში); საინფორმაციო დაფები ბროშურებით / პოსტერებით ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მუნიციპალიტეტებში (უწყვეტი).	სგდ (გარემოსა და სოციალური საკითხების ჯგუფი, პროექტის მენეჯერი, მიწის შესყიდვისა და რეგისტრაციის სამმართველო); RAP კონსულტანტი; ზედამხედველი კონსულტანტი; კონტრაქტორი/ ქვეკონტრაქტორი;

პროექტის ეტაპი	სამიზნე დაინტერესებული პირები	ჩართულობის თემები	გამოყენებული მეთოდ(ებ)ი	ადგილმდებარეობა/ სიხშირე	პასუხისმგებლობ ები
	სხვა დაინტერესებული მხარეები (გარე) პრესა და მედია ; არასამთავრობო ორგანიზაციები; ბიზნესები და ბიზნეს ორგანიზაციები; მუშათა ორგანიზაციები; სამეცნიერო დაწესებულებები; სახელმწიფო სამინისტროები; ადგილობრივი სამთავრობო უწყებები; ფართო საზოგადოება, ტურისტები, სამუშაოს მაძიებლები	საჩივრების განხილვის პროცესი; საზოგადოების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება მშენებლობისა და ექსპლოატაციის დროს	საჯარო შეხვედრები, ტრენინგები /სემინარები; მასობრივი საინფორმაციო საშუალებები / სოციალური მედია კომუნიკაცია - Facebook, ვებგვედი; წერილობითი ინფორმაციის გამოქვეყნება - ბროშურები, პოსტერები, ფლაერები, ვებ-გვერდი; საინფორმაციო დაფები - მუნიციპალიტეტებში და ბანაკებში; საჩივრების განხილვის მექანიზმი; მედიისა და ადგილობრივი წარმომადგენლებისთვის პროექტის ფარგლებში საინფორმაციო ტურების ორგანიზება.	შეხვედრები ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მუნიციპალიტეტებში (ექვს თვეში ერთხელ); კომუნიკაცია მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით სოციალური მედიით (საჭიროების შემთხვევაში); საინფორმაციო დაფები ბროშურებით / პოსტერებით ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მუნიციპალიტეტებში (უწყვეტი).	სგდ (გარემოსა და სოციალური საკითხების ჯგუფი, პროექტის მენეჯერი, მიწის შესყიდვისა და რეგისტრაციის სამმართველო);

4.1 დეტალები ჩართულობის გამოსაყენებელი მეთოდების შესახებ

4.1.1 საჯარო/თემის შეხვედრები

პროექტის დაწყებისას, სგდ და კონსულტანტები უზრუნველყოფენ პროექტის დაწყებასთან დაკავშირებული შეხვედრების ორგანიზებას მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში. ამის შემდეგ, პროექტის მენეჯერი დაეხმარება თემის შეხვედრების/ცნობიერების ამაღლების სესიების ორგანიზებას სოფლებში ყოველკვარტალურად და მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება დამატებითი შეხვედრები პროექტის განხორციელების პერიოდში. ESIA-სა და RAP-ის ანგარიშების ფარგლებში ჩატარებული სოციალურ-ეკონომიკური კვლევის საფუძველზე, დადგინდა იმ შინამეურნეობების რაოდენობა, რომელთაც ჰყავთ მოწყვლადი ოჯახის წევრები. ინფორმაცია პროექტის ზემოქმედების შესახებ უშუალოდ მიეწოდებოდათ მათ ოჯახში ვიზიტების მეშვეობით, გარდა ამისა, სამუშაოსთან დაკავშირებული სპეციალური ტრენინგები იქნება მათთვის შეთავაზებული.

4.1.2 მასობრივი საინფორმაციო საშუალებები /სოციალური მედია კომუნიკაცია

სგდ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო პროექტში ჩართულობისთვის გამოყოფს კონკრეტულ პირს, რათა განათავსოს ინფორმაცია სგდ-ს ვებგვერდზე, Twitter-სა და Facebook-ის გვერდებზე და კომუნიკაცია იქონიოს ადგილობრივ მოსახლეობასთან სოციალური მედია კამპანიების საშუალებით და მონიტორინგი გაუწიოს მედიას/სოციალურ მედიას და შეამოწმოს არის თუ არა პროექტთან დაკავშირებული რაიმე პრობლემა. პროექტთან დაკავშირებული ნებისმიერი პრეტენზიის შემთხვევაში, პრეტენზიები დაუყოვნებლივ გადაეგზავნება გარემოსა და სოციალურ საკითხთა სამსახურს შემდგომი განხილვისა და რეაგირებისთვის. სოციალური მედიის საშუალებები მაქსიმალურად იქნება გამოყენებული ინფორმაციის გასავრცელებლად, რადგან სოციალური მედიის (განსაკუთრებით Facebook, Twitter) გამოყენების მაჩვენებლები მაღალია პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემებში სხვადასხვა ასაკისა და წარმომავლობის მომხმარებლებში.

საავტომობილო გზების დეპარტამენტი პერიოდულად, მათ შორის პროექტის ძირითადი ეტაპების მიმდინარეობისას, გამოაქვეყნებს მოკლე საინფორმაციო მასალებს („უკუკავშირის ბარათები“) საკუთარ ოფიციალურ Facebook გვერდზე. აღნიშნული მასალები შეაჯამებს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ კონსულტაციების პროცესში წამოჭრილ ძირითად საკითხებს, კომენტარებსა და წინადადებებს, ასევე განმარტავს, თუ როგორ იქნა გათვალისწინებული და განხილული აღნიშნული უკუკავშირი პროექტის ფარგლებში.

უკუკავშირის ბარათები წარმოდგენილი იქნება ლაკონურ და გასაგებ ფორმატში და იმოქმედებს როგორც დამატებითი, არაფორმალური არხი კონსულტაციების შედეგების გასაზიარებლად და დაინტერესებული მხარეების მოსაზრებებზე რეაგირების დემონსტრირებისთვის. აღნიშნული მიდგომა არ ანაცვლებს ფორმალურ საჩივრების განხილვის მექანიზმს, არამედ სრულყოფს მას გამჭვირვალობის გაზრდით და ცნობიერების ამაღლებით იმის შესახებ, თუ როგორ აისახება დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი საპროექტო გადაწყვეტილებებში.

დაინტერესებული მხარეები კვლავაც წახალისდებიან გამოიყენონ პროექტის საჩივრების განხილვის მექანიზმი ოფიციალური საჩივრებისა და უკმაყოფილების წარსადგენად, ხოლო პერიოდული უკუკავშირის ბარათები ხელს შეუწყობს ინფორმაციის უფრო ფართო გავრცელებას და ნდობის გაძლიერებას უკუკავშირის ციკლის თვალსაჩინო დახურვის გზით.

4.1.3 სარეკლამო-საინფორმაციო მასალები

წერილობითი ინფორმაცია საზოგადოებას მიეწოდება სხვადასხვა სარეკლამო-საინფორმაციო მასალების მეშვეობით, მათ შორის ბროშურებით, ფლაერებით, პოსტერებით და ა.შ. საზოგადოებასთან ურთიერთობების მასალების კომპლექტი შემუშავდება სპეციალურად და გავრცელდება ბუჭდური და ელექტრონული ფორმით. სგდ ასევე რეგულარულად განაახლებს თავის ვებგვერდს (მინიმუმ კვარტალურში ერთხელ), განაახლებს რა ინფორმაციას ძირითად პროექტზე და პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობის შესახებ ანგარიშებით, როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ენებზე. ვებგვერდი ასევე მოგაწვდით ინფორმაციას პროექტის საჩივრების განხილვის მექანიზმის შესახებ (იხილეთ შემდეგი ქვეთავი).

4.1.4 საჩივრების განხილვის მექანიზმი

მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტის ESS10-ის მოთხოვნების შესაბამისად, პროექტისთვის შეიქმნება საჩივრების განხილვის სპეციალური მექანიზმი (GRM). აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს, რომ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებს შეეძლოთ საჩივრის წარდგენა აქტივებთან ან შემოსავლის წყაროებთან დაკავშირებულ საქმიანობასა და კომპენსაციის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, აგრეთვე პროექტთან დაკავშირებულ სხვა პრობლემებსა თუ შეშფოთებებზე. ყველა ტიპის საჩივარი რეგისტრირებული იქნება GRM სისტემაში. უზრუნველყოფილი იქნება ანონიმური საჩივრების მიღება, აღრიცხვა და განხილვა შესაძლებლობის ფარგლებში. ასევე შემუშავდება GRM სახელმძღვანელო, ხოლო წინადადებების ყუთები განთავსდება თითოეულ ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ სოფელში. საჩივრების მიღებისა და მართვის მიზნით, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა დაგეგმა და შეიმუშავა სპეციალური ელექტრონული GRM სისტემა/მონაცემთა ბაზა.

მუნიციპალურ დონეზე შექმნილი საჩივრების განხილვის კომიტეტები გაივლიან შესაბამის ტრენინგს საჩივრების მიღების, რეაგირების, განხილვისა და დახურვის პროცედურებზე, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად. შიდა ტრენინგები საჩივრების მართვის მექანიზმებთან დაკავშირებით ჩაუტარდება აგრეთვე სგდ-ს კონტრაქტორი კომპანიების პერსონალს. საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებგვერდზე განთავსდება მკაფიო ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლიათ დაინტერესებულ პირებს წარადგინონ უკუკავშირი, შეკითხვები, კომენტარები, საკითხები და საჩივრები, მათ შორის საჩივრების ელექტრონულად წარდგენის შესაძლებლობა. ვებგვერდი ასევე მოიცავს ინფორმაციას GRM კომიტეტების მუშაობის წესებისა და ვადების შესახებ. საჩივრების წარსადგენად უზრუნველყოფილი იქნება მრავალარხიანი მიდგომა, მათ შორის ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის, საფოსტო გზავნილის, ვებგვერდზე კომენტარების ველისა და სოციალური მედიის გამოყენება. ადგილზე, სიტყვიერად წარდგენილი საჩივრებიც დარეგისტრირდება და დამუშავდება GRM-ის მეშვეობით. პროექტის ფარგლებში შემუშავდება სპეციალური საინფორმაციო

მასალები (GRM ბროშურები, პოსტერები), რათა ადგილობრივ მოსახლეობას მიეწოდოს მკაფიო ინფორმაცია საჩივრების წარდგენის არხებისა და პროცედურების შესახებ.

4.1.5 პროექტის ფარგლებში საინფორმაციო ტურები მედიისთვის, არასამთავრობო ორგანიზაციის და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის

მშენებლობის ეტაპის განმავლობაში, შესაბამის დროს მოეწყობა ვიზიტები ობიექტზე ან საინფორმაციო/საჩვენებელი ტურები შერჩეული დაინტერესებული მხარეებისთვის ადგილობრივი მედიის წარმომადგენლებისთვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებისთვის.

4.1.6 საინფორმაციო დაფები

მუნიციპალიტეტში განთავსებული საინფორმაციო დაფები ადგილობრივ მოსახლეობას მიაწვდის ინფორმაციას დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ღონისძიებების, მშენებლობის მიმდინარეობისა და საავტომობილო გზების დეპარტამენტის პროექტის მენეჯერის საკონტაქტო მონაცემების შესახებ. პროექტთან დაკავშირებულ სხვადასხვა სოციალურ და გარემოსდაცვით საკითხებზე მომზადებული ბროშურები და ფლაერები ხელმისაწვდომი იქნება აღნიშნულ საინფორმაციო დაფებზე, როგორც მუნიციპალიტეტში, ისე სამშენებლო ბანაკების ტერიტორიაზე.

4.1.7 საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა/ ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების აღქმის კვლევა

პროექტის სიცოცხლის ციკლის განმავლობაში ორჯერ ჩატარდება მოქალაქეთა გამოცდილებისა და უკუკავშირის კვლევა პროექტის აღქმის შესახებ: პირველად — პროექტის განხორციელების შუა ეტაპზე, ხოლო მეორედ — პროექტის განხორციელების დასრულებისას.

4.1.8 ტრენინგები, სემინარები

და ბოლოს, სხვადასხვა სოციალურ და გარემოსდაცვით საკითხებზე ტრენინგები უზრუნველყოფილი იქნება საავტომობილო გზების დეპარტამენტის თანამშრომლებისა და კონტრაქტორი კომპანიების პერსონალისთვის, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი სამთავრობო და არასამთავრობო მომსახურების მომწოდებლებისთვის. განსახილველი თემები მოიცავს, მათ შორის, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოწყვლადი პირებისთვის ინფორმაციის მიწოდებას ადაპტირებული და ხელმისაწვდომი ფორმით (მაგალითად, ბეჭდური მასალების მომზადება, ინფორმაციის თარგმნა, კონსულტაციების მოდერაცია მათთვის გასაგებ ენებზე, საკონსულტაციო სივრცეების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, სამუშაოსთან დაკავშირებული ტრენინგების მათი საჭიროებების შესაბამისად მორგება და სხვა), აგრეთვე გენდერული ნიშნით ძალადობის რისკების შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

4.2. მოწყვლადი ჯგუფების მოსაზრების/ხედვის გათვალისწინების შემოთავაზებული სტრატეგია

პროექტის ფარგლებში მიიღება სპეციალური ზომები იმისათვის, რომ სოციალურად დაუცველ და მოწყვლად ჯგუფებს ჰქონდეთ ინფორმაციაზე წვდომის, უკუკავშირის ან საჩივრების წარდგენის თანაბარი შესაძლებლობები, როგორც ეს აღწერილია ზევით მოცემულ 4.1.4 ქვეპუნქტში. პროექტის მენეჯერი უზრუნველყოფს მოსახლეობის ყველა ჯგუფისთვის პროაქტიულ ურთიერთობას. ტრენინგები და ცნობიერების ამაღლების სესიები ჩატარდება უშუალოდ სოფლებში და არა მუნიციპალურ ცენტრში, რათა უზრუნველყოფილი იყოს მიზნობრივი მოსახლეობის უფრო ფართო და მაღალი ჩართულობა (დაბალანსებული სქესის და ასაკის მიხედვით). ასევე გათვალისწინებული იქნება მოწყვლადი ჯგუფებისთვის და უმცირესობებისთვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სპეციალურად გამოყოფილი ფოკუს ჯგუფები.

4.3. ინფორმაციის გასაჯაროვება

საავტომობილო გზების დეპარტამენტის მოქმედი ვებგვერდი (www.georoad.ge) გამოყენებული იქნება საპროექტო დოკუმენტაციის, მათ შორის გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოსაქვეყნებლად ქართულ და ინგლისურ ენებზე. მსოფლიო ბანკის დაფინანსების ძალაში შესვლამდე, დეპარტამენტი საკუთარ ვებგვერდზე შექმნის პროექტისთვის სპეციალურ განყოფილებას. პროექტთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური მონიტორინგის ყველა შემდგომი ანგარიში, რომლებიც ზემოაღნიშნულ თავებშია მითითებული, გამოქვეყნდება აღნიშნულ ვებგვერდზე.

სგდ-ს ვებ-გვერდზე ასევე განთავსდება პროექტის შესახებ განახლებული ინფორმაციები (მათ შორის ახალი ცნობები სამშენებლო საქმიანობების შესახებ და შესაბამისი მონაცემები ბუნებრივი და სოციალური გარემოს შესახებ); ასევე წარმოდგენილი იქნება გარემოსდაცვით და სოციალურ ანგარიშებში ან დოკუმენტებში გამოყენებული ტერმინოლოგიის მარტივად გასაგები სახელმძღვანელო და განთავსდება საინფორმაციო ბროშურები / ფლაერები. პროექტის ფარგლებში საჩივრების განხილვის მექანიზმის დეტალები განთავსდება ვებ-გვერდზე. საჩივრების წარდგენის ელექტრონული ფორმა ასევე ხელიმისაწვდომი იქნება სგდ-ს ვებგვერდზე. ასევე გამოქვეყნდება გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების გუნდისა და ცენტრალური ოფისების საკონტაქტო ინფორმაცია. ვებგვერდი განახლდება რეგულარულად, მინიმუმ კვარტალში ერთხელ.

საავტომობილო გზების დეპარტამენტი გააგრძელებს პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოქვეყნებას პროექტის მშენებლობისა და განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში. მიწოდებული ინფორმაცია იქნება გასაგები, ხელმისაწვდომი და კულტურულად შესაბამისი. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა იმ ჯგუფების საჭიროებებს, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეთ სპეციფიკური ბარიერები, მათ შორის ეთნიკური კუთვნილება, შეზღუდული შესაძლებლობები, წიგნიერების დონე, სქესი, ასაკი, მობილურობა, ენობრივი განსხვავებები ან ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული სირთულეები.

4.3.1. კონფიდენციალურობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის პროტოკოლი

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტის ESS10-ის მოთხოვნების შესაბამისად, პროექტი უზრუნველყოფს, რომ დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ყველა აქტივობა განხორციელდეს კონფიდენციალურობისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის სრული დაცვით.

კონსულტაციების პროცესში მიღებული ნებისმიერი პერსონალური ან მგრძნობიარე ინფორმაცია, მათ შორის სახელები, მისამართები, ტელეფონის ნომრები ან სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემები, შეგროვდება და დამუშავდება მოქმედი მონაცემთა დაცვის სტანდარტების შესაბამისად.

აღნიშნული ინფორმაცია უსაფრთხოდ შეინახება პაროლით დაცულ ელექტრონულ მოწყობილობებზე, რომლებზეც წვდომა ექნება მხოლოდ საავტომობილო გზების დეპარტამენტის უფლებამოსილ პერსონალს და ინჟინრისა და/ან კონტრაქტორის სოციალურ გუნდს, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართული დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციასა და საჩივრების განხილვის პროცესში. იმ შემთხვევაში, როდესაც პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტები, კონსულტაციების ოქმები ან ჩართულობის ჩანაწერები საჯაროდ გამოქვეყნდება (ვებგვერდებზე ან თემების საინფორმაციო დაფებზე), ნებისმიერი პირადი იდენტიფიკატორი (მაგალითად, მონაწილეთა სახელები ან საკონტაქტო მონაცემები) დამალული (დაფარული) იქნება კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით.

დაინტერესებულ მხარეებთან დაკავშირებული ინფორმაციის დამმუშავებელი ყველა თანამშრომელი წინასწარ იქნება ინფორმირებული კონფიდენციალურობის დაცვის მოთხოვნების შესახებ და ვალდებული იქნება გამოიყენოს ასეთი მონაცემები მხოლოდ პროექტთან დაკავშირებული მიზნებისთვის. პერსონალურ მონაცემებთან ნებისმიერი უნებართვო წვდომა, გამოყენება ან გაზიარება მკაცრად აკრძალულია და დაექვემდებარება შიდა კონტროლის.

5.0. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის როლი, პასუხისმგებლობები და რესურსები

5.1. განხორციელების ზომები

საავტომობილო გზების დეპარტამენტი მოახდენს ადამიანური და მატერიალური რესურსების მობილიზებას დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის განხორციელების და საჩივრების განხილვის მექანიზმის (GRM) მართვის მიზნით. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის ღონისძიებებს უხელმძღვანელებს სგდ-ს გარემოსა და სოციალურ საკითხთა სამსახური შესაბამისი პასუხისმგებლობებით და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო. სოციალური და გარემოსდაცვითი გუნდი, კონკრეტულად პროექტის დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის სპეციალისტი, აიღებს პასუხისმგებლობას დაინტერესებულ პირთა ჩართულობის ყველა საკითხის წარმართავსა და კოორდინაციაზე. საჭიროების შემთხვევაში, გუნდს დაეხმარებიან ნახევარ განაკვეთზე და სრულ განაკვეთზე მომუშავე კონსულტანტები. კომუნიკაციის სპეციალისტი და ფასილიტატორი საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოდან შეადგენენ SEP-ის გუნდის განუყოფელ ნაწილს. გარემოსა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი მთლიანად იქნება პასუხისმგებელი საჩივრების განხილვის და დაკმაყოფილების მექანიზმზე. პროექტთან დაკავშირებული საჩივრების კოორდინატორი/საკონტაქტო პირი ასევე არის გარემოსა და სოციალურ საკითხთა სამსახურის გუნდის წევრი. გარდა ამისა, განსახლების სამმართველოს განსახლების

სპეციალისტები მონაწილეობას მიიღებენ განსახლების სამოქმედო გეგმ(ებ)ის (RAP(s)) განხორციელებაში. გარემოსა და სოციალური სფეროს სპეციალისტები პასუხისმგებელნი იქნებიან ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასებაზე და პროექტის შესრულებაზე. პროექტის განხორციელების პროცესში აღნიშნული ფუნქციებისთვის სპეციალურად დასახელდება პერსონალი.

სგდ-ს მიერ მობილიზებული მატერიალური რესურსებია – (i) სგდ-ს ვებგვერდზე პროექტისათვის გამოყოფილი სპეციალური ადგილი; (ii) საჩივრების ელექტრონული მონაცემთა ბაზა; (iii) დაინტერესებულ პირთა ჩართულობის რეესტრი; (iv) სგდ-ს Facebook გვერდი; (v) დაბეჭდილი დოკუმენტები (სახელმძღვანელოები, ბროშურები, პოსტერები და სხვა), რომლებიც გამოყენებული იქნება დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმის საჭიროებების საფუძველზე.

SEP-ის განხორციელებაზე პასუხისმგებელია სგდ. კონტრაქტორებსა და ქვეკონტრაქტორებს (მათ შორის PMS კონტრაქტორს) არ გააჩნიათ უფლებამოსილება დამოუკიდებლად განახორციელონ დაინტერესებულ მხარეებთან ჩართულობის ღონისძიებები, თუმცა ისინი ვალდებულნი არიან აქტიურად ითანამშრომლონ სგდ-სთან SEP-ის ფარგლებში. ამასთანავე, კონტრაქტორები ადგილობრივ დონეზე მიღებულ საჩივრებს განიხილავენ, თუმცა დაინტერესებული მხარეების მხრიდან მიმართვის შემთხვევაში ვალდებულნი არიან აღნიშნული საჩივრები დაუყოვნებლივ გადაუგზავნონ სგდ-ს. სგდ, კონტრაქტორები და ქვეკონტრაქტორები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ რეგულარული კომუნიკაცია სამუშაოების მიმდინარეობისა და ნებისმიერი წარმოშობილი საკითხის განხილვის მიზნით, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს დაინტერესებულ მხარეებთან ჩართულობის პროცესში. ასევე, კონტრაქტორები და ქვეკონტრაქტორები პერიოდულად წარუდგენენ სგდ-ს სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშებს, რათა ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდეს დაინტერესებული მხარეებისთვის დაგეგმილი აქტივობების განხორციელებისას.

სგდ უზრუნველყოფს დაინტერესებულ მხარეებთან ჩართულობის ყველა აქტივობის დოკუმენტირებას და მათ შენახვას დაინტერესებულ მხარეებთან ჩართულობის ღონისძიებების რეესტრში. აღნიშნული რეესტრი მოიცავს ყველა შესაბამის მასალას, მათ შორის მართვის ფორმებს, შეხვედრების ოქმებს, ფოტომასალას, აგრეთვე ღონისძიებების ორგანიზებისა და ჩატარების პროცესში გამოყენებულ ან მომზადებულ დოკუმენტებს (როგორიცაა განცხადებები, პლაკატები, ბროშურები, პრეზენტაციები, მონაწილეთა სიები და სხვა). ამასთან, სგდ შეიმუშავებს და უზრუნველყოფს კონფიდენციალურობის შესაბამისი პროტოკოლების დაცვას პერსონალური ინფორმაციის შეგროვების, შენახვისა და გამჟღავნების პროცესში.

5.2. როლი და პასუხისმგებლობები

სგდ-ს გარემოსა და სოციალურ საკითხთა გუნდი და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო აიღებს პასუხისმგებლობას დაინტერესებულ პირთა ჩართულობის ყველა საკითხის ხელმძღვანელობაზე. თუმცა, დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმაში გათვალისწინებული სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებისთვის, გარემოსა და სოციალურ საკითხთა გუნდმა მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს სხვა დაინტერესებულ პირებთან - სხვა სახელმწიფო და ადგილობრივ სამთავრობო დეპარტამენტებთან / უწყებებთან, სგდ-ს სამსახურებთან, ზედამხედველ კონსულტანტებთან და ESIA/RAP კონსულტანტებთან, კონტრაქტორთან და ქვე-კონტრაქტორებთან, ასევე, ზემოქმედების ქვეშ მყოფ მუნიციპალიტეტებთან და ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მხარეებთან. აღნიშნული პირების / დაინტერესებული მხარეების როლები და პასუხისმგებლობები შეჯამებულია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში.

აღნიშნულ მხარეთა როლები და პასუხისმგებლობები შეჯამებულია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში.

ცხრილი 6: მთავარი მოქმედი პირების / დაინტერესებული მხარეების პასუხისმგებლობები დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმის (SEP) განხორციელებაში

მოქმედი პირი / დაინტერესებული მხარე	პასუხისმგებლობები
სგდ-ს გარემოსა და სოციალურ საკითხთა გუნდი	• დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმის და სხვადასხვა გეგმების (გსგ, ESIA და სხვათა) შედგენა და განხორციელება; • დაინტერესებულ პირთა ჩართულობის ღონისძიებების ხელმძღვანელობა; • საჩივრების მართვა და დაკმაყოფილება; • დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმის ღონისძიებებზე კონტრაქტორების კოორდინაცია / ზედამხედველობა; • განსახლების სამოქმედო გეგმის (RAP) და განხორციელების კონსულტანტების ზედამხედველობა / მონიტორინგი. • ეკოლოგიური და სოციალური ეფექტურობის მონიტორინგი და ანგარიშგება სგდ-ს ხელმძღვანელობის და მსოფლიო ბანკის წინაშე
ზედამხედველი კონსულტანტები	• კონტრაქტორის ზედამხედველობა/ მონიტორინგი. • ჩართულობის ღონისძიებების მართვა სამშენებლო ფაზის განმავლობაში
კონტრაქტორები/ქვეკონტრაქტორები	• სგდ-ს ინფორმირება დაინტერესებული პირების ჩართულობასთან დაკავშირებული ყველა საკითხის შესახებ; • სამშენებლო სამუშაოებით გამოწვეული საჩივრების წარდგენა და გადაწყვეტა სგდ-სთან / ზედამხედველ კონსულტანტთან მჭიდრო თანამშრომლობით და მათი ხელმძღვანელობით და ასევე მონაწილეობის მიღებით საჩივრების განხილვის ადგილობრივ კომიტეტში; • სხვადასხვა გეგმების (მაგ. C-ESMP, შრომის მართვის გეგმა და სხვა) მომზადება, გამოქვეყნება და განხორციელება; • ადგილობრივი თემების ინფორმირება გარემოს მონიტორინგის, მაგ. ხმაურის, ვიბრაციის, წყლის ხარისხის მონიტორინგის შესახებ. • მნიშვნელოვანი სამშენებლო საქმიანობების დაანონსება(როგორიცაა გზის გადაკეტვა და არსებული ლატერნატივები).
ეროვნულისახელმწიფო უწყებები - • ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.	• პროექტის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის მონიტორინგი.

• გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო • დაცული ტერიტორიების სააგენტო • კულტურის სამინისტრო • საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	• მონაწილეობა ESMP-ის (გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა), RPF-ის (განსახლების პოლიტიკის ჩარჩოდოკუმენტი) და SEP-ის (დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა) ფარგლებში განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელებაში • მიწის შესყიდვის პროცესის განხორციელებაში მონაწილეობის მიღება. • საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება და საზოგადოების ჩართვა სკოპინგის და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშების (EIA) შესახებ.
ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მუნიციპალიტეტები და ადგილობრივი თემები	• საჩივრების გადაცემა / წარდგენა სგდ-ს საჩივრების განხილვების მექანიზმის საკონტაქტო პირისთვის • მონაწილეობის მიღება საჩივრების განხილვის და დაკმაყოფილების ადგილობრივ კომიტეტში (იხილეთ ნაწილი 6.0. საჩივრების განხილვის მექანიზმი). • ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (ESIA) დოკუმენტების წარდგენა
პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობა	• მოწვეულნი არიან პროექტის შესახებ შეკითხვების დასმის და მონაწილეობის მიღების მიზნით პროექტთან დაკავშირებულ კრებებზე და გარემოსა და სოციალურ საკითხთა გუნდთან განხილვებში, თუ ეს საკითხი შედის მათი ინტერესების ფარგლებში ან ეხება მათ. • მათი საჩივრების დარეგისტრირება საჩივრების განხილვა / დაკმაყოფილების მექანიზმის გამოყენებით, რომელიც განსაზღვრულია დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმაში (ნაწილი 6.0 საჩივრების განხილვისა და დაკამყოფილებსი მექანიზმი). • პროექტის დახმარება შემარბილებელი ზომების განსაზღვრის საკითხში;
პროექტის სხვა ოგანიზატორები	• სგდ-თან თანამშრომლობა პროექტირებასთან დაკავშირებით; • სგდ-თვის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (ESIA) ინფორმაციის და დოკუმენტაციის გაზიარება კუმულაციური ზემოქმედებების შეფასების მიზნით.

5.3. სავარაუდო ბიუჯეტი

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის განხორციელებისთვის განსაზღვრულია წინასწარი ბიუჯეტი 75,000 აშშ დოლარის[7] ოდენობით, რომელიც გათვლილია 24-თვიან (არაუმეტეს ორი წლის) პერიოდზე. აღნიშნული ბიუჯეტი მოიცავს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროცესში მონაწილე პერსონალისა და კონსულტანტების ანაზღაურებას, მგზავრობის ხარჯებს, ბეჭდვისა და მედიის მომსახურებას, აგრეთვე სხვა აუცილებელ ხარჯებს, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის მუდმივ გამჟღავნებასა და დაინტერესებულ მხარეებთან ეფექტიან ჩართულობას.

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის აქტივობები ფარავს გარემოსდაცვით, სოციალურ და ექსპროპრიაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლებიც შესაძლოა სხვა პროექტის დოკუმენტების ნაწილიც იყოს და შესაბამისად გათვალისწინებული იყოს სხვა მართვის გეგმებში. ამასთან, სგდი გეგმას გადახედავს ყოველ ექვს თვეში ერთხელ, რათა შეფასდეს დაინტერესებულ მხარეთა კლასიფიკაციისა და ჩართულობის ფორმების შესაძლო ცვლილებების საჭიროება. საჭიროების შემთხვევაში, გეგმა განახლდება და გავრცელდება მისი ახალი ვერსია, ხოლო ბიუჯეტი შესაბამის ცვლილებებს დაექვემდებარება.

[7] დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის წინასწარი ბიუჯეტი თან ერთვის აღნიშნულ დოკუმენტს.

6.0. საჩივრების განხილვის მექანიზმი (GRM)

საჩივრების განხილვის მექანიზმი (GRM) უზრუნველყოფს პროექტის განხორციელების პროცესში წარმოშობილი საჩივრების ეფექტიან, დროულ და ხარჯთეფექტურ განხილვას, რომლებიც დაკავშირებულია სგდ-ს ან სგდ-ს მიერ დაქირავებული კონტრაქტორებისა და ქვეკონტრაქტორების საქმიანობასთან და წარდგენილია როგორც ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობის, ასევე სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ. მუშახელის საჩივრების განხილვის მიზნით შემუშავებულია ცალკე მექანიზმი, რომელიც ხორციელდება შრომის მართვის პროცედურების შესაბამისად. სგდ პასუხისმგებელია საჩივრების განხილვის მექანიზმის (GRM) საერთო მართვაზე. ამასთან, პროექტთან დაკავშირებული საჩივრების მნიშვნელოვანი ნაწილი შესაძლოა უკავშირდებოდეს კონტრაქტორის საქმიანობას და მათი გადაწყვეტა კონტრაქტორის პასუხისმგებლობის სფეროში შედიოდეს. სგდ, ზედამხედველი კონსულტანტის მხარდაჭერით, უზრუნველყოფს GRM პროცესის კოორდინაციას, განსაზღვრავს პასუხისმგებელ მხარეს (სგდ-ს ან კონტრაქტორს) და აამუშავებს საჩივრის გადაწყვეტის შესაბამის სამოქმედო გეგმას. ზედამხედველი კონსულტანტი, თავის მხრივ, უზრუნველყოფს კონტრაქტორის მიერ საჩივრების განხილვისა და გადაწყვეტის პროცესის მონიტორინგს.

პროექტის ფარგლებში მოქმედი საჩივრების განხილვის მექანიზმი (GRM) მოიცავს მიწისა და სხვა აქტივების შესყიდვასთან დაკავშირებულ საკითხებს (მაგ. კომპენსაციის ოდენობას, დარჩენილი მიწის ნაკვეთის გამოსადეგობას, მისასვლელი გზების დაკარგვას და სხვა მსგავს საკითხებს). ასევე, სამშენებლო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილ დანაკარგებსა და ზიანზე, აგრეთვე ნებისმიერ სხვა პირდაპირ ან ირიბ გარემოსდაცვით და სოციალურ ზემოქმედებაზე, მათ შორის სექსუალურ ექსპლუატაციასა და ძალადობასთან ან სექსუალურ შევიწროებასთან (SEA/SH) დაკავშირებულ საჩივრებზე. შესაბამისად, საჩივრების განხილვის მექანიზმი ამოქმედდა იმ ეტაპზე, როდესაც საავტომობილო გზების დეპარტამენტმა დაიწყო განსახლების სამოქმედო გეგმისა (RAP) და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (ESIA) მომზადება და ის ძალაში დარჩება სამშენებლო სამუშაოების დასრულებამდე და დეფექტების გამოსწორების საგარანტიო პერიოდის დასრულების ჩათვლით. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარეები (PAPs) და სხვა შესაძლო მომჩივნები სრულად იქნებიან ინფორმირებულნი GRM-ის არსებობის, მისი ფუნქციების, პროცედურების, ვადებისა და საკონტაქტო პირების შესახებ, როგორც ზეპირი კომუნიკაციის გზით, ასევე ბროშურებისა და სხვა საინფორმაციო მასალების საშუალებით, კონსულტაციების, შეხვედრებისა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის სხვა აქტივობების მიმდინარეობისას.

ავტობანის მშენებლობის პროექტების შესახებ ტიპიური საჩივრები უკავშირდება:

- მიწის შესყიდვას და ეკონომიკურ და ფიზიკურ ადგილმონაცვლეობას;
- სამშენებლო ზიანს (მტვერი, ვიბრაცია, ხმაური, მისასვლელი გზების შეზღუდვა, სარწყავი არხები);
- გარემოზე ზემოქმედებებს; და
- პირდაპირ და/ან არაპირდაპირ სოციალურ ზემოქმედებებს.

სგდ განახორციელებს საჩივრების განხილვის ეფექტურ მექანიზმს (GRM) იმისათვის, რომ შეძლებისდგვარად დაეხმაროს მესამე მხარეებს სასამართლო სისტემისთვის მიმართვის თავიდან აცილებაში. სგდ-ს საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების მექანიზმი (GRM) მოიცავს საჩივრების არასასამართლოს გზით განხილვის და დაკმაყოფილების სამ თანმიმდევრულ ეტაპს: (i) პირველი არის საჩივრების განხილვის კომიტეტი (GRC) ადგილობრივ დონეზე; (ii) მეორე არის GRM სგდ-ს ადგილობრივ დონეზე და ბოლოს (iii) მესამე არის საჩივრების დაკამყოფილების კომისია (GRC RD), რომლის შემადგენლობაში შედის სგდ-ს ხელმძღვანელობის ზედა რგოლი სგდ-ს სათაო ოფისში. მომჩივანებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს მიმართონ სასამართლო სისტემას. აღნიშნული ეტაპობრივი პროცესი ხელს არ შეუშლის მათ სასამართლოებისთვის მიმართვაში.

საჩივრებთან დაკავშირებული ყველა კორესპონდენცია იქნება დოკუმენტურად შედგენილი და საჩივრების გადაწყვეტის პროცესი სისტემატურად გაკონტროლდება. ანანიმური საჩივრებიც აღირიცხება და გამოძიებული იქნება, როგორც GRM-ის ნაწილი.

6.1. საჩივრების განხილვის პროცესი

საჩივრების განხილვის სამეტაპიანი მექანიზმი მოიცავს შემდეგ ძირითად ეტაპებს:

i. საჩივრების მიღება;
ii. საჩივრების დასაშვებობის შეფასება;
iii. საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტი (პირველი ეტაპი);
iv. საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ საჩივრების გადაწყვეტა ცენტრალურ დონეზე (მეორე ეტაპი);
v. საავტომობილო გზების დეპარტამენტის საჩივრების განხილვის კომისია (მესამე ეტაპი);
vi. საჩივრების დახურვა;
vii. საჩივრების აღრიცხვა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება.

აღნიშნული ეტაპების დეტალური აღწერა წარმოდგენილია ქვემოთ.

6.1.1. საჩივრების მიღება

ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობის ნებისმიერ პირს, ისევე როგორც ნებისმიერ პირს, რომელიც მიიჩნევს, რომ პროექტის ზემოქმედების ქვეშ იმყოფება, შეუძლია წარადგინოს საჩივარი:

- საჩივრების წარდგენა შესაძლებელია წერილობითი საჩივრების რეგისტრაციის ფორმის შევსების გზით, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება: (i) მუნიციპალიტეტში და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ სოფლებში; (ii) ყველა სამშენებლო მოედნისა და ბანაკის შესასვლელში განთავსებულ საჩივრების ყუთებში; (iii) სგდ-ის ვებგვერდზე; და (iv) გარემოსა და სოციალურ საკითხთა სამსახურში, თბილისში. საჩივრების რეგისტრაციის ფორმის ნიმუში წარმოდგენილია დანართ №4-ში. მიღებულ საჩივრებს განიხილავს პროექტის მენეჯერი და მათ აღრიცხავს საჩივრების რეესტრში.
- მუნიციპალიტეტის მერის ან შესაბამისი სოფლის მერის წარმომადგენლის მეშვეობით მუნიციპალურ დონეზე, საავტომობილო გზების დეპარტამენტის გარემოსა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსის მეშვეობით ეროვნულ დონეზე ან კონტრაქტორის გარემოსა

და სოციალური მენეჯერების მეშვეობით, ტელეფონით ან პირადად. ზეპირი ფორმით მიღებული საჩივრები პასუხისმგებელი პირის მიერ ჩაიწერება საჩივრების რეგისტრაციის ფორმაში და დარეგისტრირდება საჩივრების რეესტრში. საჩივრის რეგისტრაციის შესახებ მომჩივანს გაეგზავნება შეტყობინების წერილი, რომლითაც იგი ინფორმირებული იქნება, რომ საჩივარი მიღებულია და განხილვის პროცესშია.

- გზების დეპარტამენტის საკონტაქტო ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ, მე-6 თავში.

კონტრაქტორების და სგდ-ის გარემოსა და სოციალური საკითხების მენეჯერები, ასევე სგდ-ის გარემოსა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი, ადგილობრივ მოსახლეობას განუმარტავენ საჩივრის წარდგენის შესაძლებლობებსა და ხელმისაწვდომ საშუალებებს. აღნიშნული ინფორმაცია მიეწოდება როგორც უშუალო კომუნიკაციის გზით, ასევე სგდ-ის გარემოსა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსის მიერ თითოეულ ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ტერიტორიაზე ორგანიზებული შეხვედრების ფარგლებში. საჩივრების განხილვის მექანიზმის (GRM) პროცედურები გამოქვეყნდება სგდ-ს ვებგვერდზე და ასევე განთავსდება ბილბორდებისა და პოსტერების სახით თითოეულ თემში და სოფლების შესასვლელებში. GRM-ის შესახებ საინფორმაციო მასალა დამატებით ხელმისაწვდომი იქნება თითოეული მუნიციპალიტეტის შენობაში განთავსებულ საინფორმაციო დაფებზე.

ყველა საჩივრის რეგისტრაცია, ანგარიშგება და მონიტორინგი განხორციელდება სგდ-ის საჩივრების საკონტაქტო პირის მიერ, რომელიც პასუხისმგებელია საჩივრების მიღებაზე, რეგისტრაციაზე, გადამისამართებაზე და თვალყურის დევნებაზე. საჩივრის რეგისტრაციის შემდეგ მონიტორინგი მიმდინარეობს საჩივრის გამომწვევ მოვლენებზე, რათა თავიდან იქნას აცილებული მათი განმეორება. საჩივრების სტატუსის ნომერი და ტენდენციები განიხილება სგდ-ს, კონტრაქტორსა და ზედამხედველ კონსულტანტს შორის ყოველკვირეულ E&S შეხვედრებზე სამშენებლო ფაზის განმავლობაში.

6.1.2. საჩივრების დასაშვებობის შეფასება

საჩივრის მიღების შემდეგ, სგდ-ს გარემოსა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი ახორციელებს საჩივრის დასაშვებობის შეფასებას, კერძოდ, ადგენს, შეესაბამება თუ არა საჩივარი პროექტის ფარგლებს და/ან წარმოდგენილია თუ არა იმ ტერიტორიიდან, სადაც მიმდინარეობს პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები და შეიძლება თუ არა იყოს დაკავშირებული აღნიშნულ პროექტთან.

ყველა ტიპის საჩივრის გადაწყვეტა უნდა მოხდეს აღნიშნული ეტაპების გავლით, თუმცა დაინტერესებული მხარეების შემთხვევაში, ეს დამოკიდებული იქნება საჩივრის ხასიათზე. ყველა საჩივარი განიხილება ქვემოთ წარმოდგენილი სისტემის მეშვეობით, რომელშიც მონაწილეობას იღებენ სგდ-ს გარემოსა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი, საჩივრების კოორდინატორი და კონტრაქტორის საჩივრების განხილვის წარმომადგენელი და ზედახმედველი კონსულტანტები, როგორც პროექტის წარმომადგენლები. განსახლებასთან დაკავშირებული საჩივრები (მიწის შესყიდვა და მისი შედეგები) განიხილება განსახლების სამოქმედო გეგმის (RAP) კონსულტანტის მონაწილეობით მიწის შესყიდვასთან და განსახლებასთან დაკავშირებული საჩივრების გადაწყვეტისას.

სგდ-ს საჩივრების საკონტაქტო პირი/კოორდინატორი მოახდენს ყველა საჩივრის აღრიცხვას საჩივრების ელექტრონულ ჟურნალში. კერძოდ, აღირიცხება შემდეგი ინფორმაცია: (¡) სახელი და საკონტაქტო დეტალები, (ii) დეტალები საჩივრის შესახებ და მისი წარდგენის, დადასტურების, რეაგირების და დახურვის შესახებ. ყველა საჩივრი უნდა დადასტურდეს 7 დღის განმავლობაში და

რეაგირება მოხდეს არაუგვიანეს 30 დღის განმავლობაში. საჩივრის რეგისტრაციის შემდეგ, განიხილება ის შემთხვევები, რომლებიც საფუძვლად დაედო საჩივრებს, საჩივრების სათანადოდ დახურვის და მომავალში მსგავსი საჩივრების განმეორების პრევენციის მიზნით.

იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი არ არის პროექტთან დაკავშირებული, სგდ-ს გარემოსა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი დააფიქსირებს შესაბამის მიზეზს და დოკუმენტურად დაადასტურებს, რომ მომჩივანს ეცნობა აღნიშნული გადაწყვეტილება და განმარტებულია მისი მიღების საფუძვლები. არადაშვებად, როგორც წესი, ჩაითვლება ის შემთხვევები, რომელთა მიმართაც სგდ დარწმუნებულია, რომ ისინი არ არის გამოწვეული სგდ-ის ან მისი კონტრაქტორების ან ქვეკონტრაქტორების ქმედებებით. იმ შემთხვევაში, თუ მომჩივანი არ ეთანხმება მიღებულ გადაწყვეტილებას, მას უფლება აქვს მიმართოს შემდგომ სამართლებრივ გზებს, კერძოდ, წარადგინოს საქმე სგდ-ის საჩივრების განხილვის კომისიაში ან შესაბამის სასამართლოში (რაიონულ სასამართლოში).

სგდ განსაზღვრავს არის თუ არა საჩივრის გადაწყვეტა კონტრაქტორის (ან მისი ქვე-კონტრაქტორების), სგდ-ს ან ზედამხედველი კონსულტანტის პასუხისმგებლობა. იმ შემთხვევაში, თუ საჩივრის გადაწყვეტა მიეკუთვნება კონტრაქტორის ან ზედამხედველი კონსულტანტის პასუხისმგებლობას, სგდ განახორციელებს შემოთავაზებული გამოსასწორებელი ღონისძიებების განხილვას, კომენტირებას და მათ დამტკიცებას.

საჩივრის რეგისტრაციის შემდეგ, სგდ-ს გარემოსა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი და/ან საჩივრების კოორდინატორი ინფორმაციას მიაწვდიან მომჩივანს წერილობითი ფორმით 10 დღის განმავლობაში.

6.1.3. საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტი (ეტაპი 1)

GRM-ს 1-ელი ეტაპი მოიცავს საჩივრის (წერილობითი თუ ზეპირი) არაოფიციალურ (ზეპირ) განხილვას. ადგილობრივი საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტი (GRC) შეიქმნება მუნიციპალიტეტში, და მისი ოფისი განთავსდება მუნიციპალურ შენობაში. დასაშვები საჩივრის რეგისტრაციის შემდეგ, ჩაერთვება ადგილობრივი საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტი (GRC) საჩივრის გადაწყვეტის მიზნით. მოცემულ ეტაპზე საჩივარი განიხილება არაოფიციალური (ზეპირი) ფორმით და შემდეგ საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტის წევრები შეადგენენ და ხელს მოაწერენ ოქმებს აღნიშნულ საკითხზე. იმ შემთხვევაში, თუ 1 ეტაპზე პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარის საჩივარი არ გადაწყდება, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მხარეს ეცნობება მე-2 ეტაპის საჩივრების დაკმყოფილების პროცედურების შესახებ. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მხარეს უფლება აქვს გამოიყენოს მე- 2 ეტაპის პროცედურა 1-ელი ეტაპის პროცედურების გამოყენების გარეშე. 1-ელი ეტაპის საჩივრების გადაწყვეტის ვადა შეადგენს 7 დღეს. საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტი (GRC) შეიკრიბება საჭიროების მიხედვით (თუმცა მინიმუმ თვეში ერთხელ), მის შემადგენლობაში უნდა იყოს რვა წევრი. კონფიდენციალური ბუნების მქონე ნებისმიერ საჩივართან დაკავშირებით გათვალისწინებული იქნება სპეციალური ზომები. საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტი (GRC) არის რვა-წევრიანი კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედიან:

1) საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის (სგდ) წარმომადგენელი, როგორც კომიტეტის კოორდინატორი;
2) რეგიონული/მუნიციპალური წარმომადგენელი, როგორც კომიტეტის მდივანი;
3) სოფლის რწმუნებული, როგორც კომიტეტის წევრი;

4) პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობის (AP) მიერ არჩეული ორი წარმომადგენელი, რომელთაგან მინიმუმ ერთი უნდა იყოს ქალი, როგორც კომიტეტის წევრი;
5) ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის (NGO) წარმომადგენელი, საჩივრის ხასიათის გათვალისწინებით - როგორც კომიტეტის წევრი;
6) ზედამხედველი კონსულტანტის სოციალური და გარემოს დაცვის ადგილობრივი სპეციალისტი – როგორც კომიტეტის წევრი;
7) სამშენებლო კომპანიიდან სოციალური და გარემოს დაცვის ადგილობრივი სპეციალისტი– როგორც კომიტეტის წევრი;.

GRC-ის ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, არ არის აუცილებელი კომიტეტის რვავე წევრის მონაწილეობა. ადგილობრივ დონეზე საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტისათვის საკმარისია მინიმუმ სამი წევრის მონაწილეობა, მათ შორის: ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი, ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირთა წარმომადგენელი და სამშენებლო კომპანიის წარმომადგენელი არის საკმარისი ადგილობრივ დონეზე საჩივრის გადასაწყვეტად. GRC გამართავს რეგულარულ სხდომებს კვირაში ერთხელ.

სგდ-ს გარემოსა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი იმოქმედებს საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტის (GRC) მდივნის უფლებამოსილებით (შექმნა, კოორდინაცია და დოკუმენტაცია). საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტის (GRC) წევრები მოწვეულნი იქნებიან განსახილველი საჩივრების სახეების მიხედვით. კრება დაიწყება მომჩივანების გარეშე საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტის (GRC) ბოლო კრებიდან მიღებული ყველა ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარის საჩივრის განხილვით, იმისათვის, რომ გასული ერთი ან ორი კვირის განმავლობაში წარმოდგენილი იქნას გადაწყვეტილება ყველა საჩივარზე. შემდეგ საჩივრების დაკმაყოფილების კომისია მოიწვევს იმ მომჩივნებს, რომელთა საჩივრები იქნა განხილული წინა შეკრებაზე, შეთავაზებული გადაწყვეტილების განხილვის მიზნით.

თითოეული საჩივრისთვის, საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტი (GRC) განსაზღვრავს საჭიროა თუ არა დამატებითი კვლევები. საჭიროების შემთხვევაში, შეგროვდება დამატებითი ინფორმაცია საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტის (GRC) მომდევნო შეკრებამდე და ასევე წარედგინება პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მხარეს (PAP) კრების ჩატარებამდე. საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტი (GRC) შეატყობინებს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მხარეს (PAP) განხილვის თარიღს, დროს და ადგილს და შესაბამისად მოიწვევს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მხარეს (PAP).

საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტი (GRC) მიიღებს მომჩივანს და მასთან ერთად განიხილავს საჩივრის გადაწყვეტის საკითხს. კომიტეტმა უნდა შეადგინოს აღნიშნულ საკითხზე განხილვის ოქმი და ხელი მოაწეროს მას. თუ საჩივარი დამაკმაყოფილებლად გადაწყდება, აღნიშნულ ოქმს ასევე ხელს მოაწერს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარე (PAP) შეთანხმების დასტურად. იმ შემთხვევაში, თუ პროექტის ფარგლებში შეთანხმდება დამატებითი ზომების გამოყენების საკითხი, ეს საკითხი მიეთითება კრების ოქმებში წარდგენის ვადასთან ერთად. იმ შემთხვევაში თუ საჩივარი არ გადაწყდება, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მხარეს განემარტება მე-2 ეტაპის ესკალაციის პროცესი.

პირველი ეტაპის საჩივრების განხილვის პროცედურები წარმოადგენს დავის გადაწყვეტის არაფორმალურ საშუალებას, რომელიც ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებს და პროექტის განმახორციელებელ ჯგუფს საშუალებას აძლევს გადაწყვიტონ უთანხმოება ყოველგვარი ფორმალური პროცედურების, გაჭიანურებისა და დაბრკოლებების გარეშე. საჩივრების განხილვის

ასეთი არაფორმალური მექანიზმი ხელს უწყობს საჩივრების უმეტესობის გადაჭრას ფორმალური პროცედურების გარეშე (ე.ი. ადმინისტრაციულ კოდექსში განსაზღვრული პროცედურების ან სასამართლო პროცესის გამოყენების გარეშე). იმ შემთხვევაში, თუ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარე არ იქნება კმაყოფილი, საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმი დაეხმარება მას წარადგინოს ოფიციალური საჩივარი მე-2 ეტაპის პროცედურების შესაბამისად (მომჩივანი ინფორმირებული უნდა იყოს თავისი უფლებების და ვალდებულებების, წესების და პროცედურების შესახებ საჩივრების წარდგენასთან დაკავშირებით, ასევე საჩივრის ფორმატის, საჩივრის წარდგენის პირობების და სხვა საკითხების შესახებ).

6.1.4. საჩივრების გადაწყვეტა ცენტრალურ დონეზე (ეტაპი 2)

მოცემულ ეტაპზე, საჩივარი განიხილება სგდ-ს დონეზე. 1-ელ ეტაპზე გადაუწყვეტელი საჩივრები, მომჩივანის თანხმობით, გაეგზავნება სგდ-ს წერილობითი ფორმით. ანალოგიურად დაზარალებულ მომჩივანებს / პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მხარეებს, რომლებიც უკმაყოფილონი არიან GRC-ის გადაწყვეტილებით, შეუძლიათ წარუდგინონ თავიანთი საჩივრები სგდ-ს ცენტრალურ დონეზე. GRC დაეხმარება მათ ოფიციალური საჩივრის წარდგენაში. სგდ-ს GRM კოორდინატორი, სგდ-ს გარემოსა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი განიხილავს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარეების წერილობით საჩივრებს, რომლებიც არ დაკმაყოფილდნენ 1-ელ ეტაპზე და გააგზავნის მათ (შიდა ფარგლებში) შესაბამის სამსხურებში (იურიდიული, ტექნიკური, კონტრაქტების და სხვა) დასაკმაყოფილებლად. სგდ-ს შიდა მიმართვის ვადა შეადგენს 10 დღეს. მომჩივანს წერილობითი ფორმით უნდა ეცნობოს გადაწყვეტილება მაქსიმუმ 30 დღის განმავლობაში, საქართველოს ადმინისტრაციულ კოდექსით განსაზღვრული რეაგირების დროის შესაბამისად.

6.1.5. სგდ-ს პრობლემატური საკითხების (სოციალური და გარემოსდაცვითი) განხილვის კომისია (ეტაპი 3)

იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი არ გადაწყდება მე-2 ეტაპზე შესაბამისი სამსახურის მიერ, საჩივარი წარედგინებს სგდ-ს პრობლემატური საკითხების (სოციალური და გარემოსდაცვითი) განხილვის კომისიას. სგდ-ს პრობლემატური საკითხების (სოციალური და გარემოსდაცვითი) განხილვის კომისია აწარმოებს რეგულარ შეხვედრებს (თვეში მინიმუმ ერთხელ) და შეხვედრების დროს განიხილავს საჩივრებს და მიიღებს გადაწყვეტილებას საჩივარზე საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად. მომჩივანს წერილობითი ფორმით უნდა ეცნობოს სგდ-ს გადაწყვეტილება. იმ შემთხვევაში, თუ სგდ-ს გადაწყვეტილება არ დააკმაყოფილებს დაზარალებულ ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებს, მათ შეუძლიათ წარადგინონ საქმე შესაბამის საერთო სამართლის სასამართლოში. პრობლემატური საკითხების (სოციალური და გარემოსდაცვითი) განხილვის კომისიის შეამდგენლობაში შედიან:

1) საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამანეტის თავმჯდომარე (სგდ-ს პრობლემატური საკითხების (სოციალური და გარემოსდაცვითი) განხილვის კომისიის თავმჯდომარე);
2) საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე;
3) საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე;
4) საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე;
5) საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე;

6) დეპარტამენტის სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული საგზაო პროექტების მართვის სამსახურის უფროსი (წევრი);
7) დეპარტამენტის დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტების მართვის სამსახურის უფროსი (წევრი);
8) დეპარტამენტის დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტების მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე (წევრი);
9) დეპარტამენტის გარემოსა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი (წევრი);
10) დეპარტამენტის გარემოსა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსის მოადგილე (წევრი);
11) დეპარტამენტის გარემოსა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსის მოადგილე (წევრი);
12) დეპარტამენტის გარემოსა და სოციალურ საკითხთა სამსახურის განსახლების სამმართველოს უფროსი (წევრი);
13) დეპარტამენტის გარემოსა და სოციალურ საკითხთა სამსახურის რეგისტრაციის სამმართველოს უფროსი (წევრი);
14) დეპარტამენტის საპროექტო სამსახურის უფროსი (წევრი);
15) დეპარტამენტის ფინანსების მართვის სამსახურის უფროსი (წევრი);
16) დეპარტამენტის იურიდიული სამსახურის უფროსი (წევრი);

6.1.6. საჩივრების დახურვა

საჩივარი ჩაითვლება „გადაწყვეტილად“ ან „დახურულად“ იმ შემთხვევაში, როდესაც მიიღება ორივე მხარისთვის დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილება და შესაბამისი გამოსასწორებელი ღონისძიებები წარმატებით განხორციელდება. პროექტსა და მომჩივანს შორის საჩივრის გადაწყვეტის შესახებ შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, გადაწყვეტილების განხორციელებისთვის საჭირო ვადა დამოკიდებული იქნება მის სირთულეზე. ამასთან, გადაწყვეტილების შესასრულებლად შესაბამისი ზომები მიიღება საჩივრის რეგისტრაციიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში და კონტროლი გაგრძელდება მის სრულად დასრულებამდე. გადაწყვეტილების შესრულების ან მომჩივნისთვის დამაკმაყოფილებლად შესრულების შემდეგ, საჩივრის დახურვის ფორმას ხელს აწერს ორივე მხარე (გარემოსა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი და მომჩივანი) სადაც მითითებული იქნება, რომ მომჩივანი საჩივარს დახურულად მიიჩნევს. საჩივარი ინახება პროექტის საჩივრების მონაცემთა ბაზის არქივში.

თუმცა, გამონაკლის შემთხვევებში, პროექტს უფლება აქვს „დახუროს“ საჩივარი იმ შემთხვევაშიც, როდესაც მომჩივანი არ არის კმაყოფილი მიღებული გადაწყვეტილებით. მაგალითად, თუ მომჩივანი ვერ ახდენს საჩივრის დასაბუთებას ან იკვეთება აშკარა სპეკულაციური ან თაღლითური ქმედების ნიშნები. ასეთ შემთხვევებში პროექტის მიერ საჩივრის გამოძიებისა და დასკვნის მომზადების მიზნით განხორციელებული ქმედებები უნდა იყოს სათანადოდ დოკუმენტირებული, ხოლო მომჩივანი სრულად და დროულად ინფორმირებული არსებული მდგომარეობის შესახებ. სგდ-მ საჩივრები არ უნდა უარყოს ზედაპირული განხილვის საფუძველზე ან დახუროს მანამ, სანამ მომჩივანი არ იქნება ინფორმირებული მიმდინარე პროცესის შესახებ და არ მიეცემა შესაძლებლობა წარადგინოს დამატებითი ინფორმაცია ან მტკიცებულება.

6.1.7. საჩივრების ჩანაწერები და დოკუმენტაცია

სგდ დანიშნავს GRM კოორდინატორს, რომელიც მართავს საჩივრების მონაცემთა ბაზას საჩივრების წერილობითი ჩანაწერების წარმოების მიზნით. მონაცემთა ბაზაში აღრიცხება შემდეგი ინფორმაცია:

საჩივრის რეგისტრაციისთვის პასუხისმგებელი ფიზიკური პირის ან ორგანიზაციის სახელი; საჩივრის წარდგენის თარიღი და ტიპი; ნებისმიერი შემდგომი მიღებული ზომა; გადაწყვეტილებები და გამოსასწორებელი ღონისძიებები, რომლებიც განახორციელა კონტრაქტორმა ან სხვა შესაბამისმა მხარემ; საბოლოო შედეგი; და მომჩივანისთვის გადაწყვეტილების შეტყობინების ფორმა და დრო.

6.1.8. სენსიტიური საჩივრების განხილვის პროტოკოლი, მათ შორის გენდერული ძალადობისა და სექსუალური ექსპლუატაციის ან სექსუალურ ნიადაგზე შევიწროების (SEA/SH) საკითხებთან დაკავშირებული საჩივრები

სგდ შეიმუშავებს პროტოკოლს კონფიდენციალური მიდგომისთვის, რომელიც ორიენტირებული იქნება სენსიტიური საჩივრების განხილვიაზე, მათ შორის იმ დელიკატურ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია პროექტის პერსონალის მონაწილეობით ჩადენილ სქესზე დაფუძნებულ ძალადობასთან, სექსუალური ექსპლუატაციასთან ან სექსუალურ ნიადაგზე შევიწროებასთან. პროტოკოლში გათვალისწინებული იქნება მკაფიო სახელმძღვანელო მითითებები, თუ რისი გაკეთება შეიძლება და რისი არ შეიძლება საჩივრების განხილვისას, მაგალითად, როგორიცაა მომჩივნის კონფიდენციალურობის დაცვა, მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოთხოვნა, მომჩივანის ინფორმირება მათი არჩევანის შესახებ, რომ დაარეგისტრიროს საჩივარი სხვა დაწესებულებებში, მომჩივანის გაგზავნა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ან სხვა შესაბამისი მომსახურების გასაწევად. პროექტის ფარგლებში დასაქმებული ყველა მუშაკი და ადგილობრივი მოსახლეობა გაივლის ცნობიერების ამაღლების ტრენინგს სქესზე დაფუძნებული ძალადობის მიმართ სენსიბილიზებული საჩივრების მექანიზმის ხელმისაწვდომობის შესახებ. საჩივრების განხილვის კოორდინატორები გაივლიან სიღრმისეულ ტრენინგს დელიკატური საჩივრებისთვის პროტოკოლის გამოყენების შესახებ. პროტოკოლისა და ტრენინგის შემუშავებისთვის სგდ სამუშაოებში ჩართავს GBV და SEA/SH საკითხებში კვალიფიცირებულ ექსპერტს.

ყველა ინფორმაცია პროექტის განხორციელების დროს წარდგენილ საჩივრებთან დაკავშირებით, მათი პრაქტიკული და დროული გადაწყვეტის გზები და საშუალებები მოცემული იქნება სგდ-ს მიერ მომზადებულ ყოველწლიურ ანგარიშებში და წარედგინება მსოფლიო ბანკს (მაგ. საჩივრების მონიტორინგი და ანგარიშგება აისახება სგდ-ს ექვსთვიან და ყოველწლიურ ანგარიშებში).

6.2. მუშახელის საჩივრების განხილვის მექანიზმი

ამჟამად საავტომობილო გზების დეპარტამენტს არ აქვს შიდა საჩივრების მექანიზმი, რომელიც საშუალებას მისცემს თანამშრომლებს წამოჭრან სამუშაო ადგილთან დაკავშირებული საკითხები. შემათანხმებელი პროცედურები გათვალისწინებულია შრომის კოდექსით. ადგილზე არ არსებობს სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საავტომობილო დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ მიღებული საჩივრების მონიტორინგს.

სგდ მოითხოვს კონტრაქტორებისგან შეიმუშაონ და დანერგონ საჩივრების განხილვის მექანიზმი მათი თანამშრომლებისთვის, მათ შორის ქვეკონტრაქტორებისთვის, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე. მშენებელი კონტრაქტორები მოამზადებენ შრომითი რესურსების მართვის პროცედურას პროექტის LMP-ის შესაბამისად სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, რომელიც ასევე მოიცავს მუშახელის საჩივრების განხილვის მექანიზმის დეტალურ აღწერილობას.

მუშახელის საჩივრების განხილვის მექანიზმი მოიცავს:

- საჩივრების მიღების პროცედურა, როგორიცაა კომენტარის / საჩივრის ფორმა, წინადადებების ყუთი, ელ-ფოსტა, სატელეფონო ცხელი ხაზი;
- საჩივრებზე რეაგირების დადგენილი ვადები;

- რეესტრი, სადაც აღირიცხება და გაკონტროლდება საჩივრების დროული გადაჭრა;
- პასუხისმგებელი დეპარტამენტი, რომელიც მიიღებს, აღრიცხავს, რეაგირებას მოახდენს და გააკონტროლებს საჩივრების გადაჭრას.

ზედამხედველი კონსულტანტი მონიტორინგს გაუწევს კონტრაქტორების მიერ საჩივრების გადაწყვეტის პროცესს და შესაბამის ინფორმაციას მიაწვდის საავტომობილო გზების დეპარტამენტს ყოველთვიური პროგრესის ანგარიშების ფარგლებში. აღნიშნულ პროცესს მონიტორინგს გაუწევს საჩივრების განხილვის მექანიზმის კოორდინატორი, საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენელი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება პროექტის საჩივრების განხილვის მექანიზმის ფუნქციონირებაზე.

მუშაკთა საჩივრების განხილვის მექანიზმი აღწერილი იქნება პერსონალის საწყის ტრენინგებში, რომელიც ჩაუტარდება პროექტის ფარგლებში დასაქმებულ ყველა მუშაკს. მექანიზმი ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- პროცესი იქნება გამჭვირვალე და უზრუნველყოფს მუშაკებისთვის მათი შეშფოთების გამოხატვისა და საჩივრების წარდგენის შესაძლებლობას.
- არ იქნება დისკრიმინაცია იმ პირების მიმართ, რომლებიც წარდგენენ საჩივარს, ხოლო ნებისმიერი საჩივარი განხილვისას განიხილება კონფიდენციალურად.
- ანონიმური საჩივრები განიხილება იმავე წესითა და სტანდარტებით, როგორც იდენტიფიცირებული წარმომავლობის მქონე საჩივრები.
- ხელმძღვანელობა სერიოზულად მოეკიდება ყველა საჩივარს და უზრუნველყოფს დროული და შესაბამისი რეაგირების ღონისძიებების განხორციელებას.

ინფორმაცია საჩივრების მექანიზმის არსებობის შესახებ ხელმისაწვდომი იქნება პროექტის ყველა მუშაკისთვის (დასაქმებული და დაქირავებული) საინფორმაციო დაფების, „წინადადებების/საჩივრების ყუთების“ არსებობის და საჭიროების შემთხვევაში სხვა საშუალებების მეშვეობით.

6.2.1. კონფიდენციალურობის პროტოკოლის დაცვა:

კონფიდენციალურობის პროტოკოლის აღნიშნული შაბლონი განკუთვნილია საავტომოვილო გზების დეპარტამენტის მიერ საჩივრების განხილვის პროცესში კონფიდენციალური ინფორმაციის მართვის უზრუნველსაყოფად და წარმოადგენს ფორმალურ დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს შესაბამის პროცესებს, როლებსა და პასუხისმგებლობებს. დოკუმენტის ეფექტიანი გამოყენების მიზნით, იგი უნდა იყოს მორგებული პროექტის საჭიროებებზე და უნდა შემუშავდეს მსოფლიო ბანკის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების ჩარჩო დოკუმენტის (WB ESF), საქართველოს კანონმდებლობისა და ორგანიზაციაში არსებული სისტემების შესაბამისად. დოკუმენტის საბოლოო დამტკიცებამდე მიზანშეწონილია უკუკავშირის მიღება გუნდის წევრებისა და შესაბამისი ექსპერტებისგან, რათა უზრუნველყოფილი იყოს ყველა აუცილებელი საკითხის გათვალისწინება.

1. შესავალი

ეს პროტოკოლი განსაზღვრავს იმ პროცედურებს, რომლებიც მიზნად ისახავენ სამი გზის მონაკვეთის პროექტთან დაკავშირებული საჩივრების მართვის პროცესში კონფიდენციალურობის

უზრუნველყოფას. კონფიდენციალურობის დაცვა გადამწყვეტ მნიშვნელობას ატარებს ნდობის ჩამოყალიბებისა და მომჩივანთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით, რადგან იგი ხელს უწყობს საჩივრების წარდგენას ყოველგვარი შურისძიების შიშის გარეშე.

პროტოკოლის მიზანია მომჩივანთა კონფიდენციალურობის დაცვა საჩივრების განხილვის მექანიზმის ყველა ეტაპზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს საჩივრებთან დაკავშირებული ინფორმაციის უსაფრთხო დამუშავება და მომჩივანთა დაცვა შესაძლო შურისძიებისგან.

2. მოქმედების სფერო

ეს პროტოკოლი ვრცელდება პროექტის განმახორციელებელი ერთეულის ფარგლებში საჩივრების მართვის პროცესში ჩართულ ყველა თანამშრომელზე, აგრეთვე საჩივრების განხილვასა და გადაწყვეტაში მონაწილე სხვა შესაბამის გარე მხარეებზე.

3. პასუხისმგებლობები

- საჩივრების განხილვის მექანიზმის კოორდინატორი:
- უზრუნველყოფს საჩივრებთან დაკავშირებული ყველა ინფორმაციის კონფიდენციალურობას დადგენილი კონფიდენციალურობის პროცედურების შესაბამისად.
- ზღუდავს კონფიდენციალურ ინფორმაციაზე წვდომას მხოლოდ უფლებამოსილი თანამშრომლებისთვის და რეგულარულად ახდენს უფლებამოსილი თანამშრომლების სიის განახლებას.
- უზრუნველყოფს ყველა თანამშრომლისთვის რეგულარული ტრენინგების ჩატარებას კონფიდენციალურობის დაცვის საკითხებსა და მომჩივნის ინფორმაციის დაცვის მნიშვნელობაზე.
- ახორციელებს შიდა მონიტორინგს ყველა დადგენილი პროცედურის დაცვის უზრუნველსაყოფად.
- იძიებს კონფიდენციალურობის დარღვევის ნებისმიერ შემთხვევას.

  თანამშრომლები:

- ვალდებულნი არიან მუდმივად დაიცვან კონფიდენციალურობის პროტოკოლები.
- ვალდებულნი არიან კონფიდენციალურობის ნებისმიერი დარღვევა დაუყოვნებლივ შეატყობინონ საჩივრების განხილვაზე პასუხისმგებელ თანამშრომელს.

- კონფიდენციალურობის პროცედურები:
- ყველა საჩივარი რეგისტრირდება წვდომის შეზღუდვის მქონე მონაცემთა ბაზაში.
- სამუშაოს დაწყებამდე ან საჩივრის შესახებ პირადი ინფორმაციის ან დეტალების გაზიარებამდე აუცილებელია მომჩივანისგან თანხმობის მიღება.
- უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ მომჩივანმა სრულიად გაიგოს, რას ნიშნავს აშკარა თანხმობა და რა შეიძლება იყოს მისი შესაძლო შედეგები.
- მითითებული უნდა იქნას, თუ რომელი ინფორმაციის გაზიარებაზეა მომჩივანი თანახმა, მათ შორის თარიღი, მასშტაბი და ინფორმაციის გადაცემის პირობები (მაგალითად: „შეგიძლიათ გაუზიაროთ ინფორმაცია მხოლოდ კონკრეტულ პირებს“ ან „შეგიძლიათ მიუთითოთ ადგილმდებარეობა, მაგრამ არა ჩემი სახელი ან სამუშაო ადგილი“).
- საჯაროდ ხელმისაწვდომი დოკუმენტებიდან, მაგალითად, მონიტორინგის ანგარიშებიდან, ამოღებული უნდა იქნას ნებისმიერი იდენტიფიკაციური ინფორმაცია, როგორიცაა სახელები,

ადგილმდებარეობა და სამუშაო ადგილი. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ საჩივრების საგნებთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

- პროექტის ფარგლებში, დაინტერესებულ მხარეთა შორის გავრცელებულ და საჯაროდ ხელმისაწვდომ ანგარიშებში, ამოღებული უნდა იქნას ყველა პირადი სახელი და, შესაძლებლობის შემთხვევაში, ადგილმდებარეობის დასახელება. საჩივრების ჟურნალში გამოიყენება მხოლოდ საჩივრის საიდენტიფიკაციო ნომერი (ID).
- უზრუნველყოფილი უნდა იქნას საჩივართან დაკავშირებული ყველა დოკუმენტის შემოწმება და მგრძნობიარე ინფორმაციის შემცველი დოკუმენტების უსაფრთხო (ჩაკეტილ) ადგილას განთავსება.
- საჩივრის დეტალებზე წვდომა შეზღუდული უნდა იყოს მხოლოდ კონკრეტული თანამშრომლებისა და უფლებამოსილი პერსონალისთვის.
- განიხილული უნდა იყოს ცალკეული მონაცემთა ბაზის შექმნა, რომელიც საჩივრის საიდენტიფიკაციო ნომერს სახელებსა და ადგილმდებარეობებთან დააკავშირებს.
- განახლებული ჩანაწერის უზრუნველყოფა იმ პირების შესახებ, რომლებიც შედიან მონაცემთა გაზიარების სიაში, და სიის რეგულარული განახლება, როცა წვდომის მქონე პირი ტოვებს პროექტს ან გადადის სხვა თანამდებობაზე.
- საჩივართან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი უნდა იქნას შენახული უსაფრთხო, ჩაკეტილ სათავსოში.
- უზრუნველყოფილი უნდა იქნას ელექტრონული დოკუმენტების დაშიფვრა და მათზე წვდომის კონტროლი.
- თანამშრომლები ყურადღებით უნდა იყვნენ ნებისმიერი უსაფრთხოების სისტემის ახალი საფრთხეების მიმართ, როგორიცაა ოფისში შეჭრა ან კომპიუტერული ვირუსები.
- საჩივრების შესახებ ინფორმაცია არ უნდა იქნას გაზიარებული არაავტორიზებული პირებისთვის.
- შესაძლებლობის შემთხვევაში, ინფორმაცია გაზიარებული უნდა იქნას მხოლოდ იმ პირებისთვის, რომლებსაც ამის საჭიროება აქვთ, კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ მკაცრი შეთანხმების შესაბამისად.

  - კონფიდენციალურობის დარღვევა:

- კონფიდენციალურობის ნებისმიერი დარღვევის შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საჩივრების განმხილველ ოფიცერს, რათა მიღებულ იქნას შესაბამისი ზომები.

  - მიმოხილვა და განახლებები:

- ეს პროტოკოლი გადაიხედება და განახლდება საჭიროებისამებრ [დაამატეთ პერიოდი, მაგალითად, ყოველწლიურად, ნახევარწლიურად ან კვარტალურად], რათა ასახავდეს რეგულაციებში ცვლილებებს, საუკეთესო პრაქტიკას, პროექტის მოთხოვნებს ან მიღებულ გამოცდილებას.

  - საკონტაქტო ინფორმაცია:

აღნიშნულ პროტოკოლთან დაკავშირებით არსებული კითხვების ან კომენტარების შემთხვევაში, გთხოვთ, დაუკავშირდეთ დანიშნულ ოფიცერს.

6.2.2. ანონიმურობის დადგენა: საკონტროლო სია

ქვემოთ მოცემული სია გამოიყენება საჩივრების ანონიმურად წარდგენის მექანიზმებისა და უკუკავშირის მექანიზმების შესაქმნელად, სადაც ეს შესაძლებელია:

საჩივრების ანონიმურად წარდგენის მექანიზმები	ანონიმურ საჩივრებზე უკუკავშირის მიღების მექანიზმები
☐ ანონიმური წერილობითი საჩივრების მისაღებად ფიზიკური ყუთის განთავსება ხელმისაწვდომ ადგილას. პროექტი უნდა უზრუნველყოფდეს, რომ ტერიტორიაზე არ იყოს ვიდეომეთვალყურეობის კამერები, რომლებსაც შეუძლიათ ყუთის გადაღება. ☐ პროექტის ფარგლებში არსებული საჩივრების განხილვის მექანიზმის (GM) თანამშრომლებთან პირდაპირი კომუნიკაციისთვის სატელეფონო ცხელი ხაზის შექმნა. ☐ ვებპორტალები საჩივრების განსახილველად ☐ ანონიმური ონლაინ გამოკითხვის ინსტრუმენტები, რომლებიც რესპონდენტებს საშუალებას აძლევენ, წარადგინონ საჩივრები ვინაობის გამჟღავნების გარეშე. ☐ ანონიმური მობილური საჩივრების აპლიკაციები, რომლებიც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, ანონიმურად, პერსონალური მონაცემების შეგროვების გარეშე, წარადგინონ სარჩელები. ☐ საფოსტო სერვისის უზრუნველყოფა, სადაც პირებს შეუძლიათ ანონიმური საჩივრების გაგზავნა და იმის უზრუნველყოფა, რომ სერვისი არ აკონტროლებს ან იწერს პერსონალურ მონაცემებს.	☐ შეჯამებული გადაწყვეტილების ან შედეგებისა და განხორციელებული ქმედებების საჯაროდ გამოქვეყნება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მიზანშეწონილია და უსაფრთხოა. ☐ GM-ის ციფრული პლატფორმები. ☐ ვებგვერდის პორტალები საჩივრების მონიტორინგისთვის. ☐ უკუკავშირის ანგარიშების ანონიმურად გამოქვეყნება, რომელიც აჯამებს წამოყენებულ საკითხებსა და მიღებულ ზომებს, ისე, რომ პირადი ინფორმაცია არ გამჟღავნდეს.

საჩივრების განხილვის მექანიზმის (GM) შემუშავებისა და დანერგვის პროცესში, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა უნდა შეიმუშავოს პროტოკოლი კონფიდენციალურობის უზრუნველსაყოფად. ქვემოთ წარმოდგენილი საკონტროლო სია დაგეხმარებათ თქვენი პროექტის ფარგლებში კონფიდენციალურობის დამკვიდრებასა და შენარჩუნებაში, რათა დაცული იყვნენ ადამიანები, თემები, ორგანიზაციები და მათ მიერ გაზიარებული ინფორმაცია. მისი გამოყენება შესაძლებელია ტრენინგების ჩატარებისას, ახალი თანამშრომლების მიღების პროცესში ან კონფიდენციალურობის დაცვის შიდა მონიტორინგისათვის.

6.2.3. მუშაკების საჩივრების განხილვის მექანიზმის სტრუქტურა:

- სამშენებლო კომპანიის დონე: პროექტის მენეჯერი ან ადამიანური რესურსების მენეჯერი დაინიშნება საჩივრების განხილვის კოორდინატორად. თუ არსებობს სიტუაცია, როდესაც საჩივარი ვერ გადაიჭრება კონტრაქტორის მენეჯმენტის მიერ, მუშაკებს შეუძლიათ ასევე მიმართონ საჩივრით ზედამხედველ კონსულტანტს ან საავტომობილო გზების დეპარტამენტს. შესაბამისი საკონტაქტო ინფორმაცია მიეწოდება ყველა მუშაკს პროექტზე საქმიანობის დაწყებამდე.
- ზედამხედველი კომპანიის დონე: ადამიანური რესურსების მართვის, გარემოს და სოციალური საკითხების სპეციალისტი იქნება საჩივრების განხილვის მექანიზმის კოორდინატორი, რომელთანაც უნდა მოხდეს საჩივრებისა და პრეტენზიების წარდგენა. იგი პასუხისმგებელი იქნება შესაბამის დეპარტამენტებთან/ორგანიზაციასთან და პირებთან კოორდინაციაზე, საჩივრებზე რეაგირების ხელშეწყობის მიზნით. თუ საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია საზედამხედველო კომპანიის დონეზე 14 სამუშაო დღის ვადაში, მაშინ დავა გადაეცემა საავტომობილო გზების დეპარტამენტს.
- საჩივრების განხილვის მექანიზმი ხელმისაწვდომი იქნება ყველა თანამშრომლისათვის სხვადასხვა საშუალებებით (წერილობითი, ტელეფონი, ფაქსი, სოციალური მედია, და ა.შ.). საჩივრების/პრეტენზიების აღრიცხვის ჟურნალის წარმოება მოხდება საზედამხედველო კომპანიის ოფისში.
- სამუშაო ადგილთან დაკავშირებული საჩივრები განიხილება კონფიდენციალურად და მხოლოდ საჭირო ინფორმაცია მიეწოდება სხვა პასუხისმგებელ პერსონალს საქმის გადასაჭრელად საჭიროებისამებრ.
- საავტომობილო გზების დეპარტამენტი და ყველა დამსაქმებელი (მათ შორის კონტრაქტორები, ზედამხედველი კონსულტანტები და ა.შ.) უზრუნველყოფენ უსაფრთხო, კონფიდენციალურ და დაზარალებულზე ორიენტირებულ მიდგომას მგრძნობიარე საჩივრების განხილვისას, მათ შორის სექსუალურ ექსპლუატაციასთან, ძალადობასთან და სექსუალურ შევიწროებასთან (SEA/SH) დაკავშირებული შემთხვევებისას. აღნიშნული პროტოკოლები დაფუძნებული იქნება ქვეყნისა და საპროექტო არეალში არსებული GBV და SEA/SH მომსახურების პროვაიდერთა რუკებზე, რაც დაზარალებულებს მისცემს უსაფრთხო, კონფიდენციალური და მათი არჩევანის შესაბამის სერვისებზე გადამისამართების შესაძლებლობას.
- პროექტზე მომუშავე პირთა დავების გადაჭრის მექანიზმის არსებობა არ შეუშლის მათ ხელს სასამართლო პროცედურის გამოყენებაში.

- ამას გარდა, საავტომობილო გზების დეპარამეტის SSC-ი სამუშაო ადგილზე კვარტალში ერთხელ განახორციელებს დავებთან დაკავშირებით გატარებული სამუშაოების მონიტორინგს. იგივე პირი შეისწავლის მიღებულ საჩივრებს და მათ გადაწყვეტას, და მოამზადებს მოკლე რეზიუმეს რომელიც ჩაირთვება მსოფლიო ბანკისათვის წარდგენილ ყოველწლიურ ანგარიშში.

ზედამხედველი კონსულტანტი მონიტორინგს გაუწევს კონტრაქტორების მიერ საჩივრების გადაწყვეტის პროცესს და შესაბამის ინფორმაციას მიაწვდის PIU-ს ყოველთვიური პროგრესის ანგარიშების ფარგლებში. აღნიშნულ პროცესს მონიტორინგს გაუწევს საჩივრების განხილვის მექანიზმის კოორდინატორი, PIU-ს წარმომადგენელი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება პროექტის საჩივრების განხილვის მექანიზმის ეფექტიან ფუნქციონირებაზე.

მუშაკთა საჩივრების განხილვის მექანიზმი აღწერილი იქნება პერსონალის საწყის ტრენინგებში, რომელიც ჩაუტარდება პროექტის ყველა მუშაკს. მექანიზმი ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- პროცესი იქნება გამჭვირვალე და უზრუნველყოფს მუშაკებისთვის მათი შეშფოთების თავისუფლად გამოხატვისა და საჩივრების წარდგენის შესაძლებლობას.
- არ იქნება დისკრიმინაცია მათ მიმართ, ვინც საჩივარს გამოხატავს და ნებისმიერი საჩივარი განიხილება კონფიდენციალურად.
- ანონიმური საჩივრები განიხილება იმავე წესითა და სტანდარტებით, როგორც იდენტიფიცირებული წარმომავლობის მქონე საჩივრები.
- ხელმძღვანელობა სერიოზულად მოეკიდება ყველა საჩივარს და უზრუნველყოფს დროული და შესაბამისი რეაგირების ღონისძიებების განხორციელებას.

ინფორმაცია საჩივრების მექანიზმის არსებობის შესახებ ხელმისაწვდომი იქნება პროექტის ყველა მუშაკისთვის (დასაქმებული და დაქირავებული) საინფორმაციო დაფების, „წინადადებების/საჩივრების ყუთების“ არსებობის და საჭიროების შემთხვევაში სხვა საშუალებების მეშვეობით.

სამშენებლო სამუშაოების კომპანიის პროექტის მენეჯერი უზრუნველყოფს, რომ ქვეკონტრაქტორები წინასწარ იყვნენ ინფორმირებული საჩივრების განხილვის მექანიზმისა და შესაბამისი პროცედურების შესახებ და ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს მათი თანამშრომლებისთვის მანამ, სანამ ისინი ჩაერთვებიან პროექტთან დაკავშირებულ საქმიანობაში.

6.3. სგდ-ს საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო პირი საჩივრების მართვისა და ადგილობრივ დაინტერესებულ პირებთა ჩართულობის ღონისძიებებთან დაკავშირებით არის სგდ-ს გარემოსა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი:

აღწერა	საკონტაქტო ინფორმაცია
უწყება:	საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (სგდ)
ვის:	გარემოსა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი
მისამართი:	საქართველო, თბილისი 0160, ყაზბეგის გამზ. N12
ელ.ფოსტა:	info@georoad.ge
ვებგვერდი:	www.georoad.ge

ინფორმაცია პროექტის და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მომავალი პროგრამების შესახებ ხელმისაწვდომი იქნება პროექტის ვებ-გვერდზე და განთავსდება საინფორმაციო დაფებზე საპროექტო ტერიტორიაზე არსებულ ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ სოფლებში.

ექსვთვიანი E&S ანგარიშები, სადაც დოკუმენტურად არის დამოწმებული დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის (SEP) განხორციელება, გამოქვეყნდება პროექტის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომი იქნება ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მერიის შენობებში.

გარდა ამისა, ადგილობრივი და საერთაშორისო დაინტერესებული მხარეების ჩართულობისა და პროექტის ფარგლებში გარემოსა და სოციალური ღონისძიებების შესრულების შესახებ ინფორმაციის მისაღებად, არასამთავრობო ორგანიზაციები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და მედია უნდა დაუკავშირდნენ საავტომობილო გზების დეპარტამენტს თბილისში.

7.0. მონიტორინგი და ანგარიშგება

7.1. მონიტორინგის ანგარიშები მშენებლობის განმავლობაში

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა (SEP) პერიოდულად გადაიხედება და განახლდება საჭიროებისამებრ პროექტის განხორციელების პერიოდში, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ წარმოდგენილი ინფორმაცია შეესაბამება რეალობას და არის უახლესი. ამჟამად განსაზღვრული ჩართულობის მეთოდები რჩება შესაბამისი და ეფექტური პროექტის კონტექსტისა და განვითარების კონკრეტული ეტაპების გათვალისწინებით.

კვარტალური და ნახევარწლიური მონიტორინგის ანგარიშები, რომლებიც აღწერს პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური ღონისძიებების შესრულებას მშენებლობის პერიოდში, მომზადდება გარემოსა და სოციალური ჯგუფის მიერ და წარედგინება საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელობასა და მსოფლიო ბანკს. აღნიშნულ ანგარიშებში შეტანილი იქნება თავი, რომელიც შეეხება დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობასა და საჩივრების მართვას. მე-9 ცხრილში მოცემულია აღნიშნულ ეტაპზე SEP-ის შესრულებასთან დაკავშირებული ინდიკატორების კომპლექსური სისტემა.

ცხრილი 8: SEP-ის ინდიკატორები, რომლებიც უნდა აისახოს პროგრესის ანგარიშებში

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარეების ჩართულობა
პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებთან (PAPs) ოფიციალური შეხვედრების რაოდენობა და ჩატარების ადგილი
პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებთან (PAPs) არაოფიციალური შეხვედრების რაოდენობა და ჩატარების ადგილი
საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ან ტრენინგის ფარგლებში შეხვედრების რაოდენობა და ჩატარების ადგილი.
თითოეულ ზემოთ მითითებულ შეხვედრაზე დამსწრე ქალთა და მამაკაცთა რაოდენობა.
მუნიციპალიტეტებთან და მოსახლეობასთან/თემებთან ან სხვა დაინტერესებულ პირებთან ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა, ადგილი, დასწრება და დოკუმენტაცია
თითოეულ შეხვერასთან დაკავშირებით, მიღებული კომენტარების რაოდენობა და ბუნება, აღნიშნული შეხვდრების დროს შეთანხმებული მოქმედებები, ასეთი ქმედებების სტატუსი და კომენტარების შეტანის წესი პროექტის ESMP-ში.
ოფიციალური შეხვედრების ოქმები და არაოფიციალური შეხვედრების შემაჯამებელი ჩანაწერი დაერთვება აღნიშნულ ანგარიშს. მათში შეჯამდება დამსწრე პირთა მოსაზრებები და მამაკაცებისა და ქალების მიერ გამოთქმულ კომენტარებს შორის განსხვავებული ხედვები.
სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ჩართულობა
სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ჩართულობის ღონისძიებების რაოდენობა და ხასიათი, დაყოფილი დაინტერესებულ მხარეთა კატეგორიების მიხედვით (სამთავრობო უწყებები, მუნიციპალიტეტები, არასამთავრობო ორგანიზაციები).
არასამთავრობო ორგანიზაციების და სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი საკითხები, მათთან შეთანხმებული მოქმედებები და ასეთი ქმედებების სტატუსი.
შეხვერების ოქმები დაერთვება ექვსთვიან ანგარიშს

საჯაროდ გამოქვეყნებული საპროექტო დოკუმენტების რაოდენობა და ბუნება.
პროექტის ვებ-გვერდის განახლებების რაოდენობა და ბუნება.
ვებ-გვერდზე მიღებული კომენტარების კატეგორიები და რაოდენობა
საჩივრების გადაწყვეტის მექანიზმი
მიღებული საჩივრების რაოდენობა, მთლიანობაში და ადგილობრივ დონეზე, თბილისის სათაო ოფისებში, ვებ-გვერდზე, დაყოფილი მომჩივანის სქესის, მათი მიღების საშუალებების (ტელეფონი, ელ-ფოსტა, განხილვა) მიხედვით.
ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობიდან, გარეშე დაინტერესებული პირებიდან მიღებული საჩივრების რაოდენობა
საჩივრების რაოდენობა, რომელიც (i) გახსნილია, (ii) გახსნილია 30 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში, (iii) გადაწყვეტილია, (iv) დახურულია, და (v) პასუხების რაოდენობა, რომელმაც დააკმაყოფილა მომჩივნები, ანგარიშგების პერიოდში, დაყოფილია მომჩივანის საჩივრის, სქესის, ასაკის და ადგილმდებარეობის მიხედვით..
საჩივრების გადაწყვეტის პროცესის საშუალო ვადა, დაყოფილი მომჩივნების სქესის და საჩივრების კატეგორიების მიხედვით.
ადგილობრივი GRC შეხვედრების რაოდენობა და ასეთი შეხვედრების შედეგები (შეხვედრების ოქმები, რომლებიც ხელმოწერილია დამსწრე პირების მიერ, მათ შორის მომჩივნების მიერ, რომლებიც თან უნდა დაერთოს ანგარიშს).
დროის ტენდენციები და საჩივრების რაოდენობის, კატეგორიების და ადგილმდებარეობის შედარება წინა ანგარიშგების პერიოდებთან
მუშახელის საჩივრები
მუშახელის მიერ წარდგენილი საჩივრების რაოდენობა, დაყოფილი მუშახელის სქესის და სამუშაო ადგილის მიხედვით.
მუშახელის საჩივრების რაოდენობა, რომლებიც (i) გახსნილია, (ii) გახსნილია 30 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში, (iii) გადაწყვეტილია, (iv) დახურულია, და (v) პასუხების რაოდენობა, რომელმაც დააკმაყოფილა მუშახელი, ანგარიშგების პერიოდში, დაყოფილია მომუშავეების საჩივრის, სქესის, ასაკის და სამუშაო ადგილის მიხედვით..
მათი პროფილი, ვინც წარადგინა საჩივარი (სქესი, ასაკი, სამუშაო ადგილი), საჩივრების კატეგორიის მიხედვით
საჩივრების გადაწყვეტის პროცესის საშუალო ვადა, დაყოფილი მომჩივანების სქესის და საჩივრების კატეგორიების მიხედვით.
დროის ტენდენციები და საჩივრების რაოდენობის, კატეგორიების და ადგილმდებარეობის შედარება წინა ანგარიშგების პერიოდებთან

გარემოსა და სოციალური საქმიანობის შესახებ ანგარიშგება, რომელიც განხორციელდება გზების დეპარტამენტის მიერ და ზედამხედველობისა და ESIA/RAP მონიტორინგის კონსულტანტების მიერ სამშენებლო ფაზის განმავლობაში, განხორციელდება ESMP-ის მოთხოვნებთან შესაბამისობაში.

7.1.1. სგდ-ს კვარტალური და წლიური ანგარიშები

პროექტის განვითარების და სამშენებლო ფაზის განმავლობაში, გარემოსა და სოციალური საკითხების ჯგუფი მოამზადებს მოკლე ყოველთვიურ ანგარიშებს E&S-თან დაკავშირებული ღონისძიებების შესრულების შესახებ სგდ-ს ხელმძღვანელობისთვის, რომელიც მოიცავს განახლებებს დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმის განხორციელების შესახებ და 8-ე ცხრილში მითითებულ ინდიკატორებს. ყოველთვიური ანგარიშები გამოიყენება კვარტალური და წლიური ანგარიშების შემუშავებისთვის, რომელიც განიხილება სგდ-ს მენეჯმენტის ზედა რგოლის მიერ. კვარტალური და ნახევარწლიური ანგარიშები გამოქვეყნდება საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომი იქნება პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მუნიციპალიტეტში.

7.1.2. შესაბამისობის ანგარიშები მსოფლიო ბანკისთვის

შესაბამისობის ანგარიშები მომზადდება და წარედგინება მსოფლიო ბანკს მშენებლობის პერიოდამდე და მშენებლობის პერიოდში. ეს ანგარიშები მოიცავს დაინტერესებული მხარეების ჩართულობის შესახებ სპეციალურ თავს, რომელიც უზრუნველყოფს განახლებულ ინფორმაციას დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმის განხორციელების შესახებ, ასევე მე-8 ცხრილში წარმოდგენილ ინდიკატორებს.

7.2. მონიტორინგის ანგარიშები ექსპლუატაციის პერიოდში

7.2.1. სგდ-ს ყოველწლიური ანგარიშები

ექსპლუატაციის ყოველივე წლის ბოლოს, გარემოსა და სოციალურ საკითხთა ჯგუფი მოამზადებს წლიურ შემაჯამებელ ანგარიშს E&S-თან დაკავშირებული ღონისძიებების შესრულების შესახებ სგდ-ს ხელმძღვანელობისთვის. ანგარიშში გათვალისწინებული იქნება განახლებული ინფორაცია დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის განხორციელების შესახებ და მე-8 ცხრილში მითითებული ინდიკატორები. წლიური ანგარიშები გამოაქვეყნდება პროექტის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომი იქნება პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მუნიციპალიტეტების მერიის შენობებში.

7.2.2. ექვსთვიანი E&S შესაბამისობის ანგარიშები მსოფლიო ბანკისთვის

ექსპლუატაციის პირველი სამი წლის განმავლობაში, ექვსთვიანი და წლიური E&S შესაბამისობის ანგარიშები მომზადდება და წარედგინება მსოფლიო ბანკს. წლიური E&S შესაბამისობის ანგარიშები მომზადდება და წარედგინება მსოფლიო ბანკს საექსპლუატაციო პერიოდის დარჩენილი დროის განმავლობაში. E&S შესაბამისობის ანგარიშებში შეტანილი იქნება დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის შესახებ სპეციალური თავი.

გარდა ამისა, საჭიროების შემთხვევაში, საავტომობილო გზების დეპარტამენტი მოამზადებს ინციდენტების შესახებ შეტყობინებებს და წარუდგენს მათ მსოფლიო ბანკს.

7.3. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა მონიტორინგის ღონისძიებებში

პროექტი უზრუნველყოფს რამდენიმე შესაძლებლობას დაინტერესებული მხარეებისთვის, განსაკუთრებით პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირებისთვის, რათა მათ შეძლონ პროექტის შესრულების კონკრეტული ასპექტების მონიტორინგი და უკუკავშირის წარმოდგენა. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მუნიციპალიტეტში საჩივრების გადაწყვეტის კომიტეტები, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირებს მისცემენ შესაძლებლობას, წარმოადგინონ

საჩივრები და სხვა ტიპის უკუკავშირი. მოქალაქის / პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების გამოკითხვები, რომლებიც ჩატარდება პროექტის შუალედურ და საბოლოო ეტაპებზე, ასევე უზუნველყოფენ, რომ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულმა პირებმა პროექტის შესრულებასთან დაკავშირებით წარმოადგინონ უკუკავშირი. გარდა ამისა, ხშირი და რეგულარული შეხვედრები მოსახლეობასთან და სგდ-ს პერსონალთან ურთიერთობა, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებს და სხვა ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებს აძლევს შესაძლებლობას მოუსმინონ მათ და იყვნენ ჩართულნი პროექტის განხორციელების პროცესში.

7.4. ანგარიშგება დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფების მიმართ

სგდ-ს გარემოსა და სოციალურ საკითხთა სამსახურის წარმომადგენლები ანგარიშს წარუდგენენ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებს და სხვა ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფებს, ძირითადად პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მუნიციპალიტეტებში და/ან სოფლებში გამართული საჯარო შეხვედრების მეშვეობით. შეხვედრის ოქმები გაზიარებული იქნება მომდევნო საჯარო შეხვედრების დროს. GRM-ის მეშვეობით მიღებულ უკუკავშირზე პასუხი გაიცემა წერილობითი და ზეპირი ფორმით, შესაძლებლობის ფარგლებში. მოკლე ტექსტური შეტყობინებები და სატელეფონო ზარები გამოიყენება იმ დაინტერესებულ პირთათვის პასუხის გასაცემად, რომელთა ტელეფონის ნომრებიც ხელმისაწვდომია. პროექტის შესახებ ძირითადი განახლებები განთავსდება სგდ-ს ვებგვერდსა და ფეისბუქ გვერდზე: საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

8.0. გამოყენებული ლიტერატურა

1. მსოფლიო ბანკის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტი, 2018 წელი.

2. მსოფლიო ბანკი. 2018a. *ESS10* ნიმუში*: დაინტერესებულ პირთა ჩართულობა და ინფორმაციის გამჟღავნება, დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმა და დაინტერესებულ პირთა ჩართულობის ჩარჩო დოკუმენტი.* ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების ჩარჩო დოკუმენტი IPF ოპერაციებისთვის. ESS10: დაინტერესებულ პირთა ჩართულობა და ინფორმაციის გამჟღავნება

3. მსოფლიო ბანკი. 2018b. *სახელმძღვანელო შენიშვნა მსესხებლებისთვის.* ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების ჩარჩო დოკუმენტი IPF ოპერაციებისთვის. ESS10: დაინტერესებულ პირთა ჩართულობა და ინფორმაციის გამჟღავნება.

4. შპს Eco-Spectri Consulting. საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხი-აზერბაიჯანის საზღვრის (ს5) საავტომობილო გზის თბილისი-ბაკურციხის მონაკვეთის მეორე ლოტის (საგარეჯოს აღმოსავლეთი ნაწილი-ბაკურციხე) გაუმჯობესების პროექტი. მომზადებულია სგდ-სთვის (2020);

5. განსახლების სამოქმედო გეგმა (15.03.2021); საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხი-აზერბაიჯანის საზღვრის (ს5) საავტომობილო გზის თბილისი-ბაკურციხის მონაკვეთის მეორე ლოტის (საგარეჯოს აღმოსავლეთი ნაწილი-ბაკურციხე) გაუმჯობესების პროექტი;

6. განსახლების სამოქმედო გეგმა მომზადებულია საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხი-აზერბაიჯანის საზღვრის (ს5) საავტომობილო გზის ლოტი 5 - თბილისი-ბაკურციხის მონაკვეთის (საგარეჯოს აღმოსავლეთი ნაწილი-ბაკურციხე). (განახლების პროცესში);

7. განსახლების სამოქმედო გეგმა მომზადებულია საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხი-აზერბაიჯანის საზღვრის (ს5) საავტომობილო გზის ლოტი 4 - თბილისი-ბაკურციხის მონაკვეთის (საგარეჯოს აღმოსავლეთი ნაწილი-ბაკურციხე). (განახლების პროცესში);

8. განსახლების სამოქმედო გეგმა მომზადებულია გურჯაანი (ჩუმლაყი) – თელავის (30 კმ) საავტომობილო გზის მონაკვეთისთვის (18 აგვისტო, 2018 წ.).

დანართი 1: საჩივრის წარდგენის ფორმა

საჩივრის წარდგენის ფორმა გურჯაანის მუნიციპალიტეტი სოფელი #	
სახელი, გვარი	
საკონტაქტო ინფორმაცია გთხოვთ, მიუთითეთ თქვენთვის სასურველი საკომუნიკაციო საშუალება (ფოსტა, ტელეფონი, ელ-ფოსტა)	☐ ფოსტა: გთხოვთ, მოუთითოთ საფოსტო მისამართი: _____ _____ _____ ☐ ტელეფონი: _____ ☐ ელ.ფოსტა:_____
სასურველი საკომუნიკაციო ენა	☐ ქართული ☐ ინგლისური ☐ რუსული
საჩივრის/მოთხოვნის აღწერა: რას ეხება საჩივარი? რა არის მოთხოვნა?	
მოლაპარაკების თარიღი:	მოლაპარაკების გადაწყვეტილება :
რა არის თქვენი მოთხოვნის საფუძველი?	
ხელმოწერა: _____ თარიღი: _____	

დანართი 3. ბროშურა საჯარო საჩივრების შესახებ

საავტომობილო გზების დეპარტამენტი ცდილობს უზრუნველყოს, რომ პროექტის მშენებლობას არ მოჰყვეს უარყოფითი ზემოქმედება საპროექტო არეალის მახლობლად მცხოვრებ მოსახლეობაზე ან სხვა პოტენციურად ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ დაინტერესებულ მხარეებზე. თუმცა, რაიმე სახის საკითხის წამოჭრის შემთხვევაში, ჩვენ მზად ვართ, მოვისმენოთ ნებისმიერი სახის პრობლემა, საჩივარი, შენიშვნა ან წინადადება, რომელიც შეიძლება გქონდეთ პროექტის აქტივობებთან დაკავშირებით.

რა სახის საჩივრის წარდგენა შემიძლია?

ნებისმიერ ადამიანს შეუძლია საჩივრის წარდგენა, თუ თვლის, რომ საპროექტო სამუშაოები უარყოფითად მოქმედებს მათზე, მათ თემზე ან ადგილობრივ გარემოზე. საჩივარი შეიძლება შეეხებოდეს შემდეგს და არა მხოლოდ:

- მიწის შესყიდვის პროცესის არასწორად წარმართვა (წინასამშენებლო ეტაპი);
- სამშენებლო სამუშაოების შედეგად გამოწვეული ხმაური (მშენებლობა);
- კერძო და საერთო აქტივებისა და ქონების დაზიანება;
- თემის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, მაგალითად, გაზრდილი საავტომობილო მოძრაობის ზემოქმედებასთან დაკავშირებით (მშენებლობა);
- პრაქტიკა, რომელიც საფრთხეს უქმნის პროექტის ფარგლებში დასაქმებული თანამშრომლების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას;
- პროექტის ფარგლებში დასაქმებული თანამშრომლების შრომითი უფლებების შეუსრულებლობა.

ასევე მიიღება შენიშვნები და შესაძლებელია ინფორმაციის გამოთხოვნის მოთხოვნა; აღნიშნული შეიძლება დარეგისტრირდეს ისევე, როგორც საჩივრები და გაეცეს პასუხი სგდ-ს მიერ შესაძლებლობის ფარგლებში.

როგორ შემიძლია საჩივრის წარდგენა?

ნებისმიერ მსურველს შეუძლია საჩივარის წარდგენა საავტომობილო გზების დეპარტამენტში შემდეგი გზებით:

- ცხელი ხაზით: (+99532) 2 31 30 76
- ელექტრონული ფოსტით: info@georoad.ge
- პირადად, თანდართული საჩივრისა და ინფორმაციის მოთხოვნის ფორმის შევსებით და ჩაბარებით შემდეგ მისამართზე: საქართველო 0160, ქ. თბილისი, ალ ყაზბეგის №12.

ალტერნატივის სახით, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ თითოეულ ადგილობრივ მუნიციპალიტეტში, მშენებლობის ფაზაში დაიდგმება სპეციალური ყუთები საჩივრებისთვის. აღნიშნული ყუთების დაცლა და საჩივრების განხილვა მოხდება კვირაში მინიმუმ ერთხელ.

როგორ განიხილავს სგდ ჩემს საჩივარს?

სგდ გაივლის შემდეგ ნაბიჯებს თქვენი საჩივრის განსახილველად:

ნაბიჯი 1: მიღების დადასტურება: სგდ დაგიკავშირდებათ თქვენი საჩივრისა და მოთხოვნის დასადასტურებლად შემდეგ ვადებში:

- 5–დან 21 სამუშაო დღემდე, საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე.
- ზეპირი საჩივრები დაუყოვნებლივ დარეგისტრირდება და დადასტურდება, ხოლო წერილობითი საჩივრები დარეგისტრირდება და დადასტურდება 5–დან 10 სამუშაო დღემდე.
- შენიშვნების დამუშავება შესაძლოა მეტ დროს მოითხოვდეს, ხოლო პასუხი შენიშვნებზე გაიცემა 21 სამუშაო დღის განმავლობაში, საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე.

დადასტურება მოიცავს თქვენი საჩივრის ნომერს, იმ პირის ვინაობას სგდ-ში, რომელიც პასუხისმგებელია თქვენი საჩივრის განხილვის მონიტორინგზე და მათ საკონტაქტო დეტალებს და თქვენი საჩივრის მოკვლევის დასრულების მოსალოდნელ თარიღს (საჭიროების შემთხვევაში).

ნაბიჯი 2: შესწავლა: ამის შემდეგ სგდ აწარმოებს მოკველვას თქვენს საჩივარზე. მათ შეიძლება დასჭირდეთ თქვენთან დაკავშირება აღნიშნული შესწავლის დროს დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით.

ნაბიჯი 3: გადაწყვეტა: თქვენი საჩივრის შესწავლის შემდეგ, თქვენ დაგიკავშირდებიან, რომ შეგატყობინონ შედეგები და სგდ-ის მიერ შემოთავაზებული პასუხი. თუ შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საჩივარი არ არის დაკავშირებული საპროექტო სამუშაოებთან ან რომ სგდ მუშაობს საჩივართან დაკავშირებით შესაბამისი ქართული და საერთაშორისო სტანდარტების ფარგლებში, ჩვენ ამას წერილობით აგიხსნით.

ნაბიჯი 4: შემდგომი ქმედებები: სგდ შეიძლება დაგიკავშირდეთ მოგვიანებით ეტაპზე, რათა შეამოწმოს, რომ ჩვენი საქმიანობა არ გიქმნით დამატებით პრობლემებს.

კონფიდენციალურობა: თუ გსურთ, რომ თქვენი საჩივარი კონფიდენციალური იყოს, სგდ უზრუნველყოფს, რომ თქვენი სახელი და საკონტაქტო ინფორმაცია არ იყოს გამჟღავნებული თქვენი თანხმობის გარეშე და მხოლოდ სგდ-ს გუნდისთვის იქნება ცნობილი, რომელიც უშუალოდ მუშაობს თქვენი საჩივრის შესწავლაზე. თუ გუნდს არ შეუძლია სრულად შეისწავლოს საჩივარი თქვენი ვინაობის ან თქვენი საჩივრის შინაარსის გამჟღავნების გარეშე, აღნიშნულის შესახებ მიიღებთ შეტყობინებას.

დანართი 4 – SEP-ის საჯარო კონსულტაციის ოქმი [8]

[8] ცვლილება-დამატებები შევა პროექტის განხილვისა და დამტკიცებისთანავე.

დანართი N5 - შეხვედრების შეჯამების შაბლონი

თარიღი	ადგილმდებარეობა	დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი	დაინტერესებულ მხარეთა კატეგორია	ფორმატი	მონაწილეთა რაოდენობა (ქალი/კაცი/სულ)	წამოჭრილი ძირითადი საკითხები	შემოთავაზებული ქმედებები/ შემდგომი ნაბიჯები